საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეფხისტრე
მედია

ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 იანვარი **ხუთშაბათი** 2011
№014 (13311) ფასი 60 თეთრი

ფაჩულიას ნლის მაჯჩი

დვალიშვილი გოლს გვპირდება

აზერ ბაირამ

ცხადაძემ ინტერ-ნაციონალური ისტორია შექმნა

ისევ ისე რომ ყოფილიყო...

ფიფას ვერსია: **მესი**

ოქროს ბურთი: **სნეიდერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ეროვნული ჩემპიონატი. სამზადისი

ვიტ ჯორჯიას ორჯერ ორი

თასის მფლობელი „ვიტ ჯორჯია“ სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას აგრძელებს. ვეტერინარებმა სტუ-სთან 2:0 მოგების შემდეგ გუშინ მეორე საკონტროლო მატჩი გამართეს. **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა პირველ ლიგაში მოასპარეზე თბილისის „ლოკომოტივიც“ 2:0 დაამარცხა. მე-5 წუთზე **გიგა ბეჭვაიას** გადაცემით **ბესიკ ჩიმაკაძე** მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში გახსნა. 31-ზე ჩიმაკაძემ დაარტყა, „ლოკომოტივის“ მეკარემ ბურთი მოიგერია, დამატებაზე კი **გიორგი კორიფაძემ** თავურით გაიტანა. მეორე ტაიმიც ვიტელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

კოჭლაშვილმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა:

პირველ ტაიმში: **მიქაბერიძე - ბეჭვაია, ადამაძე, კასრაძე, ღანიაშვილი - მაისაშვილი, ვასაძე - კორიფაძე, ჯანელიძე, ზაქრაძე - ჩიმაკაძე.**

მეორე ტაიმში: **რეჭია - ხურცილავა, ადამაძე (72. კასრაძე), გოგიაშვილი, ჭანკვეტაძე - დვალაშვილი, დავლაშელიძე - როსტიაშვილი, გიორგი გურეშიძე, ჯუღელი - გაბრიჭიძე.**

● ზესტაფონი

გია გეგუჩაძე

ცოტაც და, კონტრაქტიც იქნება და ზურაბიც

ახლახან გაუწყეთ, რომ **ზურაბ მენთეშაშვილი** კარიერას „ზესტაფონში“ გააგრძელებს. ნახევარმცველი, რომელიც 30 იანვარს 31 წლისა გახდება, უკვე ჩავიდა ზესტაფონში და გუნდის მწვრთნელებსა და კლუბის მესვეურებს ესაუბრა. მას კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, რადგან დეტალები ჯერ კიდევ ზუსტდება, თუმცა იმერულ კლუბშიც გვითხრეს, ხელშეკრულება ამ დღეებში გაფორმდებაო.

მენთეშაშვილს მსუბუქი ტრავმა აწუხებს და ვარჯიშს ორ-სამ დღეში შეუდგება. **გია გეგუჩაძის** გუნდი შაბათს პირველ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს - „სამტრედიას“ გაეჯიბრება. 25-ში კი ესპანეთში გაემგზავრება, სადაც თებერვლის დასაწყისში „მარბელას თასზე“ ითამაშებს.

● ლეგიონერი. ინტერვიუ ლადო დვალიშვილთან

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ჰაიფას „მაქაბის“ 24 წლის თავდამსხმელ ლადო დვალიშვილს წლეულს მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია. ოთხი გოლი სამ ტურში - ასეთია მისი მონაგარი. საერთოდ კი ბოლო 4 მატჩში ლადომ 5 ბურთი გაიტანა და ლიგის ბომბარდირებში მესამე ადგილზეა. დვალიშვილს გუშინ ისრაელში დავუკავშირდით.

ვნახოთ, ვნახოთ... ლადოგოლი ჭალღაზეა

დვალიშვილს სომხეთისთვის ჯერ არ გაუტანია

- ჰაიფას „მაქაბის“ გულშემატკივრებმა თურმე „ლადოგოლი“ შეგარქვეს. ბოლო ოთხი ტურია მოედანი უგოლოდ არ დაგიტოვებიათ...

- „ლადოგოლი“ მეც მსმენია, სხვა მეტსახელებითაც მამხნევებენ და ისინიც გოლს უკავშირდება. კარგ ფორმაში ვარ, ყველა თამაშში ძალიან ვინდომებ და სასიამოვნოა, რომ ეს მე გოლებით, გუნდს კი ქულებით უფასდება.

- მონდომება გასაგებია, მაგრამ თქვენი შედეგიანობა სხვა ფაქტორით, თუნდაც პოზიციის შეცვლითაც ხომ არ არის განპირობებული?

- არა, პოზიცია არ შემიცვლია - კვლავაც წინა ხაზზე ვთამაშობ. უბრალოდ, მონდომებას გამართლებაც თუ არ ახლავს, ისე გაგიჭირდება. ფეხბურთში ასეა, ხან საშუალოდ გამოგდის, ხან ძალიან კარგად და ხანაც - ცუდად, ყოველთვის ზემოთ ვერ იქნები. როგორც ჩანს, იღბლიანი პერიოდი მაქვს. თუმცა იღბალიც იმისკენაა, ვინც ინდომებს.

- უბრაული საიტები წერენ, ჰაიფას „მაქაბი“ ბოლო დროს ორი ფორვარდით თამაშობს და უფრო შედეგიანადო. ასეა?

- მართალია, ბოლო 7 ტურია, ორი თავდამსხმელით ვთამაშობთ და ამან გაამართლა კიდეც. წინა ხაზზე მე და ჰემედი ვართ, რომელთანაც კარგად ვარ შეთამაშებული და თანაგუნდელებიც ზუსტი პასებით გვამარაგებენ.

- ბოლო მატჩში ვერ მოიგეთ და ჩემპიონი, თელ ავივის „ჰაპოელი“ ქულებით გაგითანაბრდათ...

- შესაძლოა, ვინმე ფიქრობს, ისრაელის ჩემპიონატი დიდად ვერ გამოირჩევაო, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. აქ პროგნოზი უიმედო საქმეა, წყვილებში გამოკვეთილი ფავორიტი და აუტსაიდერი არ არსებობს. ბოლოადგილოსანი ლიდერებში მყოფ გუნდთან განწირული არ არის. ბეერ შევას „ჰაპოელთან“ დავკარგეთ ორი ქულა. ანგარიში მე გავხსენი, ტაიმის ბოლოს გაგვითანაბრეს, მერე კიდევ დავწინაურდით, მაგრამ მალევე ჯარიმით გაგვიტანეს. ძალიან კი მოვინდომეთ მოგება, მაგრამ მეტი ვეღარ შევაგდეთ.

- თქვენს გუნდში რუსთავის“ოლიმპის“ ფეხბურთელების, გიორგი რეხვიაშვილისა და ირაკლი მოდებაძის ტრანსფერის საკითხი განიხილებოდა, მაგრამ ჰაიფაში კვლავაც ერთადერთი ქართველი ხართ. რატომ არ შედგა ჩვენებურთა ტრანსფერები?

- ქართველების შესაძლო დამატების ამბავი მეც გავიგე, მაგრამ რა მოხდა და როგორ, არ ვიცი. რა თქმა უნდა, გამიხარდება, „მაქაბიში“ ჩვენებურებიც თუ ითამაშებენ ვნახოთ...

- თქვენი ტრანსფერის საკითხიც განიხილებოდა კრაკოვის „ვისლაში“, მაგრამ... პოლონურმა ვებგვერდებმა ბოლოს დაწერეს, დვალიშვილის ტრანსფერი არ ჩაშლილა, მხოლოდ ზაფხულამდე გადაიდოო...

- „ვისლას“ ხელმძღვანელობა ჩემს აგენტ დუდუ დაჰანს დაუკავშირდა და 9 იანვარს ფეთახ თიკვას „ჰაპოელთან“ მატჩს კრაკოველთა კლუბის მენეჯერი და ერთ-ერთი მწვრთნელი დაესწრნენ. კარგად ვითამაშე, ორი ბურთი გავიტანე და ჩემი ტრანსფერის საკითხზე უფრო აქტიური მუშაობა დაიწყო. „ვისლას“ ახლაც უნდა ჩემი დამატება, მაგრამ მიზეზთა გამო, გადავწყვიტე, დავრჩე.

- პოლონური საიტების ცნობით, „ვისლა“ თანახმა იყო, დვალიშვილის სანაცვლოდ ერთი მილიონი ევრო გადაეხადა, მაგრამ „მაქაბიმ“ მეტი მოითხოვა, კრაკოველებმა კი თქვეს, რატომ გადავიხადოთ ამ თავდამსხმელში ამდენი, როცა ივნისში თავისუფალი აგენტი გახდებაო. აშკარაა, ჰაიფელებს არ ეთმობით...

- „მაქაბისთან“ ჩემპიონატის ბოლოს არ მიმთავრდება კონტრაქტი, ამის შემდეგ კიდევ ერთი სეზონი ჰაიფელებს ვეკუთვნი. ამ ეტაპზე გადავწყვიტე ისრაელში დავრჩე, სეზონს ჩავამთავრებ და მერე ვნახოთ.

- ზაფხულში „ვისლა“ ალბათ თქვენს ტრანსფერზე მუშაობას განაახლებს. თქვენი პოზიცია როგორი იქნება?

- არ ვიცი, ზაფხულში რა იქნება. შესაძლოა, „ვისლაზე“ უკეთესი კლუბებიც დაინტერესდნენ ჩემით. საინტერესო იქნება „მაქაბის“ პოზიციაც. ასე რომ, თავისუფალი აგენტი თუ არ ხარ, მხოლოდ ფეხბურთელის სურვილი გადამწყვეტი არ არის.

- თქვენით თურქული სუპერლიგის ლიდერი „ტრაბზონსფორიც“ იყო დაინტერესებული.

- საიტებსა და გაზეთებში ჩემით დაინტერესებულ კლუბთა შორის „ტრაბზონსფორიც“ ეწერა და სხვა გუნდებიც. თუმცა ბოლო ხანს ჩემს ტრანფერზე კლუბს მხოლოდ „ვისლამ“ მიმართა. სურვილი ერთია, მაგრამ, როცა ინტერესს რეალური სახე მიეცემა, მოლაპარაკებებიც იწყება და ვნახოთ...

- ებრაულმა ვებგვერდებმა იწინასწარმეტყველეს, თუ დვალიშვილი ლიგის ბომბარდირი გახდება, ინგლისურ პრემიერლიგაში მისი ტრანსფერის საკითხი რეალურად დადგება დღის წესრიგშიო. ადრე „ვესტ ჰემთან“ დაკავშირეს თქვენი გვარი.

- ალბათ, ავრამ გრანტის გამო დამაკავშირეს „ვესტ ჰემთან“. თუ რომელიმე ინგლისური კლუბი სერიოზულად დაინტერესდება ჩემით, მაშინ არა მგონია „მაქაბიმ“ ტრანსფერი შეაფერხოს.

- მიზეზთა გამო „ვისლაში“ გადასვლას „მაქაბიში“ დარჩენა ვარჩიეო. რა მიზეზებს გულისხმობთ?

- უფრო სწორად, გარკვეული ფაქტორების გამო ისეთი არაფერია, არ მინდა დაკონკრეტება. ყველაფერი ავწონ-დავწონე და ამ ეტაპზე დარჩენა ვამჯობინე. ხვალ სხვა ვითარება იქნება და ვნახოთ. „ვისლა“ არ დამინუნებია, მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და სხვა და უკეთესი ვარიანტებიც მექნება.

- უკვე 9 ბურთი გაქვთ გატანილი და მეგოლეებში მესამე ადგილზე ხართ. ლიგის ბომბარდირობა თქვენი მიზანია თუ ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ?

- უმთავრესი გუნდის წარმატებაა, თუმცა, ცხადია, ბომბარდირობაც მინდა და ამასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მთავარი მეგოლე სამი ბურთით მისწრებს, შევეცდები, დავეწიო და გავუსწრო. გასულ სეზონში 16 ბურთი გავიტანე, ამის ნახევარზე მეტი მაჩვენებელი უკვე მაქვს. წინ კიდევ 17 ტურია და ბომბარდირობაზე ვიზრუნებ.

- ასეთ ვითარებაში თანაგუნდელები ხშირად ეხმარებიან ბომბარდირობის კანდიდატს.

- ჩვენთანაც ასეა, თუმცა ეს ბოლო ორ თვეში უფრო საგრძნობია. თანაგუნდელების იმედიც მაქვს და თუ საჭირო გახდა, პენალტებსაც დავარტყამ.

- კარგ ფორმაში ხართ, ნაკრების მატჩამდეც ბევრი აღარ დარჩა. როგორც გავიგეთ, სომხეთთან მატჩისთვის გამოძახებულთა შორის ხართ.

- ჩემი მონაცემები მომთხოვეს, გადავეცი და ალბათ ამ მატჩისთვის სანაკრებო სიაში ვიქნები. 9 თებერვალს სომხეთთან ამხანაგური მატჩი კია, მაგრამ მას სხვა დატვირთვაც აქვს. ეს მატჩი გენერალური რეპეტიციაა ხორვატიასა და ისრაელთან პრინციპული მატჩების წინ. ამასთან, სომხებთან ჩვენი გუნდების თამაშიც ყოველთვის პრინციპულია და ფინალივითაა. ასე იქნება კვიპროსის მატჩიც. გარდა ამისა, რვამატჩიანი წაუგებელი სერია გვაქვს და უნდა გავაგრძელოთ. ბოლოს და ბოლოს, ახალი წელიწადი წარმატებით უნდა დავინყოთ.

- სომხეთის რომელიმე ნაკრებთან თუ გითამაშიათ?

- ვახტანგ კოპალეიშვილის მწვრთნელობისას 18-წლამდელთა ნაკრები ერევანში ვეთამაშეთ სომხებს, ის მატჩი უგოლოდ დასრულდა.

- ანუ სომხეთისთვის ჯერ არ გაგიტანიათ.

- არა, და ყველაფერს ვიღონებ, 9 თებერვალს გავიტანთ და ეს თამაში მოვიგოთ.

გვერდი მოამზადა
დავით ცაბაძემ

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

● პოზიცია

ოსები აღიარებენ: ფიფა და უეფა რუსეთის პირველობაზე თამაშს გვიკრძალავენო

დიდ ხანს, ვეჭვობდით, რომ სამაჩაბლოელი სეპარატისტების გუნდებს რუსეთი მფარველობდა. აღიარებითი ჩვენება ე.წ. სამხეთ ოსეთის საინფორმაციო საშუალებებში ამოვიკითხეთ.

"ოსრადიოს" ვებგვერდის სტატიაში *"სახელის შეცვლა ცხინვალელ ფეხბურთელებს არ აბრკოლებთ"* თავად ამხელენ, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირი სეპარატისტების გუნდის წახალისებას ცდილობს.

ცხინვალის რეგიონს ოსეთის ნაწილად თვლიან და ოსეთის ერთიანი ჩემპიონატი დააარსეს, სადაც ცხინვალის "სპარტაკი" მონაწილეობს, ოღონდ ვლადიკავკაზის "სპარტაკ-ცხინვალის" სახელით.

მიზეზია საინტერესო – ფიფასა და უეფაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეტენზიები ყელში ამოგვივიდა, ოღონდ გაჩერდნენ და სახელის გადარქმევა რა პრობლემაა. იმასაც არ მალავენ, რომ ფიფა-უეფა "სპარტაკის" რუსეთის საფეხბურთო კავშირის ეგიდით გამართულ ოფიციალურ ტურნირებში "რესპუბლიკა იუჟნაია ოსეტიას" გუნდად მონაწილეობის მართლზომიერებას ეჭვქვეშ აყენებენ.

თბილისში მყოფ ფიფას პრეზიდენტ **იოზეფ ბლატერს** ამის თაობაზე რომ ვკითხეთ, უცნაური კომენტარი გააკეთა – ფიფა პოლიტიკაში არ ერევაო. სინამდვილეში, ფიფა, უეფა და მთლიანობაში ფეხბურთი სწორედაც დიდი პოლიტიკის ინსტრუმენტია, ფიფას დებულება კი ერთი ქვეყნის გუნდის მეორის ჩემპიონატში მონაწილეობას კრძალავს, თუ ეს შეთანხმებით არ ხდება. ცხადია, ოსების ცხინვალის "სპარტაკი" რუსეთის საფეხბურთო კავშირის ეგიდით გამართულ ტურნირში ითამაშებს, მაგრამ არა საქართველოს ქალაქის სახელით.

მოსკოვიდან დაფინანსებული "სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ **ვლადიმერ ზასეევის** თქმით, ისტორია 1995 წელს დაინყო, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** ფიფა-უეფაში იჩივლა, მათ კი რუსეთის საფეხბურთო კავშირი გააფრთხილეს და სეპარატისტებსა და მათ მხარდამჭერებს საერთაშორისო კანონების აბუჩად აგდების საშუალება არ მისცეს.

ამის გამო რუსულ ცხინვალის "სპარტაკს", რომელიც 1995 წელს ოსეთის ჩემპიონი გახდა, ტიტული ჩამოართვეს და ტურნირიდან მოხსნეს. თუმცა 1996 წელს ვლადიკავკაზის "იუნოსტად" მონათლეს და ტურნირზე ისევ დაუშვეს, გუნდი კი ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა. ძველი სახელი "სპარტაკი" 2008 წელს დაიბრუნეს. რუსეთის აგრესიის შემდეგ ჩათვალეს, რომ ცხინვალის რეგიონს ცალკე სახელმწიფოდ აღიარებდნენ, მაგრამ მაინც ვლადიკავკაზის სახელით გამოდიან – უეფა-ფიფაში ქართველების ჩივილი სეპარატისტებს გასაქანს არ აძლევს. თუმცა ამას ორიგინალურად ხსნიან – რუსეთს ღია პირველობა არ აქვს, ჩვენ კი რუსეთში არ შევდივართო. საოცრებაა პირდაპირ!

„ომამდე ჩვენი "სპარტაკის" ხალხს დასცინოდნენ, თუ გინდათ, "ოსეტიას" პირველობაზე ითამაშეთ, კარგად გვაფინანსებენო. თუმცა ცხინვალში გამომავალი გაზეთებიდან ჩანს, რომ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. გუნდს ყოველთვის ჰქონდა ფინანსური პრობლემა, ფეხბურთელები ენთუზიაზმით თამაშობდნენო. ზასეევის თქმით, უფრო მაღალი რანგის ტურნირში მონაწილეობის შემთხვევაში სპონსორებს მოვიზიდავთ, მაგრამ უფლებას არ გვაძლევენო. უცნაურია, რომ რუსების "სპარტაკი" ჩვენს ცხინვალის "სპარტაკზე" ღარიბია - მისი ბიუჯეტი 500.000 ათასი რუბლი, ანუ დაახლოებით 16.760 დოლარია, ჩვენისა კი დაახლოებით მილიონი ლარი, ანუ 580 ათას დოლარამდე. სეპარატისტებს თანხა ფორმების, ბურთების შეძენასა და ტრანსპორტირებაში ეხარჯებათ, ხელფასების გაცემას კი ვერ ახერხებენ.

"ტრიბუნა.რუ" ფიფას უტევს, რა უფლება აქვს საქართველოს, ცხინვალისა და აფხაზეთის სახელებს რომ იყენებსო – თავხედობას საზღვარი მართლა არ აქვს.

"საქართველოში არსებობს ცხინვალის "სპარტაკი", გუნდი-ფანტომი, რომლის შესახებაც სამხრეთ ოსეთში ბევრმა არც იცის. ეს კლუბი თბილისში დაფუძნდა, ისევე როგორც "გაგრა". შეხედავთ საქართველოს ჩემპიონატის ცხრილს და დამშვიდდებით: სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს დამოუკიდებლობა არც სურთ, მათი კლუბები კი საქართველოს პირველობაზე მონაწილეობენ. საინტერესოა, ფიფა ასეთ ფოკუსებზე რატომ არ რეაგირებს? საქართველო ევროპაში საფეხბურთო "ჯუჯების" დონეზე თამაშობს, ამ ქვეყნის ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ერთხელაც ვერ გავიდა... სამარცხვინოა ეს მათგან, ვისმა "დინამაც" თასების თასი მოიგო და რომლის შემადგენლობაშიც ისეთი ვარსკვლავები ბრწყინავდნენ, როგორებიც იყვნენ ჩივაძე, ყიფიანი, მესხი, ხურცილავა, დარასელია, გუცაევი..."

სტატია საბჭოთა ფეხბურთის დროინდელ საქართველოს ჩემპიონატში ცხინვალის "სპარტაკის" ბომბარდირ **ვლადიმერ კოზაევის** დაჩაგვრას ეძღვნება. მან 37 გოლი გაიტანა, მაგრამ ბოლო ტურებში კონკურენტებმა გაასწრეს და ბომბარდირობა მაიმუნობით წაართვესო.

"ცხინვალის "სპარტაკს" მრავალი უსამართლობა გადაუტანია. ქართველ "ძმებს" ოსი სპორტსმენების წარმატებები აღიზიანებდათ და ამას ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ".



რა თქმა უნდა, მსგავსი სიბინძურე ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ოსებს ჩაგრავდნენ, არამედ იმიტომ, რომ საბჭოთა სისტემაში კორუფცია და კრიმინალი ნორმა იყო. ამის "ქართველ ნაციონალისტებზე" გადაბრალება გაუგებარია. ასე თბილისის "დინამოს" 1953 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა წაართვეს, რადგან პოლიტბიუროს ფარული მითითებით 1961 წლამდე იმპერიაში მოსკოვურის გარდა სხვა გუნდის ჩემპიონობა, ფაქტობრივად, იკრძალებოდა – ასე რესპუბლიკებში თავისუფლებისადმი ლტოლვა გაიზრდებაო. როდესაც ეს აკრძალვა მოიხსნა, კიევის "დინამომ" დანაკლისი აინაზღაურა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებს ყველაზე მეტჯერ (13-ჯერ) დაეუფლა.

ეს კიდევ არაფერი, "ოსრადიოში" კიდევ ერთი უცნაური შინაარსის სტატიაა. ქართული ფეხბურთის წარმატება სულაც არ იყო ქართველების დამსახურებაო. თურმე ქართულ ფეხბურთმა წარმატებებს აფხაზების, ოსებისა და მეგრელების ხარჯზე მიაღწია. ანუ მეგრელები ქართველები არ არიანო.

"რთული წარმოსადგენია ქართული ფეხბურთი კალოევის, გუცაევის, გაბელიას, შენგელიას, ქეცბაიას, დარასელიას, ცვეიბას, ცაავას, ჭედიას, ჭილაიას (თბილისში ცხინვალიდან წავიდა) და მრავალი სხვა ფეხბურთელის არაქართველის გარეშე.

... იქმნებოდა მითი, თითქოს ქართული ფეხბურთის წარმატებები მხოლოდ ქართველი მწვრთნელების დამსახურებაა, და თითქოს ფეხბურთელების სამჭედლო მხოლოდ თბილისია. თუმცა, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ქართული ფეხბურთს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან მასაზრდოებელი წყარო მოაკლდა და ეს მის შედეგებზე დაუყოვნებლივ აისახა – მათი ნაკრები ერთხელაც ვერ გავიდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე, კლუბები კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში. უეფას თასზეც დასაცინები ხდებოდნენ. ბოლო დროს კი არველაძის, ქეცბაიას, ჯანაშიას, ქინქლაძისა და მსგავსი დონის ნიჭიერ ფეხბურთელებს ვეღარ ზრდიან. ამ დროს წამოვიდა ოსი ფეხბურთელების ძლიერი თაობა, რომელთაგანაც რუსეთის პრემიერლიგის ძლიერი კლუბის შეკრება შეიძლება".

რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ჩამოგვშორდა, მაგრამ ჩვენმა ოსმა მეგობარმა სიმართლესთან მიახლოებისას გადაამლაშა - ახრიკ ცვეიბა მშვენიერი ფეხბურთელი და პიროვნებაა, მაგრამ მას საქართველოს ნაკრებში არ უთამაშია, "დინამოში" მისი ყოფნის დროს კი თბილისური კლუბი წარმატებას ვეღარ აღწევდა – ცხადია, ცვეიბა აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ქართული ფეხბურთის წარმატებასთანაც არ ჰქონდა შეხება. სულელი უნდა იყო, ქართულ ფეხბურთში აფხაზებისა და ოსების როლი უარყო, მაგრამ ქართველების უნიჭობის "აღმოჩენას" ზიზღის სუნი უდის, ჩვენი ფეხბურთელების ნიჭიერებას რუსეთშიც აღიარებენ.

კიდევ - გაბელიას, შენგელიას, ჭედიას, ქეცბაიას, ცაავას და ჭილაიას რომ უთხრათ, ქართველები არ ხართო, თავს წაგაჭრიან, მაგრამ "ოსრადიოში" მეგრელების არაქართველობა რუსი "ისტორიკოსებისგან" იციან. მთავარი ხომ იმის დამტკიცებაა, რომ "სისხლისმსმელი" ქართველები უნიჭონი ვართ.

რა თქმა უნდა, ჩვენმა ნაკრებმა და კლუბებმა ვერაფერს მიაღწიეს და ეს სიმართლეა, მაგრამ ბოლო წლებში არველაძის, ქეცბაიას, ჯანაშიას, ქინქლაძისა და მსგავსი მასშტაბის ფეხბურთელი თუ არ დაბადებულა, ამას აფხაზურ-ოსურ "დამოუკიდებლობას" რატომ აბრალებენ, ვერ გავიგეთ. ნიჭიერები ბავშვები რომ არ გვყავდეს, ჩვენს საფეხბურთო სკოლებში ლამის ყოველდღე უცხოელი სელექციონერები არ ირბენდნენ.

და თუ ჩვენი ოსები საკუთარი რესურსებით რუსეთის პრემიერლიგის ძლიერ კლუბს ჩამოაყალიბებენ, გაგვიხარდება, ძმებო, მაგრამ ასე მგონია, გამორჩეული ქართველი ფეხბურთელების გუნდი რუსეთზე უკეთეს ლიგაშიც არ დაიჩაგრებოდა.

-დაბოლოს, ერთი ვერ გავიგე, საბჭოთა კავშირის დროინდელი ცხინვალის "სპარტაკი" ღამ-ღამობით თამაშობდა, მისი საოცარი ფეხბურთის შესახებ რომ არაფერი გვსმენია? იქნებ, არ ვიცით და თბილისის "დინამომ" მის ნაცვლად მოიპოვა ტიტულები?

თუმცა, არ ვვინდა ცინიზმი - იმედია, ჩხუბისა და ომის ეპოქა მალე გადაივლის და ჩვენი ოსი და იგივე აფხაზი ძმები საქართველოს ჩემპიონატს თუნდაც იმიტომ დაუბრუნდებიან, რომ სხვა გზა არ აქვთ – ამას მოლდოველი სეპარატისტების გუნდის, ტირასპოლის "შერიფის" პრორუსული ხელმძღვანელობა დროულად მიხვდა და ბევრიც მოიგო. ფიფა და უეფა აფხაზეთის, ცხინვალისა და დნესტრისპირეთის სეპარატისტებს რუსეთის პირველობაზე კლუბების გაყვანის უფლებას არ მისცემს.

● თანამეგობრობის თასი

აზერბაიჯანმ!

ცხადაძემ ინტერ-ნაციონალური ისტორია შექმნა

გუშინ პეტერბურგში "თანამეგობრობის თასის" ყველაზე დაძაბული და პრინციპული შეხვედრა გაიმართა: მეოთხედფინალში აზერბაიჯანის ჩემპიონი ბაქოს "ინტერი" სომხეთის წარმომადგენელ ერევნის "მიკას" დაუპირისპირდა. ჩვენი მეზობლების ურთიერთობებიდან გამომდინარე, შეხვედრა სპორტული დაპირისპირების ფარგლებს გასცდა და პეტერბურგის სპორტული კომპლექსი ხალხით გაიჭედა, უმრავლესობა აზერბაიჯანელი იყო.

ტურნირის ისტორიაში ამ ქვეყნების კლუბები ერთმანეთს მეორედ შეხვდნენ. პირველად 2005 წლს ბაქოს "ნეფთჩიმ" ერევნის "პიუნიკი" 2:0 დაამარცხა. მაშინ თამაში კინაღამ დიდ უსიამოვნებაში გადაიზარდა. რამდენიმე სომეხმა გულშემატკივარმა აზერბაიჯანის დროშაზე საკუთარი ქვეყნისა გადაკიდა, მატჩის შემდეგ კი ფეხბურთელებმა ერთმანეთზე გაინიეს. არავინ უწყის, რა დატრიალდებოდა, სამართალდამცავები რომ არ ჩარეულიყვნენ.

2006 წელს "ნეფთჩი"—"პიუნიკის" ნახევარფინალი სომხების უარის გამო ჩაიშალა. მათ მოსკოვი დატოვეს, რაც უსაფრთხოების მოსაზრებით ახსნეს. ამის გამო ტურნირის ორგანიზატორებმა სომხური კლუბი დასაჯეს და 2007 წლის გათამაშებაში არ დაუშვეს.

იყო ვარაუდი, რომ მატჩი ამჯერადაც ჩაიშლებოდა, მაგრამ შიში არ გამართლდა. სპეცდანიშნულების რაზმის წევრები ისე განლაგდნენ, მონინააღმდეგეთა გულშემატკივრების კონტაქტი რომ გამორიცხულიყო.

სპორტული თვალსაზრისით, აზერბაიჯანის ჩემპიონი სომხურ კლუბს კლასით სჯობდა. ამის მიუხედავად, მსგავსი პრინციპული შეხვედრის შედეგის გამოცნობა ძალიან რთულია – აქ მთავარი ფსიქოლოგიური მომზადებაა, კლასი კი ხშირად მეორეხარისხოვანი ხდება. ასეთი პარადოქსები მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას ბევრი ახსოვს.

თუმცა **კახა ცხადაძის** "ინტერმა" **კარლსონსის** (37, 59), **ლევინისა** (23) და **კრუგლოვის** (51) გოლებით "მიკა" იოლად დაამარცხა - 4:0. ქართველებიდან არავის გაუტანია, თუმცა ყველამ ითამაშა – **გიორგი ლომაია, ვალერი აბრამიძე, ილია კანდელაკი** და **დავით ოდიკაძე** ძირითადში იყვნენ, **კახა მჟავანაძე** და **ბაჩანა ცხადაძე** კი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდნენ. აღსანიშნავია, რომ მსაჯს ერთი ყვითელი ბარათიც არ უჩვენებია.

მატჩის შემდეგ აზერბაიჯანელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ცხადია გახარებული იყო "ინტერის" მწვრთნელი ცხადაძე: *"მართალია, "ინტერში" ბევრი არაა ზერბაიჯანელია, მაგრამ აზერბაიჯანელი ხალხის ტკივილი თითოეულ მათგანს ესმოდა და მატჩის მნიშვნელობის ახსნა არ დამჭირვებია. ჩვენი ამოცანა იყო, პირველივე ტაიმში გაგვეტანა და ეს მოვახერხეთ. მიხარია, რომ უკვე მეოთხე მატჩია, ბურთი არ გაგვიშვია. ახლა უკვე ნახევარფინალისთვის უნდა მოვემზადოთ, სადაც სერიოზული მეტოქე გველის".*

გამარჯვება ყოველთვის სასიხარულოა, მით უფრო, პრინციპულ მეტოქესთან. და კიდევ – ამ გამარჯვების შემდეგ ცოტა ხნით მაინც იყუჩებენ ქართველთა წარუმატებლობაზე ჩასაფრებულები.

აღსანიშნავია "მიკას" მწვრთნელ **არმენ შახგელდიანის** ღირსეული საქცელი, რომელმაც მატჩის შემდეგ მონინააღმდეგეს და ქართველ კოლეგას გამარჯვება მიულოცა.

ნახევარფინალში "ინტერი" 21 იანვარს მასპინძელ "ზენიტს" შეხვდება, მეორე ნახევარფინალში კი "სკონტო"–"შახტიორი" (ბელარუსი) დაწყვილდნენ.

რუსთავი თურქეთს გრასჰოპერსით გახსნის

გუშინ რუსთავის "ოლიმპი" მოსამზადებლად სიდეში გაემგზავრა. კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **თორნიკე მაისურაძემ** თურქეთში შემდეგი ფეხბურთელები ნაიყვანა:

მეკარეები: **ბედიაშვილი, ბათიაშვილი.**

მცველები: **ღონღაძე, კვახაძე, რეხვიაშვილი, მურველაშვილი, ჯაფარიძე, ქემოკლიძე.**

ნახევარმცველები: **სეთურიძე, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, ქურდობაძე, გორდეზიანი, რაზმაძე, ქავთარაძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, გენაძე, ბახტაძე.**

თავდამსხმელები: **მოდებაძე, უგულავა.**

მაისურაძემ გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მიიწვია: **ბახტაძე, სეთურიძე** (არ შეგეშალოთ გიორგი სეთურიძეში), **ქურდობაძე** და **მურველაშვილი**. კლუბს სიდეში ტალინის "ფლორას" ნახევარმცველი **ზაქარია ბეგლარიშვილი** შეუერთდება. კლუბის დამფუძნებელ **მამუკა გუგეშაშვილის** თქმით, "ოლიმპს" ბეგლარიშვილის გამოსყიდვა სურს და ესტონელთა თანხმობას ელის. თურქეთში ჩავა ნახევარმცველი **მაისურაძეც**, რომელიც ბოლოს ბელარუსში თამაშობდა.

რუსთაველებს უკვე შეუერთდა შვეიცარიელი ფიზმომზადების მწვრთნელი **ოლდრიხ შვაბი**.

საქართველოს ჩემპიონი სიდეში ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავს: 23 იანვარს - "გრასჰოპერსთან", 27 იანვარს - "ზალცბურგთან", 30-ში - შვეიცარიულ "ვილთან", 1 თებერვალს - თურქეთის დაბალი ლიგის ერთ-ერთ კლუბთან, 2 თებერვალს კი გუნდი საქართველოში დაბრუნდება.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● გამოხმაურება

საფეხბურთო გემოვნება: სადავო და უდავო

ათი დღე გავიდა იმის მერე, ფიფასა და პოპულარული ფრანგული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვის შედეგები რომ გამოცხადდა; შეგახსენებთ, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ჩატარებულ საზეიმო დაჯილდოებაზე ერთდროულად რამდენიმე ნომინაცია იყო: „წლის ფეხბურთელი“, „წლის მწვრთნელი“, „საუკეთესო გოლი“, „საუკეთესო ქალი ფეხბურთელი“, „ფეარ პლეის პრიზი“, „წლის სიმბოლური ნაკრები“ და ასე შემდეგ. თუმცა განსაკუთრებულ ინტერესს ორი ნომინაცია („წლის ფეხბურთელი“, „წლის მწვრთნელი“) იწვევდა და სწორედ ამ ნომინაციებში გამარჯვებულთა დასახელებას მოჰყვა კიდეც აზრთა სხვადასხვაობა, დღემდე რომ არ შეწყვეტილა და, ალბათ, კვლავაც დიდხანს იქნება საკამათო თუ გარკვეული სჯაბაასის საგანი. ერთი მხრივ, ნებისმიერი გამოკითხვა, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში, გარკვეულ კითხვებს ტოვებს ხოლმე; ბოლოს და ბოლოს, იმავე „ოქროს ბურთის“ გამოკითხვის ისტორიაში ერთი და ორი შემთხვევა ნამდვილად არ ყოფილა, როცა გამარჯვებულზე მეტად ამ აღიარებას სხვა იმსახურებდა. წლევანდელი სიტუაცია კი, ცოტა არ იყოს, განსხვავებულია; განსხვავებულია იმითაც, რომ იმავე **ლეო მესიზე** და **ჟოზე მოურინიოზე** მართლაც ძნელია იმის თქმა, მსოფლიოში საუკეთესოდ დაუმსახურებლად აღიარესო; თუმცა ფეხბურთის ქომაგთა, ალბათ, უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ 2010 წლის საუკეთესო ფეხბურთელისა და საუკეთესო მწვრთნელის პრიზები... ესპანეთის წარმომადგენლებს უნდა შეხვედროდათ: **ინიესტასა** (გნებავთ, **ჩავის**) და **დელ ბოსკეს.** ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გასული წლის ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება ხომ დელ ბოსკეს მიერ დამოძღვრილმა ესპანეთის ნაკრებმა მიაღწია, რომლის შემადგენლობაშიც ინიესტა და ჩავი ბრწყინავდნენ. თანაც, სტატისტიკაც იმას მოწმობს, რომ იმ წლებში, როცა მსოფლიოს ჩემპიონატები ტარდება, წლის ფეხბურთელად სწორედ მუნდიალის გამარჯვებული გუნდის წარმომადგენლებს (ან, ფინალისტს თუ მესამე პრიზიორს) ასახელებდნენ. გამონაკლისი, მხოლოდ 1986 და 1978 წლებში იყო: პირველ შემთხვევაში „ოქროს ბურთი“ საბჭოთა კავშირის ნაკრების ფორვარდს **იგორ ბელანოვს** გადაეცა; აი, 1978 წელს კი მართლა „უნიკალური“ ფაქტი დაფიქსირდა: „ოქროს ბურთი“ **კევინ კიგანმა** მოიპოვა, არადა, არც მას და არც ინგლისის ნაკრებს იმ წლის მუნდიალზე არ უასპარეზიათ...

...ლეო მესი მართლაც მოვლენაა თანამედროვე ფეხბურთში და 2010 წლის მუნდიალის დაწყების წინ სწორედ იგი მიიჩნეოდა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობის უპირველეს კანდიდატად. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, არგენტინელმა ვირტუოზმა მუნდიალი ნაადრევად დაასრულა (ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა) და ამიტომაც ეგონა ბევრს, რომ „წლის საუკეთესო ფეხბურთელის“ პრიზს „ბარსელონაში“ მისი ორი ჯადო პარტნიორიდან ერთ-ერთი დაისაკუთრებდა — ინიესტა ან ჩავი; თუმცა, როგორც უკვე ყველამ იცის, 2010 წლის ორივე ტრიუმფატორს, ისე როგორც ესპანელთა ნაკრების გამარჯვების კიდევ ერთ შემოქმედს, ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს სხვები ამჯობინეს...

წლეულს პირველად მოხდა, ფიფამ და „ფრანს ფუტბოლმა“ ერთიანი გამოკითხვა რომ ჩაატარეს; წინა წლებში (ერთი-ორ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით), შედეგები იდენტური იყო: „ფრანს ფუტბოლი“ გამოკითხვას ჟურნალისტებში ანარმოებდა, ხოლო ფიფას გამოკითხვაში ნაკრებების მთავარი მწვრთნელები და კაპიტნები იღებდნენ მონაწილეობას. არადა, 2010 წელს ეს „ნოვაცია“ რომ არ ყოფილიყო, განსხვავებულ სურათს მივიღებდით; ანუ, ფიფას რჩეული (ნაკრებების მწვრთნელებისა და კაპიტნების გამოკითხვით) ლეო მესი იქნებოდა, აი, „ფრანს ფუტბოლის“ ვერსიით კი „ოქროს ბურთს“ არც — ჩავი, არც — ინიესტა, არამედ... **ვესლი სნეიდერი** მოიპოვებდა! თუმცა სჯობს ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ.

მწვრთნელები

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 136 ნაკრების მწვრთნელმა; ოღონდ, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, გამოკითხულთა შორის არ არიან რამდენიმე ნაკრების (მათ შორის, არგენტინის, დანიის) მწვრთნელები. თუმცა, საერთო სურათი მაინც არ შეიცვლებოდა: ლეო მესიმ აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა და მწვრთნელების უმრავლესობის აზრით, სწორედ არგენტინელი გახლავთ 2010 წლის მსოფლიოს ნომერ პირველი ფეხბურთელი. 51-მა მწვრთნელმა მესის I ადგილი მიაკუთვნა, 30-მა — II, 12-მა — III, ეს კი 417 ხმას უდრის. მწვრთნელთა გამოკითხვისას მეორე ადგილზე ინიესტა (198 ხმა) გავიდა, მესამეზე — ჩავი (196), მეოთხეზე — სნეიდერი (132). მწვრთნელები სამ რჩეულთა შორის, მესის, ინიესტას, ჩავისა და სნეიდერის გარდა, **კრიშტიანო რონალდოსა** და **დიეგო ფორლანსაც** ასახელებდნენ; ამას გარდა, იყვნენ ისეთებიც, რომელთა აზრითაც 2010 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობას **იკერ კასილიასი, კარლეს პუიოლი, დიდიე დროგბა, სამუელ ეტო, ჩაბი ალონსო, მესუთ იოზილი** თუ **დავიდ ვილია** იმსახურებდნენ. ქვემოთ წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ნაკრებთა მწვრთნელთა არჩევანი გვინდა შემოგთავაზოთ. რა თქმა უნდა, „განსხვავებული“ და „ორიგინალური“ გემოვნების მქონე მწვრთნელების რჩეულებსაც უნდა გავეცნოთ; მაგრამ, მოდი შევთანხმდეთ: გემოვნებაზე ხომ... მუდამ დავობენ!

თურქეთი (საქართველო): **ჩავი, რობენი, ფორლანი**

ლუის მენეზესი (ბრაზილია): **მესი, ჩავი, რობენი**

სლავენ ბილიჩი (ხორვატია): **მესი, ჩავი, სნეიდერი**

ფაბიო კაპელო (ინგლისი): **ინიესტა, ჩავი, მაიკონი**

ლორან ბლანი (საფრანგეთი): **ჩავი, სნეიდერი, ინიესტა**

იოახიმ ლიოვი (გერმანია): **ჩავი, მესი, ფორლანი**

ჩეზარე პრანდელი (იტალია): **სნეიდერი, ინიესტა, მესი**



ბერტ ვან მარვიკი (ჰოლანდია): **?, მესი, ჩავი**

პაულუ ბენტუ (პორტუგალია): **ჩავი, მესი, ინიესტა**

დიკ ადვოკაატი (რუსეთი): **მესი, სნეიდერი, შვაინშტაიგერი**

ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთი): **მესი, რონალდო, შვაინშტაიგერი**

ოტმარ ჰიტცფელდი (შვეიცარია): **მესი, სნეიდერი, ფორლანი**

ოსკარ ტაბარესი (ურუგვაი): **მესი, ჩავი, მიულერი**

გუუს ჰიდინკი (თურქეთი): **ჩავი, სნეიდერი, მესი**

რაზვან ლუჩესკუ (რუმინეთი): **სნეიდერი, პუიოლი, ეტო**

ლუის ფერნანდესი (ისრაელი): **ინიესტა, ჩავი, ეტო**

ლოთარ მათეუსი (გულგარეთი): **მესი, ინიესტა, მიულერი**

ნოპო კასტო (ეკვატორული გვინეა): **კასილიასი, რონალდო, დროგბა**

ლი ტაე ჰუნი (კამბოჯა): **იოზილი, მესი, ჩავი**

ბერტი ფოგთსი (აზერბაიჯანი): **ფორლანი, მიულერი, კასილიასი**

ჰოლგერ ოსიეკი (ავსტრალია): **სნეიდერი, ვილია, იოზილი**

აკბარ პატელი (მავრიტანია): **ვილია, მიულერი, იოზილი**

სანდაგორი ერდენეგათი (მონღოლეთი): **ვილია, ინიესტა, ფორლანი**

სიმონ მაკმანამი (ფილიპინეები): **ვილია, მიულერი, ფორლანი**

დ.ჩანდრასირი (შრი ლანკა): **ჩაბი ალონსო, ჟულიო სეზარი, მესი**

ბრაიან როგსონი (ტაილანდი): **ვილია, ფორლანი, კლოზე**

სესარ ფარიასი (ვენესუელა): **ფორლანი, მაიკონი, მესი**

ენდრუ მორისონი (სეიშელი): **დროგბა, ინიესტა, ჩავი**

ჯონ გუტიგეგი (მალტა): **პუიოლი, ინიესტა, ?**

სამმა მწვრთნელმა ზუსტად გამოიცნო პირველი სამეული (**მესი, ინიესტა, ჩავი**): **ავონდეილ ვილიამსმა** (ვინჯენიის კუნძულები), **ვლადიმირ პეტროვიჩმა** (სერბეთი) და **ვადიმ აბრამოვმა** (უზბეკეთი).

კაპიტნები

ისე როგორც მწვრთნელების შემთხვევაში, აქაც მსოფლიოს 136 ქვეყნის ნაკრების კაპიტნებმა მიიღეს გამოკითხვაში მონაწილეობა (კვლავაც არასრული სიაა — არგენტინისა და დანიის ნაკრებების კაპიტნები არ ფიგურირებენ); კაპიტანთა უმრავლესობამაც ლეო მესი მიიჩნია საუკეთესოდ, ვინც 312 ხმა მოაგროვა (45-მა I ადგილი მიაკუთვნა, 26-მა — II, 9-მ — III); მეორე ადგილზე ჩავი გავიდა 190 ხმით (26, 16, 12), მესამეზე — ინიესტა 163 ხმით (17, 20, 18). სნეიდერი აქაც მეოთხე იყო 139 ხმით (15, 18, 10). მწვრთნელებისგან განსხვავებით, ვერც ერთმა კაპიტანმა ზუსტად ვერ გამოიცნო პირველი სამეული (მესი, ინიესტა, ჩავი); თუმცა, „ორიგინალურობის“ თვალსაზრისით, ზოგიერთი ნაკრების კაპიტანმა მართლაც რომ გაგვაოცა...

კახა კალაძე (საქართველო): **მესი, ინიესტა, ჟულიო სეზარი**

როგინიო (ბრაზილია): **მესი, ჩავი, ფორლანი**

იოსი ბენაიუნი (ისრაელი): **დროგბა, ჩაბი ალონსო, მესი**

სემი ჰიბია (ფინეთი): **პუიოლი, შვაინშტაიგერი, ფორლანი**

ჯორჯ დაბლინი (ანტიგუა და ბარბუდა): **მაიკონი, სნეიდერი, რობენი**

ამინულ ჰოკე (ბანგლადეში): **კასილიასი, იოზილი, მესი**

ტომას ვერმაელენი (ბელგია): **ფაბრეგასი, მესი, დროგბა**

ვლადიმირ ნიონკურუ (ბურუნდი): **ეტო, მესი, დანი ალვეში**

მიკ ოუკი (კამბოჯა): **კასილიასი, იოზილი, ვილია**

მარიო იეპესი (კოლუმბია): **ჩაბი ალონსო, მესი, ფორლანი**

პრინს ბლენსონი (დომინიკა): **შვაინშტაიგერი, კასილიასი, ?**

ვალტერ აიოვი (ეკვადორი): **ეტო, მესი, იოზილი**

გორან პანდევი (მაკედონია): **სნეიდერი, მაიკონი, ჟულიო სეზარი**

გუსტავო კაბრერა (გვატემალა): **ფორლანი, კასილიასი, ჩაბი ალონსო**

პაულინიო და კოშტა (სან ტომე): **ეტო, დროგბა, ასამოა გიანი**

იშაკ შაპრილი (სინგაპური): **ფორლანი, პუიოლი, მიულერი**

ფანრიტ ნატაპორნი (ტაილანდი): **ვილია, ფორლანი, კლოზე**

ჟურნალისტები

„ნოვაციამ“, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად „ფრანს ფუტბოლსა“ და ფიფას ერთიანი გამოკითხვა ჩაეტარებინა, ყველაზე ძალიან... **ვესლი სნეიდერი** დააზარალა. ნაკრების მწვრთნელებისა და კაპიტნების უმრავლესობამ 2010 წლის საუკეთესო ფეხბურთელად თუ მესი აირჩია, აი, ჟურნალისტებს ამ შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული აზრი ჰქონდათ. თანაც, იმავე მწვრთნელებისა თუ კაპიტნების გამოკითხვისაგან განსხვავებით, გამოკითხულ ჟურნალისტთა რაოდენობა უფრო მეტი იყო, მაგრამ მედიის რჩეულთა შორის მესიმ... მეოთხე ადგილი დაიკავა! „ბარსელონას“ არგენტინელმა ვარსკვლავმა 182 ხმა მოაგროვა (18-I, 22-II, 26-III) და არცთუ დიდი სხვაობით აჯობა მე-5 ადგილზე გასულ **დიეგო ფორლანს**. მესამე ადგილზე 248 ხმით ჩავი გავიდა (36-I, 20-II, 8-III), აი, პირველ და მეორე ადგილზე გასულ სნეიდერსა და ინიესტას შორის სერიოზული კონკურენცია მიდიოდა და საბოლოოდ, მცირე უპირატესობით „ინტერის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა გაიმარჯვა. სნეიდერმა 320 ხმა მოაგროვა (35-I, 40-II, 25-III), ხოლო ინიესტამ - 313 (40-I, 33-II, 14X1). მოკლედ, იმის მაგივრად, რომ სნეიდერს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისათვის განკუთვნილი „ოქროს ბურთი“ მიეღო, საბოლოო ჯამში მხოლოდ... მეოთხე ფეხბურთელობას დასჯერდა. ისე კი, არ გამოვრიცხოთ, რომ ფიფასა და „ფრანს ფუტბოლის“ ერთობლივი გამოკითხვა მომავალში ისევ „განცალკევდეს“; ყოველ შემთხვევაში ამ „ექსპერიმენტს“ უკვე არაერთი მონინააღმდეგე გამოუჩნდა და მათ შორის, უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინიც** გახლავთ.

... აი, მედიის რჩეულნიც (მწვრთნელებისა და კაპიტნების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც არასრული ჩამონათვალია)...

საქართველო: ვილია, ფორლანი, კლოზე
არგენტინა: მესი, ინიესტა, ფორლანი
ბრაზილია: ჩავი, ინიესტა, სნეიდერი
დანია: ჩავი, სნეიდერი, მესი
ინგლისი: სნეიდერი, ინიესტა, შვაინშტაიგერი
საფრანგეთი: მესი, ინიესტა, ეტო
გერმანია: სნეიდერი, მესი, რობენი
საბერძნეთი: სნეიდერი, ჩავი, ინიესტა
იტალია: სნეიდერი, ინიესტა, მიულერი
ჰოლანდია: ინიესტა, ჩავი, სნეიდერი
პორტუგალია: ჩავი, მესი, სნეიდერი
რუსეთი: სნეიდერი, ჩავი, ფორლანი
ესპანეთი: ჩავი, მესი, სნეიდერი
შვედეთი: სნეიდერი, ჩავი, ფორლანი
აშშ: ჩავი, მესი, სნეიდერი
ურუგვაი: მესი, ფორლანი, ინიესტა
თურქეთი: ჩავი, ინიესტა, იოზილი
შვეიცარია: ინისტა, სნეიდერი, ფორლანი
ჩეხეთი: ფორლანი, კასილიასი, მესი

ახლა კი, „განსხვავებული“ გემოვნების ჟურნალისტების რჩეულებსაც წარმოგიდგენთ

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა: ეტო, ინიესტა, ფორლანი
ჩადი: ასამოა გიანი, მესი, ეტო
დემოკრატიული კონგო: ჩაბი ალონსო, კასილიასი, მესი
ფინეთი: პუიოლი, მესი, სნეიდერი
კენია: ვილია, ინიესტა, ეტო
ჩრდილოეთ კორეა: კასილიასი, ინიესტა, მიულერი
მავრიტანია: იოზილი, ვილია, ფორლანი
სან-მარინო: რობენი, იოზილი, ინიესტა
ტანზანია: ვილია, სნეიდერი, ასამოა გიანი
გამბია: რონალდო, მესი, ეტო

პირველი სამეული (მესი, ინიესტა, ჩავი) ზუსტად მხოლოდ ალჟირელმა ჟურნალისტმა გამოიცნო.

გია ტუხაშვილი

ტრანსფერი

დარენ ბენტი მოღალატეა?

დარენ ბენტი „ასტონ ვილაში“ გადავიდა, რამაც „სანდერლენდის“ მწვრთნელი **სტივ ბრუსი** გააბრაზა და თავის ყოფილ ფეხბურთელს სულ მატყუარა და მოღალატე უწოდა. ბრუსმა თქვა, რომ ასეთი მუხანათური გაქცევით ბენტმა უღალატა „სანდერლენდის“ ფანებს, თანაგუნდელებსა და, რასაკვირველია, მწვრთნელსაც.

გუშინაც მოგახსენებდით, რომ ბენტის ტრანსფერი „სანდერლენდისთვის“ სარეკორდოა. ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისის ამ გუნდს 24 მილიონ ფუნტად ფეხბურთელი არასდროს გაუყიდია, თუმცა სინამდვილეში არც მთლად ისეა საქმე, მკითხველს რომ შეიძლება ეგონოს. 24 მილიონიდან 6 „ტოტენჰემისაა“. რატომ? კონტრაქტით გახლდათ გათვალისწინებული, რომ გაყიდვის შემთხვევაში „სანდერლენდი“ დარენ ბენტის ყოფილ გუნდს, „ტოტენჰემს“ (რომლისგანაც იყიდა ფეხბურთელი) 3 მილიონს გადაუხდიდა და 3 მილიონიც ჩვეულებრივი ვალი იყო - სანდერლენდელებს ტრანსფერის ღირებულება მთლიანად არ ჰქონდათ გადახდილი.

თუმცა, ჯობს განრისხებულ ბრუსს დავუბრუნდეთ, რომელმაც თქვა: *„ჩვენს გუნდში დარენს ყველა მხარს უჭერდა, ყველა ამხნევებდა და ყველა ცდილობდა მასთან ემეგობრა, მაგრამ იმასაც ვატყობდით, რომ ბოლო კვირების განმავლობაში ის ძველებურად აღარ ინდომებდა. უგულოდ ვარჯიშობდა. ჩვენ ვცდილობდით მივხვედრილიყავით, რატომ ხდებოდა ასე, მაგრამ ვერ ვხვდებოდით.*

ძალიან სამწუხაროა, რომ დარენმა თავისი მომავალი თანაგუნდელების და მეგობრების მოტყუებაზე ააგო. ჩვენთან, „სანდერლენდში“, ყველას აქვს სრული უფლება, თავი ნაღალატებად მიიჩნიოს. მერედა, ბენტმა გაპარვისთვის ძალიან მუხთალი დრო შეარჩია - საქმეები სწორედ ახლა მიგვდიოდა კარგად, გუნდი ძლიერდებოდა“.

ბრუსის უკმაყოფილება იმანაც გააძლიერა, რომ ბენტში მიღებული ფული მას ახალი, ძლიერი თავდამსხმელის ყიდვისათვის არ ჰყოფნის ანუ დანაკარგს, სავარაუდოდ, ვერ აინაზღაურებს. გარდა ამისა, არის ფსიქოლოგიური ფაქტორიც: დარენ ბენტი გახლდათ გუნდის ვარსკვლავი, რომელიც ურიცხვ ინტერვიუში არა მხოლოდ სანდერლენდს და სანდერლენდელებს, არამედ მთელ ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისს უხსნიდა სიყვარულს და ერთგულებასაც ეფიცებოდა. გუშინაც მოგახსენებდით, რომ „ასტონ ვილასთან“ ბენტმა ოთხწლიანადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც კვირაში 80 ათას ფუნტს მიიღებს - „სანდერლენდში“ მისი ჯამაგირი 35 ათასი ფუნტი გახლდათ. როგორც ჩანს „სანდერლენდის“ ხელმძღვანელთათვის მოულოდნელი გახლდათ ის, რომ ბენტმა გათავისუფლების შესახებ განცხადება კლუბის ოფისში კვირა საღამოს, უეარ-ტაინის ემოციური დერბის დასრულებიდან ორიოდ საათში მიიტანა - „სანდერლენდისა“ და „ნიუკასლის“ შეხვედრაში მასპინძლებმა ანგარიში ბოლო წამს გაათანაბრეს.

26 წლის ფეხბურთელმა კლუბის მიერ წაყენებული ბრალდებები უარყო. მან თქვა: *„არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ ცუდად მოვიქეცი. არაფერი იქიდან, რასაც ხალხი ჩემზე ამბობს, გულს არ ეკარება. დიდი ბოდიში, ყველაფერი ასე რომ დასრულდა, მაგრამ მსგავსი შანსი კიდევ როდის მომეცემოდა, ზრავინ იცის“.*

საინტერესოა, რომ „სანდერლენდის“ თავმჯდომარე **ნაიალ ქუინმა** გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც დარენ ბენტს გუნდისთვის განეული დახმარებისთვის მადლობა ერთი სიტყვითაც არ გადაუხდია. განცხადებაში წერია:

„ახლა მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ადგილზე არ გავჩერდეთ და წინ წავიდეთ. ბოლო 36 საათის განმავლობაში ვცდილობდით დარენის სანაცვლოდ ადეკვატური თანხა მიგვეღო“.

ამბები

ერთიანი გიგზიოთეკა

გიგზს ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

რაიან გიგზს „მანჩესტერ იუნაიტედში“ ახალ კონტრაქტს სთავაზობენ. მხარეებს შორის მოლაპარაკება მალე დაინყება. მოგეხსენებათ, 37 წლის ვარსკვლავის ამჟამინდელ ხელშეკრულებას ძალა სეზონის დამთავრებისთანავე ეკარგება.

ერთი სიტყვით, რაიან გიგზი ახალი ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებასთან არის ახლოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის „ოლდ ტრეფორდზე“, არც მეტი-არც ნაკლები, 22-ე სეზონს გაატარებს. „იუნაიტედის“ აღმასრულებელმა შეფმა **დევიდ გილმა** ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა:

„ნამდვილად არ გამიკვირდება, გიგზმა კიდევ ერთი წლით რომ ისურვოს ჩვენთან ყოფნა. სავარაუდოდ, ეს თებერვალში ან მარტის დასაწყისში მოხდება. ასაკის მიუხედავად ის შესანიშნავ ფორმაშია, ჯანი და სისწრაფე მოსდევს და ახალგაზრდებისთვის სამაგალითოა“.

ჯეკ უილშერი დააკავეს

„არსენალის“ 19 წლის ვარსკვლავი **ჯეკ უილშერი** ტაქსის მძღოლის შეურაცხყოფის გამო დააკავეს. ტაქსისტმა ლონდონის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში იჩივლა. ახლა უილშერი ერთი თვით თავდებით გახლავთ გამოშვებული.

როგორც ირკვევა, ყმაწვილი ვარსკვლავი გახლდათ ერთ-ერთი მათგანი, ვინც 19 დეკემბერს ლონდონის უბან პედინგტონში ტაქსი გააჩერა და მძღოლი შეურაცხყო. ამბობენ, მავანნი საცემადაც გაეკაჩნენო. 60 წლის ტაქსისტის საჩივრის თანახმად მან სცადა ახალგაზრდებისთვის აეხსნა, რომ მორიგეობა დაუსრულდა, მაგრამ მას აგინეს. ნაგინები და შეურაცხყოფილი მძღოლი პოლიციაში მივიდა. თავდაპირველად მან არ იცოდა, რომ ხულიგანთა შორის ერთ-ერთი უილშერი იყო. ეს მოგვიანებით მავანმა მოწმემ დაადასტურა, რომელიც ინციდენტს უყურებდა და ფეხბურთელი იცნო. ჯეკ უილშერის ხელფასი კვირაში 50 ათასი ფუნტია.

გრანტმა ოჯახს არ დაუჯერა

ავრამ გრანტს „ვესტ ჰემისა“ და „არსენალის“ შეხვედრის წინ ოჯახი „ჩაქუჩთა“ მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგომას ურჩევდა. ეს ამბავი სწორედ იმ დღეებში მოხდა, როდესაც ინგლისურ პრესაში ყოველდღე ინერებოდა, რომ ლონდონურ დერბიში დამარცხების შემთხვევაში გრანტს **მარტინ ო'ნილი** შეცვლიდა. ნიადაგ ასეთი ცნობების წაკითხვა ებრაელი მწვრთნელისთვის, რასაკვირველია, ძალიან შეურაცხმყოფელი იყო და ამიტომაც მოინვია „ოჯახური თათბირი“, რომელშიც მეუღლე და შვილები მონაწილეობდნენ. ოჯახის წევრებს უნდოდათ, გრანტს „არსენალთან“ შეხვედრისთვის თავი აერიდებინა, რადგან „მეთოფეები“ მის გუნდს დაამარცხებდნენ, რის შემდეგაც მას თანამდებობიდან გააგდებდნენ და ეს ძნელი შესაგუებელი იქნებოდა. მოგეხსენებათ, „არსენალმა“ მართლაც 3:0 მოუგო პრემიერლიგის აუტსაიდერს, თუმცა გრანტმა ოჯახს არ დაუჯერა და ამ შეხვედრაში კვლავ თავის ამპლუაში იყო. თამაში რომ დასრულდა მან „ვესტ ჰემის“ შარფი მოიხსნა და მაყურებლებს გადაუგდო - ეს ერთგვარი გამომშვიდობებაც იყო.

გრანტების ოჯახის მავანმა მეგობარმა ტაბლოიდებს უამბო: *„ავრამის ცოლ-შვილს უნდოდა, რომ ის გადამდგარიყო, რადგან მის ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა ზეწოლისთვის უნდა გაეძლო იმ დღეს მათ უახლოეს ადამიანს და წაგების შემთხვევაში რა მუხანათობის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ყოველდღე იმის წაკითხვა და მოსმენა, რომ სამსახურიდან აგდებენ ძნელი იყო, მაგრამ ავრამმა მაინც ვერ შეძლო თანამდებობიდან გადადგომა. სხვათა შორის წაგების მიუხედავად „ვესტ ჯემის“ ბიჭებმაც ივაჟკაცეს, თავი დადეს, რომ ყველაფერი კარგად დასრულებულიყო. მატჩის შემდეგ გასახდელში შესულს ბიჭებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს, მერე კი ისიც გახდა ცნობილი, რომ ო'ნილი „ვესტ ჰემის“ მწვრთნელობაზე უარს ამბობს“.*

საბოლოოდ ავრამ გრანტი თანამდებობაზე დარჩა. გუშინ, „ჩაქუჩების“ მეპატრონეებს **დევიდ სალივანსა** და **დევიდ გოლდს** ის სატრანსფერო საკითხებზე სალაპარაკოდ ჰყავდათ დაბარებული.

კენი სუარესთან ახლოს არის

„ლივერპულის“ ახალი თავკაცი **კენი დალგლიში** „აიაქსიდან“ 23 წლის ურუგვაელი თავდამსხმელის **ლუის სუარესის** გადაყვანის იდეას არ ეშვება და, როგორც ამბობენ, გარიგებასთან ახლოსაც არის. მერსისაიდელთა ამერიკელი მეპატრონე **ჯონ ჰენრი** და სუარესი სამშაბათს ლონდონში შეხვდნენ ერთმანეთს. საუბარი ნაყოფიერი გამომდგარა. საინტერესოა, რომ სუარესის გარდა ჰენრიმ აგენტ **პერე გვარდიოლასთან** ერთადაც ისადილა, ეს უკანასკნელი „ბარსელონას“ მწვრთნელის **პეპ გვარდიოლას** ძმა გახლავთ. როგორც ჩანს, სუარესის საკითხებს სწორედ ის აგვარებს.

სუარესს, რომლის სანაცვლოდაც „აიაქს“ 27 მილიონი ფუნტი უნდა, „ლივერპულში“ გადასვლა ყოველმხრივ უნდა აძლევდეს ხელს - კლუბის მასშტაბსა და სავარაუდოდ, დიდ ხელფასს თავი რომ დავანებოთ, „ნითლების“ გუნდში უამრავი ესპანურენოვანი ფეხბურთელია. ცნობისთვის: „ლივერპული“ მის ყიდვას... 15 მილიონად ვარაუდობს. მერსისაიდელთა აზრით 17 მილიონი საშინლად გადაჭარბებული რიცხვია. შესაძლოა „აიაქსს“ დანამატად **რაიან ბაბელიც** შესთავაზონ.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

შეხედულებანი

დათრგუნეთ ღამის კლუბები და დროს ტარება!

რიო ფერდინანდმა შრომითა და შეუპოვრობით თავისი ეპოქის ერთ-ერთი უძლიერესი ინგლისელი მცველის სახელი დაიმკვიდრა და ნაკრების კაპიტნის სამკლავურიც მოირგო, მაგრამ ახალგაზრდობის დროინდელი ქეიფებისთვის თავი რომ არ დაენებებინა, მთელი კარიერა, რასაკვირველია, წყალში ჩაეყრებოდა - ეს ჩვენი დასკვნა არ გეგონოთ, თავად სწამს ასე. 32 წლის ვარსკვლავმა გაზეთ „სანისთვის“ მიცემულ ვრცელ ინტერვიუში თავის ცხოვრებაზე ილაპარაკა:

„ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ახალგაზრდობაში დროს ტარების მეტს არაფერს ვაკეთებდი. საბედნიეროდ, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება ძირფესვიანად შევცვალე. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, დღეს მრავალ უსახურ ფეხბურთელთაგან ერთ-ერთი ვიქნებოდი. ის კი არა, დღეს საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები, კიდევ უფრო მკაცრი ხომ არ უნდა ვყოფილიყავი ჩემი რეჟიმის მიმართ? მგონი, ფეხბურთში მეტის მიღწევა შემეძლო. ამისათვის ღამის კლუბებში სიარული და დროს ტარება საერთოდ უნდა ამომეძირკვა.

ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ვეტერანებს ყური უნდა დაგვიგდონ, განსაკუთრებით ჩემნაირებს, რომელთაც მედლის ორივე მხარე გვინახავს და კარგად ვიცით რა ადვილია ერთი მხრიდან მეორეზე ამოყო თავი. როგორ არა, იღბალმაც გამიღიმა, მაგრამ ეს არ მოხდებოდა, საკუთარი თავი ხელში რომ არ ამეყვანა და მუყაით შრომას არ შევდგომოდი“.

რიო ფერდინანდმა კარიერა „ვესტ ჰემში“ დაიწყო - 14 წლისამ საყმაწვილო კონტრაქტს მოაწერა ხელი, ჩვიდმეტისა კი უკვე პროფესიონალი გახდა. სანამ დიდ ფულს იშოვიდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონში, პეკემში, სამოთახიან ბინაში იზრდებოდა. ფეხბურთელი რომ გახდა, ღამის დროს ტარებას მიეჩვია და მასში ღრმადაც ჩაეფლო, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ნებისყოფა მოიკრიბა და ცხოვრების ნირი იცვალა. მაგრამ მას მერე დრო გავიდა, ცხოვრება შეიცვალა და რიო ფერდინანდი ფიქრობს, რომ დღევანდელ ყმაწვილებს მონდომებისა და რეჟიმის დაცვის გაცილებით მეტი სტიმული აქვთ, ვიდრე მას ჰქონდა.

„ჩემი პირველი ხელფასი კვირაში ასრაღაცა ფუნტი იყო. რასაკვირველია, იმ დროის კვალობაზე ეს ცუდი ფული არ იყო, მაგრამ დღევანდელ ჯამაგირებთან შედარებაც არ შეიძლება. მე თუ მკითხავთ, დღევანდელი ახალგაზრდები ძალიან ადრე იღებენ დიდ ფულს, ისეთს, როგორიც არ დაუმსახურებიათ. გამოჩნდნენ ბავშვები, რომელთაც პროფესიული კონტრაქტები გააფორმეს და ცხოვრებაში პირველი გასამრჯელო კვირაში რამდენიმე ათასი ფუნტი აქვთ. წარმოიდგინეთ ყმაწვილი, რომელსაც საერთოდ არ ჰქონია შემოსავალი და უცბად ამდენს იღებს. როგორი ნახტომია? თან სრულიად გამოუცდელია... გარწმუნებთ, ახალგაზრდა კაცი ასეთი ფულის პატრონი რომ ხდება, გვერდით კარგი ადამიანები თუ არ უდგანან და ჭკუას არ არიგებენ, აირევა, სწორად ცხოვრებას ვერ მოახერხებს“.

ახალგაზრდებსა და მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაზე ლაპარაკი „ნაიკის“ ინიციატივამ მოიტანა. ამ ინიციატივას ჰქვია „შანსი“ და მისი ამოცანა მთელ მსოფლიოში ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევაა. მომავალ სეზონში „ნაიკის“ აკადემიას 40 ქვეყნიდან შერჩეული 100 ყმაწვილი მიაკითხავს და რიოც ამ პროექტის ნაწილი გახლავთ - მომავალ თაობას გამოცდილება უნდა გაუზიაროს.

რიო ფერდინანდმა ყურადღება მიაქცია, რომ ბევრ ახალგაზრდას პროფესიული კონტრაქტის გაფორმება საქმის მოკვარახჭინება ჰგონია, არადა სწორედ ეს არის დასაწყისი. ორი შვილის მამა განმარტავს:

„ბევრს ჰგონია, რომ პროფესიული კონტრაქტის გაფორმება საქმის დასასრულია. არადა ეს დასაწყისი გახლავთ. ყმაწვილებს გონება დაგებული ხაფანგებისკენ კი არ უნდა გაურბოდეთ, არამედ მთლიანად ვარჯიშზე უნდა იყვნენ მიმართულნი. მხოლოდ ასე შეძლებენ დიდი კარიერის შექმნას. ფეხბურთელობა დიდებულია, მაგრამ ადვილი ნამდვილად არ არის. ფეხბურთელს უამრავი წინააღმდეგობა ხვდება, მაგრამ სწორედ ეს არის საინტერესო. ამ წინააღმდეგობების დაძლევის ეშხით გავყევი ამ საქმეს და არაფრის დიდებით გავცვლიდი სხვა რამეზე. გამიმართლა, რომ ცხოვრებაში ჩემს შესაფერის კლუბს მივაგენი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ზუსტად ის არის, რაც მე მჭირდებოდა და სერ ალექს ფერგიუსონიც ზუსტად ის მწვრთნელია, როგორიც მე მჭირდებოდა“.

იცით რა აკვირვებს ფერდინანდს? ის, რომ ბევრი პროფესიონალი ფეხბურთელი, მაღალი ხელფასით, მოედანზე ბოლომდე არ იხარჯება.

„მე ვიცნობ ბიჭებს, რომლებიც თავიანთი ნიჭის 70 პროცენტზე მეტს არ ავლენენ. ისინი დამატებით არ მუშაობენ და ძალიან კმაყოფილები რჩებიან იმით, რაც აქვთ. მათ ათამაშებენ და ფულსაც კარგად უხდიან, თავად კი საერთოდ არ ცდილობენ კიდევ უფრო მაღალი დონის მოთამაშეები გახდნენ“.

● ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ



ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ ᲐᲦᲓᲒᲐ

ᲐᲘ, ვინ დაბრუნდა ფეხბურთში: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდა **ერიკ კანტონა**. განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ ფრანგი ვარსკვლავი ნიუ იორკის „კოსმოსის“ საფეხბურთო დირექტორი გახდებოდა? კანტონამ თქვა:

„ნიუ იორკის ლეგენდარულ გუნდში მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია. ეს ძალიან დიდი და შესანიშნავი პროექტია. „კოსმოსი“ საუცხოო წარმონაქმნია, რომელსაც დიდი წარსული ჰქონდა. ის ფეხბურთისა და ხელოვნების საინტერესო ნაზავს წარმოადგენს“.

კანტონა აპირებს ამერიკის ხუთგზის ჩემპიონს ძველი დიდების დღეები დაუბრუნოს და იგი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად აქციოს. მან განაგრძო:

„მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა კლუბი რაც შეიძლება გაძლიერდეს. უპირველეს ყოვლისა შევეცდები ის ამერიკის ჩემპიონი გავხადო, შემდეგ კი მსოფლიოში უძლიერეს კლუბად გახდომაზეც დავიწყებთ ზრუნვას“.

კანტონა საზოგადოებას საზეიმოდ წარუდგინა „კოსმოსის“ თავმჯდომარე **პოლ კიმსლიმ,** რომელიც თავის დროზე „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ვიცე-თავმჯდომარე იყო. „კოსმოსი“ დიდ ფეხბურთში დაბრუნებას 2013 წელს ვარაუდობს. კიმსლიმ თქვა:

„სამი წლის წინ, როდესაც ნიუ იორკის „კოსმოსის“ აღდგენისა და აღორძინების იდეა გამიჩნდა ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ სამუშაოდ ისეთ ლეგენდარულ ადამიანს მოვინვევდი როგორიც ერიკ კანტონაა. ის ჩემი კერპი იყო და მასთან თანამშრომლობა აღმაფრთოვანებს. გარდა ამისა, არის პრაქტიკული სარგებელიც: კანტონას სახელი მთელ მსოფლიოში მიიპყრობს ხალხის ყურადღებას და ყველას აჩვენებს, რომ „კოსმოსი“ მძლავრი კლუბია“.

კანტონას ამოცანაა კიმსლის დაეხმაროს იმ გუნდის შეკრებაში, რომელიც ორი წლის შემდეგ მოედანზე გავა.

„კოსმოსი“ 1985 წელს დაიხურა, როდესაც ჩრდილო ამერიკის ფეხბურთის ლიგამ დაასრულა თავისი არსებობა. პოლ კიმსლიმ სახელი და უფლებები 2 მილიონ დოლარად იყიდა და ვარსკვლავების შემოკრებას მიყო ხელი: პრეზიდენტად ახალმა მეპატრონემ **პელე** მიიყვანა. **ტერი ბირნი, დევიდ ბექჰემის** ძველი მწვრთნელი ვიცე-თავმჯდომარეა, ხოლო „ლივერპულის“ ყოფილი აღმასრულებელი თავმჯდომარე **რიკი პერი** დირექტორი გახლავთ. ამერიკელმა ვარსკვლავმა **კობი ჯონსმა** „ლოს ანჯელეს გელექსიში“ მუშაობას დაანება თავი, რათა კანტონას მსგავსად სპორტული დირექტორის თანამდებობა დაეკავებინა. ამბობენ, რომ მალე დევიდ ბექჰემიც ნიუ იორკის გზას გაუდგება.

ილია ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

● ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲤᲐᲑᲠᲔᲒᲐᲡᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘᲐᲠᲝ

ᲓᲔᲜᲘᲚᲡᲝᲜᲛᲐ გასაოცარი რამ თქვა - **სესკ ფაბრეგასი** კაპიტნად არ ვარგაო და ამ ნათქვამით „არსენალში“ დიდი შეშფოთება გამოიწვია. კერძოდ, 22 წლის ბრაზილიელმა ასე განაცხადა:

„ფაბრეგასი ჩვენი გუნდის კაპიტანია, მაგრამ ლიდერი ნამდვილად არ არის. ლიდერობა თანდაყოლილი თვისებაა, ის ასაკზე არ არის დამოკიდებული. ლიდერი შეიძლება ძალიან ახალგაზრდაც იყოს, რადგან ასეთად დაიბადა და მორჩა. დღევანდელი „არსენალი“ უფრო კოლექტიური სულის მქონე გუნდია. ჩვენთან სიტყვა ყველას ეთქმის, მაგრამ ვფიქრობ, გუნდში გამოკვეთილი ლიდერი მაინც უნდა იყოს“.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდა ცენტრალურ ნახევარმცველს ჩრდილოლონდონელთა მეკარეებზეც თავისი ჩამოყალიბებული შეხედულება აღმოაჩნდა. მოგეხსენებათ, **მანუელ ალმუნია** დიდი ხანია დაშავებულია და მის არყოფნაში „მეთოფეთა“ კარს **ლუკაშ ფაბიანსკი** იცავს, მაგრამ დღეს, როდესაც ფაბიანსკიც დაშავდა, ძელებს შორის **ვოიცეხ შჩესნი** ჩადგა. დენილსონმა თქვა:

„ჩვენს გუნდს, სამწუხაროდ, მეკარის პრობლემა აქვს. საუკეთესო ალმუნიაა, ფაბიანსკი და შჩესნი კი არ არიან იმ დონის, „არსენალის“ ბედი რომ ანდო“.

არსენ ვენგერს კი დენილსონი თურმე ბრმად ენდობა: *„ის საოცრად მუშაობს. ვენგერის ყველა ნაბიჯი აღმაფრთოვანებს. აღტაცებული ვარ იმითაც, რომ ის ახალგაზრდებს დიდ ფეხბურთში თავის გამოჩენის შანსს აძლევს“.*

20 წლის **ჯეი ემანუელ-ტომასს** ვენგერმა მაისამდე თავის გამოჩენის შანსი „კარდიფში“ მისცა. სენტლუისელი დედისა და დომინიკელი მამის ინგლისელი ვაჟი მიმდინარე სეზონში ჩრდილოლონდონელთა შემადგენლობაში ოთხჯერ გამოჩნდა. შემტევი ნახევარმცველი ვენგერმა სულ ცოტა ხნით შეიყვანა „ჩელსისთან“ შეხვედრაში, რომელიც „მეთოფეებმა“ 2:0 წააგეს. მწვრთნელმა ამავე სეზონში აზიარა ის ჩემპიონთა ლიგასაც, როდესაც 10 წუთით დონეცკის „შახტართან“ ათამაშა. დარჩენილი ორი შეხვედრა კი „ქარლინგის“ თასისა იყო, „ნიუკასლისა“ და „უიგანის“ წინააღმდეგ.

ემანუელ-ტომასს „ჩემპიონშიპში“ თამაშის გამოცდილება აქვს - გასული სეზონის პირველი ნახევარი „ბლექპულში“ გაატარა, მეორე კი „დონკასტერში“. „ბლექპულში“ **იან ჰოლოუეიმ** ახალგაზრდა კაცი 12 შეხვედრაში ათამაშა, რომელთაგან ერთში მან გოლიც შეაგდო. დინკასტერელები ემანუელ-ტომასს 14-ჯერ ენდნენ და მანაც 5 გოლი გაიტანა.

საინტერესოა, რომ „არსენალს“ უკვე 14 ახალგაზრდა ჰყავს სხვადასხვა გუნდში გაქირავებული, მათ რიცხვში მეკარე **ვიტო მანონე** „ჰალ სიტიში“ და **არმანდ ტრაორე** „იუვენტუსში“.

ილია ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

● ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲗᲐᲡᲘ. 1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲒᲣᲚᲡ ᲐᲯᲠᲘᲗᲐᲕ

„ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲗᲐᲡᲘᲡ“ მფლობელი „სევილია“ დამსახურებულად აგრძელებს სვლას მორიგი ტიტულისკენ, ანდალუსიელებმა ორი მატჩის ჯამში 6:3 მოუგეს „ვილიარეალს“ და ნახევარფინალში გავიდნენ, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც სამშაბათის მატჩში მოხდა - **სერხიო სანჩესის** დაბრუნებაა. 24 წლის მცველს 13 თვის წინათ გულის იშვიათი დაავადება დაუდგინეს და ექიმებმა ფეხბურთისთვის თავის დანებება ურჩიეს. „სევილიას“ მცველი, რომელიც „ესპანიოლის“ აღზრდილია და მადრიდის „რეალშიც“ უთამაშია, თავიდან ასეც მოიქცა. ესპანურ ფეხბურთში გახშირებულმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა სანჩესი შეაშინა და მან სპორტიდან წასვლა გამოაცხადა. მაგრამ დრო გადიოდა, გულის მკურნალობა კარგად მიმდინარეობდა და სანჩესმაც დაბრუნება გადაწყვიტა, მას გვერდში ამოუდგა კლუბი, თანაგუნდელები და ფანები. და აი, შედეგიც - 13 თვის თავზე სერხიო სანჩესმა 90 წუთი ითამაშა „ვილიარეალთან“ მატჩში.

ორივე გუნდმა სანახევროდ გადახალისებული შემადგენლობებით ითამაშა. ასე მოხვდნენ „სევილიას“ სასტარტო შემადგენლობაში სანჩესი და **დაბო**, სტუმართა რიგებში კი **ჟოზი ალტიდორი, ორიოლი** და **მონტერო**. პირველი მატჩი საოცარი ანგარიშით, 3:3 დასრულდა, რაც „სევილიას“ უკეთეს პირობებში აყენებდა, მე-7 წუთზე მასპინძლებმა ანგარიში ასე გახსნეს - **მაჰამადუ დაბოს** ჩაწოდებული, **ნეგრედომ** მიიღო, მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და **რენატოსაც** მეტი აღარაფერი დარჩენოდა, ცარიელ კარში უნდა გაეტანა.

პირველი ტაიმის დარჩენილ ნაწილში „ვილიარეალი“ კი უტევდა, მაგრამ უხეიროდ. გოლთან ყველაზე ახლოს **კანი** იყო, რომელმაც წინა ტურში მოედნის ცენტრიდან გაიტანა გოლი, ახლა კი მან ვერ აჯობა **ხავი ვარასს**. ყველაფერი მეორე ტაიმის 90-ე წამზე გადაწყდა, როცა **ფრედერიკ კანუტემ** გაიტანა და ახლა „ყვითელ წყალქვეშა ნავს“ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სამი გოლის გატანა ესაჭიროებოდა. „ვილიარეალმა“ სამი კი არა, ერთიც ვერ გაიტანა, სამაგიეროდ კიდევ ერთი გაუშვა **ალექსისისგან** - 3:0.

სერხიო სანჩესი (სევილია): *„მე ყოველთვის მახსოვდა დანი ხარკე და ძალიან მწყდება გული, რომ მას ასეთი შანსი არ მიეცა ცხოვრებაში. თამაშის დროს ჩემი ოჯახის წევრებზე ვფიქრობდი, რომლებიც ტრიბუნაზე ისხდნენ და გუნდზე, რომელსაც მოგება ესაჭიროებოდა. ახლა, მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ნორმალური ადამიანის ცხოვრებით შემიძლია ვიცხოვრო. მატჩისას თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, არანაირი გართულება. როცა ძალიან გიყვარს რაღაც და მისი შანსი გერთმევა, თავს დაჩაგრულად გრძნობ, მაგრამ მე ბრძოლა ავირჩიე, იმედი იყო მცირე, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა და რეალობად იქცა“.*

გრეგორიო მანსანო (სევილია): *„ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია ვიოცნებოთ „კოპას“ მოგებაზე. ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ ძლიერ მეტოქესთან, რაც თვითრწმენას შემატებს გუნდს. ვფიქრობ, შეგვიძლია თასი, რომელიც შარშან „კამპ ნოუზე“ მოვიპოვეთ, შევინარჩუნეთ. მინდა დაბრუნება მივულოცო სერხიო სანჩესს. ამ ბიჭმა ბევრი იწვალა საამისოდ, ბევრი იბრძოლა. სხვათა შორის, ძალიან ნორმალურად ითამაშა. მე და მთელი გუნდი ბედნიერები ვართ, რომ სერხიო ფეხბურთს დაუბრუნდა“.*

ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲐ-ᲕᲘᲚᲘᲐᲠᲔᲐᲚᲘ 3:0 (3:3)

სევილია (5-3-2): ვარასი - კასერესი, ალექსისი (57. კონკო), ს. სანჩესი, ფ. ნავარო, დაბო - ზოკორა, რენატო, რომარიკი (75. ხ. ნავასი) - კანუტე (71. პერეტი), ნეგრედო.

ვილიარეალი (4-4-2): დ. ლოპეზი - სისინიო, გონსალო, კატალა (51. ბრუნო), ორიოლი - მონტერო, ბ. ვალერო, მუსაჩიო, კანი (73. კაპდევილა) - ალტიდორი (61. მ. რუბენი), როსი.

გოლები: 1:0 რენატო (7), 2:0 კანუტე (47), 3:0 ალექსისი (50)

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ, ᲪᲝᲢᲐᲡᲐᲪ ᲠᲔᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲘᲔᲠᲘ

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ

ᲣᲔᲤᲐᲡ ოფიციალურმა ვებსაიტმა ევროპის 2010 წლის სიმბოლური ნაკრები დაასახელა. ეს ნაკრები საიტის სტუმრებმა ხმების მიცემით შეადგინეს. 11-დან 8 პლუს მწვრთნელი ესპანური კლუბების წარმომადგენელია. „ბარსელონა“ დომინირებს - ევროპის წლის სიმბოლურ ნაკრებში 6 ბარსელონელია, ორი კი რეალელი. ორი ფეხბურთელი მილანის „ინტერს“ წარმოადგენს, ერთიც - ლონდონის „ჩელსის“. ნაკრებში ბუნდესლიგის ერთი ფეხბურთელიც არ მოხვდა.

მაშ ასე, თქვენ წინაშეა ევროპის სიმბოლური ნაკრები უეფას ოფიციალური საიტის მიხედვით: **იკერ კასილიასი** (რეალი), **მაიკონი** (ინტერი), **ჟერარდ პიკე** (ბარსელონა), **კარლეს პუიოლი** (კაპიტანი, ბარსელონა), **ეშლი კოული** (ჩელსი) - **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **ჩავი** (ბარსელონა), **ვესლი სნეიდერი** (ინტერი), **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა) - **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **დავიდ ვილია** (ბარსელონა). მწვრთნელი: **ჟოზე მოურინიო** (რეალი).

გამოკითხვაში 400 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. კარლეს პუიოლი ევროპის ნაკრებში ზედიზედ მეექვსედ მოხვდა, უეფა ბარსელონელს 100 ათას ევროს გადასცემს, რომელსაც პუიოლი თავისი გადაწყვეტილებით ქველმოქმედებას მოახმარს.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲠᲔᲐᲚᲘ: ᲟᲝᲖᲔᲡ ᲔᲠᲩᲘᲐᲜ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ „რეალმა“ ოფიციალური წერილით მიმართა ფეხბურთის ფედერაციას, რომლის ოფიციალურ ბიულეტენზე **ჟოზე მოურინიოს** შეურაცხმყოფელი პუბლიკაცია გამოქვეყნდა. „სამეფო კლუბის“ 5-პუნქტიან საჩივარში ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური საიტის მხრიდან მსგავსი პროვოკაციების აღკვეთას მოითხოვენ. ამასთან, კლუბი დასძენს, რომ კვლავაც საუკეთესო ურთიერთობა სურს ფედერაციასთან. საქმე ეხება **ტურიენსო ალვარესის** პუბლიკაციას „სამეფო თასის“ საპასუხო მატჩის შესახებ „ატლეტიკოსა“ და „რეალს“ შორის, რომელშიც ჟოზე მოურინიოს მანერებია გაკრიტიკებული.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠ ᲞᲠᲘᲛᲘᲔᲠᲐᲨᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲔᲚᲘ	ᲡᲐᲘᲓᲐᲜ	ᲡᲐᲓ	ᲗᲐᲜᲮᲐ
ᲘᲒᲠᲐᲰᲘᲛ ᲐᲤᲔᲚᲐᲜᲘ (ᲰᲝᲚ)	ᲔᲘᲜᲓᲰᲝᲕᲔᲜᲘ	ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ	3 ᲛᲚᲜ.
ᲔᲚᲘᲐᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲡᲘ (ᲠᲐ)	ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲘᲐᲜᲘᲡᲘ	ᲐᲗᲚᲔᲢᲘᲙᲝ	7 ᲛᲚᲜ.
ᲔᲜᲪᲝ ᲛᲐᲠᲔᲡᲙᲐ (ᲘᲢ)	ᲣᲚᲔᲣᲒᲝ	ᲛᲐᲚᲐᲒᲐ	-
ᲡᲘᲛᲐᲝ (ᲰᲝᲠ)	ᲐᲗᲚᲔᲢᲘᲙᲝ	ᲑᲣᲜᲘᲫᲗᲐᲨᲘ	-
ᲛᲐᲜᲣᲔᲚ ᲤᲘᲠᲜᲐᲜᲓᲔᲖᲘ (ᲰᲝᲠ)	ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ	ᲑᲣᲜᲘᲫᲗᲐᲨᲘ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ
ᲐᲚᲘᲰᲘᲠᲝ ᲘᲝᲜᲔᲒᲘᲡ (ᲘᲢᲐ)	ᲝᲡᲐᲙᲐ	ᲛᲐᲚᲘᲝᲠᲙᲐ	-
ᲛᲐᲠᲗᲘᲜ ᲓᲔᲛᲘᲙᲚᲘᲡᲘ (ᲐᲠᲒ)	ᲑᲐᲘᲠᲜᲘ	ᲛᲐᲚᲐᲒᲐ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ
ᲕᲐᲓᲘᲛ ᲓᲔᲛᲘᲓᲝᲕᲘ (ᲡᲠᲑ)	ᲠᲝᲡᲘᲪᲘᲠᲒᲘ	ᲡᲝᲩᲘᲔᲓᲐᲓᲘ	-
ᲒᲐᲚᲗᲘᲡᲐᲠ ᲠᲘᲒᲝ	ᲐᲚᲛᲔᲠᲘᲐ	ᲣᲔᲚᲙᲐ	-
ᲟᲣᲚᲘᲝ ᲑᲐᲐᲢᲘᲢᲐ (ᲒᲠ)	ᲠᲝᲛᲐ	ᲛᲐᲚᲐᲒᲐ	2 ᲛᲚᲜ.
ᲜᲐᲩᲝ ᲙᲐᲛᲐᲩᲝ	ᲐᲗᲚᲔᲢᲘᲙᲝ	ᲛᲐᲚᲐᲒᲐ	1,5 ᲛᲚᲜ.
ᲡᲔᲠᲮᲘᲝ ᲐᲡᲝᲜᲘ	ᲐᲗᲚᲔᲢᲘᲙᲝ	ᲛᲐᲚᲐᲒᲐ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ
ᲯᲔᲠᲐᲠᲓᲘᲜ ᲙᲘᲜᲚᲐᲜᲢᲘ (ᲘᲜᲒ)	ᲡᲐᲠᲐᲒᲝᲡᲐ	ᲡᲢᲝᲙᲘ	1,9 ᲛᲚᲜ.
ᲕᲐᲚᲓᲝ ᲰᲝᲡᲔ (ᲩᲘᲚ)	ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲘ	ᲝᲚᲘᲜᲓᲘᲜᲘ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ ᲓᲐᲡᲠ.
ᲔᲓᲣ ᲒᲔᲓᲘᲐ	ᲠᲐᲡᲘᲜᲒᲘ	ᲡᲐᲚᲐᲛᲐᲜᲙᲐ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ
ᲓᲘᲔᲒᲝ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ (ᲐᲠᲒ)	ᲐᲚᲛᲔᲠᲘᲐ	ᲰᲝᲠᲗᲣ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ ᲓᲐᲡᲠ.
ᲐᲓᲘᲚ ᲠᲐᲛᲘ (ᲡᲐᲤ)	ᲚᲘᲚᲘᲚᲘ	ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ	6 ᲛᲚᲜ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲔᲚᲘ	ᲡᲐᲘᲓᲐᲜ	ᲡᲐᲓ	ᲗᲐᲜᲮᲐ
ᲐᲓᲘᲚ ᲠᲐᲛᲘ (ᲡᲐᲤ)	ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ	ᲚᲘᲚᲘᲚᲘ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ
ᲔᲓᲣ ᲠᲐᲛᲘᲡᲘ	ᲛᲐᲚᲐᲒᲐ	ᲚᲔᲒᲐᲜᲔᲡᲘ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ
ᲛᲐᲠᲗᲘ ᲠᲘᲕᲘᲠᲝᲚᲐ	ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ	ᲕᲘᲢᲝᲚᲘ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ
ᲞᲘᲠᲛᲘᲜ ᲨᲢᲠᲐᲡᲔᲠᲘ (ᲐᲕᲡ)	ᲠᲘᲓᲘ	ᲐᲚᲛᲔᲠᲘᲐ	-
ᲑᲝᲠᲯᲐ ᲕᲘᲒᲘᲠᲐ	ᲡᲝᲡᲘᲔᲓᲐᲓᲘ	ᲮᲘᲛᲔᲜᲐᲢᲘᲙᲘ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ
ᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲐᲡᲢᲠᲝ (ᲰᲝᲠ)	ᲰᲝᲠᲗᲣ	ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ
ᲮᲣᲐᲜᲔᲗᲘ	ᲛᲐᲚᲐᲒᲐ	ᲐᲚᲛᲔᲠᲘᲐ	-
ᲙᲝᲠᲝᲜᲘᲜᲐᲡᲘ	ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲝᲚᲘ	ᲝᲡᲐᲡᲣᲜᲐ	ᲘᲕᲬᲐᲠᲐ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

● ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ

ᲙᲐᲞᲓᲔᲕᲘᲚᲐᲛ ᲒᲐᲐᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ მსოფლიოს ჩემპიონმა მცველმა **ხოან კაპდევილამ** „ვილიარეალთან“ კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა. 32 წლის ვეტერანს ხელშეკრულება „ყვითელ წყალქვეშა ნავთან“ სეზონის ბოლოს უსრულდებოდა, რის შემდეგაც ის თავისუფალი აგენტი ხდებოდა. ახლა კაპდევილა 2013 წლის ზაფხულამდე დარჩება „ვილიარეალში“. კაპდევილა ჯერ კიდევ სატრანსფერო სეზონის გახსნამდე ამტკიცებდა, რომ კლუბთან მოილაპარაკა და ახალ კონტრაქტს ნინ აღარაფერი უდგა. ეს ყველაფერი გუშინ ოფიციალურად გაფორმდა. კაპდევილა 2007 წლიდან „ვილიარეალშია“, რადგან კონტრაქტის გახანგრძლივება დროში გაიწელა, ესპანურ და იტალიურ მედიაში ხმები დაირხა, რომ ის „იუვენტუსში“ გადადიოდა. ოფიციალური ცერემონიალი დღეს გაიმართება, დილის ვარჯიშის შემდეგ.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ჰამბურგი

ჰამბურგისკენ ჰერი ჰერი!

HSV-ს მათიას ზამერისკენ გზა გაეხსნა

მათიას ზამერი ჰამბურგის სპორტული დირექტორი გახდება

მათიას ზამერი „ჰამბურგის“ სპორტული დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნება. საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელებს ამჟამად გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორის თანამდებობაზე მომუშავე ზამერის გადაბირება სურთ. „კიკერი“ იუწყება, რომ „ჰამბურგის“ ხელმძღვანელები ზამერს ყველაფერზე შეუთანხმდნენ და ახლა მთავარი ისაა, რომ მათიასმა საფეხბურთო კავშირისგან გათავისუფლების ფურცელი მიიღოს. ჩრდილოელები 90-იანი წლების ლეგენდარულ ფეხბურთელს გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზეც განიხილავდნენ, მაგრამ როგორც გაირკვა, მწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობა თვითონ მათიასმა იუარა.

ერთი სიტყვით, ზამერი „ჰამბურგთან“ ყველაფერზე შეთანხმებულია და უახლოეს დღეებში გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერს** უნდა დაელაპარაკოს და ჩრდილოგერმანულ კლუბში გადასვლის უფლება მიიღოს. ცვანციგერმა ამას წინათ თქვა, მათიასის დათმობა არ გვინდა, მაგრამ თუ წასვლას გადაწყვეტს, ხელს ნამდვილად ვერ შეეუშლით და იმედი მაქვს, „ჰამბურგი“ ისეთ პირობებს შესთავაზებს, რომ მათიასს იქ გადასვლა უღირდესო. გაირკვა ისიც, რომ ჰამბურგელები ამჟამინდელი სპორტული დირექტორის, **ბასტიან რაინჰარდტის** გაშვებას არ აპირებენ. HSV-ს ყოფილი ფეხბურთელი სხვა, შედარებით დაბალი რანგის თანამდებობას დაიკავებს. თუ რა პოსტზე იმუშავებს რაინჰარდტი, ამას უკვე ახალი სპორტული დირექტორი გადაწყვეტს, რომელიც უკვე ცხადია, რომ მათიას ზამერი იქნება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ჯეკოს ჰელმესი შეცვლის?

გააჩნია, რას იტყვის ჰაინკესი...

„ვოლფსბურგი“ იანვრის ბოლომდე მინიმუმ ერთ ახალ ფეხბურთელს იყიდის. „მგლების“ მთავარი მწვრთნელი **სტივ მაკლარენი** ამბობს, რომ მას რამდენიმე ახალწვეული სჭირდება, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელები სავარაუდოდ მხოლოდ ერთ ან მაქსიმუმ ორ ახალ მოთამაშეს უყიდიან. ფაქტი ერთია: **ედინ ჯეკოს** „მანჩესტერ სიტიში“ გაყიდვის შემდეგ „ვოლფსბურგს“ საკმაოდ ბევრი ფული აქვს (35 მილიონი ევრო), პირველ რიგში კი ჯეკოს პირდაპირი შემცვლელი, ანუ, ახალი მაღალი კლასის თავდამსხმელი სჭირდება.

„ბილდის“ ინფორმაციით, გერმანიის ექსჩემპიონების სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზე „ლევერკუზენის“ 26 წლის ფორვარდი **პატრიკ ჰელმესია**, რომელსაც „ბაიერის“ მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** ძირითად შემადგენლობაში საკმაოდ იშვიათად ათამაშებს. მართალია, „დონ იუპი“ ჰელმესის „ვოლფსბურგში“ შესაძლო გადაბარგებას ჯერჯერობით სპეკულაციას უწოდებს, მაგრამ მეორე მხრივ, ჰაინკესი პატრიკის შეჩერებას ვერ მოახერხებს. „ლევერკუზენის“ სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი** კი არაფერს გამორიცხავს. *„ჰელმესის დარი ფეხბურთელის გაყიდვა ჩვენს გეგმებში არ შედის და სხვათა შორის, აქამდე მისი გადაბირების სურვილი არც არავის გამოუთქვამს. თუ ვინმე დამიკავშირდება, ყურმილს ნამდვილად არ დავუკიდებ,“* - აცხადებს „რუხი მგელი“.

ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, ვოლფსბურგელები ფიოლერსა და კომპანიას ოფიციალურად ამ კვირაშივე მიმართავენ და ჰელმესის ტრანსფერზე სიტყვას ჩამოუგდებენ. პატრიკს „ლევერკუზენთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და მისი სავარაუდო ფასი დაახლოებით 10 მილიონი ევროა. „ფარმაცევტების“ მენეჯერ **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერის** თქმით, ჰელმესის გაყიდვა პირველ რიგში ჰაინკესის ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ჰაინკესს გადაწყვეტილი აქვს, გუნდი მეორე წრეში 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით ათამაშოს, ჰელმესის გაყიდვა პრობლემა არ იქნება, რადგან „ბაიერს“ **შტეფან კისლინგის** სახით ერთი მაღალი კლასის ცენტრალური თავდამსხმელი დარჩება და მის შემცვლელად კიდევ ორი, **ერენ დერდიოკი** და **იორგენსენი** ეყოლება.

ჰანოვერი

ია კონანის ფიქრები

ბუნდესლიგაში 18 ტურის შემდეგ „ჰანოვერი“ მეორე ადგილზე რომ არის, ეს სხვებთან ერთად, პირველ რიგში თავდამსხმელ **დიდიე ია კონანის** დამსახურებაა. თვითონ განსაჯეთ, გარდა იმისა, რომ კოტ დივუარელ ფორვარდს 10 გოლი აქვს გატანილი, საინტერესოა კიდევ ერთი სტატისტიკური მაჩვენებელიც: როცა ია კონანმა ვერ ითამაშა, „ჰანოვერმა“ მის გარეშე ყველა თამაში წააგო.

შესაბამისად, სულაც არ არის გასაკვირი ის, რომ „ჰანოვერის“ ბოსებმა ია კონანს კონტრაქტი 2014 წლამდე გაუგრძელეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიდიეს „ჰანოვერში“ თამაში აუცილებლად 2014 წლამდე მოუწევს, რადგან ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ მის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც 26 წლის თავდამსხმელს „ჰანოვერიდან“ წასვლა მხოლოდ რომელიმე ტოპკლუბში შეუძლია და მისი მინიმალური ფასი 10 მილიონი ევროა.

„ჰანოვერი“ ძალიან მიყვარს, რადგან საფეხბურთო ევროპამ სწორედ ამ კლუბიდან, ამ ქალაქიდან გამიცნო და ამ გუნდისთვის ძალღონეს არასდროს დავიშურებ, მაგრამ ვერავის შევპირდები, რომ კარიერის ბოლომდე „ჰანოვერში“ ვითამაშებ,“ - აცხადებს ია კონანი „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ბაიერნი

კლოზე რჩება, ვან ბომელს შეუძლია წავიდეს

ვან გაალმა და კომპანიამ კაპიტანს მწვანე აუნთეს. წავა მარკი ლივერპულში?

„მიუნხენერ თაგესცაითუნგის“ ცნობით, „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა და მწვრთნელებმა გუშინ ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, **მიროსლავ კლოზესა** და **მარკ ვან ბომელის** თაობაზე კონკრეტულ დასკვნამდე მივიდნენ. ზემოთ ხსენებული გამოცემის ოფიციალური ვებგვერდი გუშინ საღამოს იუწყებოდა, რომ „ბაიერნის“ შეფებისა და მთავარი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალის** გადაწყვეტილებით, კლოზეს რეკორდმისტერიდან წასვლის უფლება არ აქვს, რადგან ის ვან გაალს მეორე წრეშიც ძალიან სჭირდება. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან მიუნხენური კლუბის გაანცხადში ახლა მხოლოდ სამი ფორვადია დარჩენილი: **მარიო გომესი**, კლოზე და **თომას მიულერი**, რომელიც არცაა ტიპური ცენტრალური თავდამსხმელი. როგორც იცით, **ივიცა ოლიჩი** ტრავმირებულია.

რაც შეეხება ვან ბომელს: ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, მიუნხენელთა ჰოლანდიელ კაპიტანს შეუძლია, „ბაიერნიდან“ წავიდეს. თუკი გამოჩნდება ისეთი გუნდი, რომელიც ჰოლანდიელ საყრდენში მისაღებ თანხას გადაიხდის, ბავარიელები თავის კაპიტანს უპრობლემოდ შეელევიან. თანაც, „ბაიერნი“ ვან ბომელში ბევრ ფულს არ ითხოვს.

ცნობილია, რომ რამდენიმე გერმანულ კლუბთან ერთად (ვოლფსბურგი, ჰამბურგი, შტუტგარტი), ვან ბომელის გადაბირება ინგლისურ „ლივერპულსაც“ უნდა. გერმანელ მიმომხილველებს უკვე ეჭვი აღარ ეპარებათ იმაში, რომ ვან ბომელი მერსისაიდელთა წინადადებას დათანხმდება და „ენფილდზე“ გადავა.

ინტერვიუ. რაფაელ ვან დერ ვაარტი

ერთეული პიროვნული ინტერვიუ

როგორც ცხოვრებაში, მთავარი ფეხბურთშიც რწმენაა!

ტოტენჰემის ჰოლანდიელი დირიჟორი ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ოცნებობს

გასულიწლის აგვისტოში რაფაელ ვან დერ ვაარტი მადრიდის „რეალიდან“ „ტოტენჰემში“ გადავიდა. თუკი „სამეფო გუნდში“ იმედები ვერ გაამართლა და იშვიათად ათამაშებდნენ, ინგლისში თავისი ადგილი იპოვა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველი „ტოტენჰემის“ ერთ-ერთი ლიდერია. თუ გახსოვთ, მადრიდში გადასვლამდე ვან დერ ვაარტი გერმანიაში თამაშობდა, სადაც „ჰამბურგის“ ღირსებას იცავდა. რაფაელს გერმანიაში დღემდე აფასებენ. ამის დასტურია ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით და რომელიც ინტერნეტგამოცემა „სპოქსმა“ გამოაქვეყნა.



რაფაელ ვან დერ ვაარტი ტოტენჰემში თავს იდეალურად გრძნობს

- ჰერ ვან დერ ვაარტ, როგორ ხართ?

- როგორც იქნა, კვლავ შემიძლია გერმანულად საუბარი. ძალიან კარგად ვარ, თქვენ როგორ ხართ?

- გმადლობთ, კარგად. როგორც ჩანს, ლონდონში ისევ იპოვეთ თქვენი ადგილი. ბედნიერი ჩანხართ...

- მიუხედავად იმისა, რომ „რეალში“ იშვიათად მათამაშებდნენ, მადრიდში ყოფნაც ძალიან მსიამოვნებდა, მაგრამ „ტოტენჰემი“ სულ სხვაა. აქ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვარ და რაც ყველაზე მთავარია, ყველაფერი კარგად მიდის.

- „ტოტენჰემის“ მაისურით უკვე 11 გოლის გატანა მოახერხეთ.

- ჰო და თანაც, ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან როცა გუნდში პიტერ კრაუჩი გყავს, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარმცველი ხარ, გოლების გატანა გიადვილდება. კრაუჩი თავით მაძლევს ხოლმე საგოლე პასებს, მე კი ისღა მრჩება, რომ კარში ძლიერად დავარტყა. გოლების უმეტესობა სწორედ ასე გავიტანე. პიტერი ყოველთვის ახერხებს ორთაბრძოლის მოგებას და კარგი პასის მოცემის ჩინებული ნიჭიც აქვს. ასეთ სიტუაციებში მე მხოლოდ ის მევალება, რომ იმ ადგილზე ვიდგე, სადაც კრაუჩი ბურთს თავით დააგდებს.

- „ტოტენჰემის“ თამაშში სხვაც ბევრი პოზიტიური ასპექტია, არა?

- რა თქმა უნდა. პირადად მე ჩვენი თამაშის სტილი ძალიან მომწონს. გარეთ ბეილის ან ლუკა მოდრიჩის მხარდამხარ თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ბურთთან ურთიერთობა ორივე მათგანს ძალიან კარგად ეხერხება. ზოგადად, „ტოტენჰემში“ უაღრესად ჯანსაღი ატმოსფეროა.

- რას გულისხმობთ?

- „ტოტენჰემი“ არის გუნდი, რომელიც არასდროს დაფრინავს მეცხრე ცაზე – აქ ყველა რეალისტია. თუმცა ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ძალიან კარგი გუნდი გვყავს და ბევრის მიღწევა შეგვიძლია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგაშიც კარგად გამოვიყურებით, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში კი მერვედფინალში გავედით, თავში არავის არაფერი აუვარდა.

- მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღიაროთ, რომ მადრიდიდან წამოსვლა გაგიჭირდათ...

- ლონდონელებმა ჩემი გადაბირება სერიოზულად მხოლოდ მაშინ მოინდომეს, როცა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი დღე იყო დარჩენილი და შესაბამისად, მოსაფიქრებლად ბევრი დრო არ მქონია. იმის თქმა მინდა, რომ გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია.

- გული არ გწყდებათ, რომ ჟოზე მოურინიოს ფორმაციის „რეალში“ თქვენი ადგილი არ მოიძებნა?

- ჰო, მაგრამ „რეალის“ ხელმძღვანელები ჩემთან ყოველთვის გულახდილები იყვნენ. მადრიდში თავი ცუდად ერთხელაც არ მიგრძვნია, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. მე რეგულარულად თამაში მინდოდა, „რეალში“ კი ამის გარანტიას ვერ მაძლევდნენ. სწორედ ასეთ დროს დამირეკეს ლონდონიდან...

- თუმცა მოურინიოს ხელმძღვანელობით ოთხი კვირა ივარჯიშეთ...

- ერთი თვე საკმარისი დროა იმისათვის, რომ მოურინიოსგან ბევრი რამ ისწავლო. ჟოზეს ხელში ნავარჯიშები ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ მოურინიო მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტია. სამწუხაროდ, მე მასთან ძალიან ცოტა ხანს ვივარჯიშე იმისათვის, რომ ახლა მოურინიო დეტალურად შევაფასო, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ მისი მუშაობის სტილი და აურა გენიალურია.

- ამბობთ, „ტოტენჰემთან“ ერთად ძალიან ბევრი რამის მიღწევა მინდაო. დააკონკრეტეთ თუ შეიძლება.

- პრემიერლიგაში სულ ხუთი ისეთი გუნდია, რომლებსაც დღეს ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლიათ და ერთ-ერთი სწორედ „ტოტენჰემია“. ისევე, როგორც ცხოვრებაში, მთავარი ფეხბურთშიც რწმენაა – თუ ჩვენ ვირწმუნებთ, რომ ინგლისის ჩემპიონატის მოგება შეგვიძლია, ეს მართლა რეალური იქნება. ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერტ ვან მარვიიკმა სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე ფეხბურთელებს გვკითხა, რამდენად გჯერათ იმის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება შეგიძლიათო. არც ერთ ფეხბურთელს ხმა არ ამოუღია. ვან მარვიიკმა კი გვითხრა: „თუ არც ერთ თქვენგანს არ სჯერა, რომ მუნდიალის მოგება შეგვიძლია, მაშინ სახლში უნდა დავრჩეთ, სამხრეთ აფრიკაში ჩასვლას რა აზრი აქვსო. ამის მერე კი რამდენიმე მოთამაშე წამოდგა და თქვეს, ჩემპიონობა ძალიან კარგადაც შეგვიძლიაო. ხომ ნახეთ, ფინალში გავედით...

- რა დააკლდა ჰოლანდიის ნაკრებს ფინალის მოსაგებად?

- ესპანეთს რომ ვერ მოვუგეთ, ეს იკერ კასილიასის დამსახურებაა, რომელმაც 61-ე წუთზე მასთან პირისპირ გასული არიენ რობენის დარტყმა მოიგერია.

- მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიამ მუნდიალის ფინალში ითამაშა, საუკეთესო ფეხბურთელის დასახელებისას, სამეულში არც ერთი ჰოლანდიელი არ ყოფილა...

- ეს მაგრად არ მომეწონა. ლიონელ მესი უდავოდ გენიალური ფეხბურთელია, ანდრეს ინიესტას და ჩავი ერნანდესსაც ბრწყინვალე სეზონი ჰქონდათ, თანაც მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ ჩემი აზრით, ვესლი სნეიდერი ტიტულს თუ არა, სამეულში ყოფნას მაინც იმსახურებდა. მან მუნდიალის ფინალში ითამაშა, მილანის „ინტერთან“ ერთად კი ყველაფერი მოიგო. ყველაფერთან ერთად, სნეიდერმა მთელი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და არაერთი უმნიშვნელოვანესი გოლის გატანაც შეძლო.

- თითქმის იგივე ითქმის არიენ რობენზეც...

- ნამდვილად. რობენი რომ არა, მიუნხენის „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერ გავიდოდა.

- როგორ ფიქრობთ, მიუნხენურ კლუბს წელსაც შეუძლია ფინალში გასვლა?

- ჰო, ოღონდ თუ ვან ბომელი დარჩება (იცინის). ხუმრობა იქით იყოს და „ბაიერნი“ შარშანდელის მერე თითქმის არ შეცვლილა, ლუის ვან გაალი კი ბრწყინვალე მწვრთნელია. „ბაიერნისთვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობა რობენისა და რიბერის ჯანმრთელობას ექნება.

- როგორ ფიქრობთ, რომელი გუნდები ითამაშებენ 28 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რომელიც ლონდონში უნდა გაიმართოს?

- მე მინდა, რომ ფინალში ჩვენ გავიდეთ და მიუნხენის „ბაიერნს“ შევხვდეთ.

- ვესლი სნეიდერზე ისე ლაპარაკობთ, თითქოს თქვენი კერპი იყოს...

- არა, ვესლი უბრალოდ ძალიან მიყვარს და ვაფასებ. ჩემი კერპი კი ბავშვობაში რომარიო იყო.

- 27 წლის ხართ და ჰოლანდიის ნაკრებში უკვე 88 მატჩი გაქვთ ჩატარებული. თქვენზე მეტი თამაში მხოლოდ ოთხ ფეხბურთელს აქვს ჩატარებული. როგორ ფიქრობთ, ედვინ ვან დერ სარის რეკორდის გაუმჯობესებას შეძლებთ?

- ყოველ შემთხვევაში, ჩემი მიზანია, რომ ნაკრებში 130-ზე მეტი თამაში ჩავატარო. ფეხბურთს კიდევ მინიმუმ 6-7 წელი ვითამაშებ და ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ვან დერ სარის რეკორდი დავამხო. ზოგადად კი, ჩემთვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ინტერი

სკუდეტო? – რატომაც არა

ეტოოს მალიორკა არ ავიწყდება

სამუელ ეტოო

სამუელ ეტოო არასდროს ყოფილა ჩრდილში, მაგრამ ბოლო დღეებში განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. კამერუნელი ბრნყინვალე ფორმაშია და „ინტერის“ წარმატებებში ლომის წილი შეაქვს. ბოლო ორ პაექრობაში სულაც დუბლის ავტორად მოგვევლინა და თანაც ერთმანეთზე უკეთესი გოლები გაიტანა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სეზონის პირველი ეტაპისგან განსხვავებით, **დიეგო მილიტომაც** აუწყო ფეხი - შეგვიძლია თამამად ვთქვათ, „ნერაძურის“ გულშემატკივრებს საზეიმოდ აქვთ საქმე. ეტოო მართლაც გამორჩეულია და რა გასაკვირია, რომ ბომბარდირთა დავაშიც ჩაბმული გახლავთ. კამერუნელს იტალიელი ჟურნალისტი გაესაუბრა და არაერთ საინტერესო საკითხზე ჩამოუგდო სიტყვა:

„სკუდეტო? - რატომაც არა, „მილანთან“ ჩამორჩენა არც ისე დიდია, რომ ჩემპიონობაზე აღარ ვიფიქროთ. თუ გადადებული ორივე თამაში მოვიგეთ, ლიდერს ერთი ფეხის ნაბიჯზე მივუახლოვდებით, შემდეგ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. საერთოდ, ბუნებით ოპტიმისტი ვარ და გაცილებით რთულ ვითარებაშიც კი იმედის დაკარგვა არ მჩვევია. მთავარია, რომ ისევე გავაგრძელოთ ასპარეზობა, როგორც ბოლო მატჩებში და ყველაფერი კარგად იქნება. როგორც ხედავთ, „მილანი“ დაუმარცხებელი გუნდის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, რაც ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. თუმცა, არ ვარ იმის მომხრე, რომ სხვა გუნდების თამაში გავარჩიოთ და მათი წაფორხილების მოლოდინში ვიყოთ - ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ და თითოეულ პაექრობაში მაქსიმალური მიზნისთვის ვიბრძოლოთ“.

ძალიან ბევრი ინერება იმის შესახებ, რომ „ინტერის“ ასეთი აღმასვლა **ლეონარდოს** დამსახურებაა. ამაზე ეტოოს შემდეგი პოზიცია აქვს: *„რაფაელ ბენიტესს არაერთი პრობლემა შეექმნა და ესეც უნდა გავითვალისწინოთ. ფეხბურთელთა უმეტესობა ტრავმირებული იყო, ჯანმრთელები კი იდეალური ფორმისგან შორს გახლდნენ. ამიტომ სეზონის პირველი ნახევრის არც თუ წარმატებულად ჩატარებაში მხოლოდ ესპანელი მწვრთნელის დადანაშაულება არა მგონია, რომ სწორი იყოს. ჩვენც უნდა გავიზიაროთ პასუხისმგებლობა და შევეცადოთ, დაკარგული მომდევნო პაექრობებში ავინაზღაუროთ. თუმცა, ლეონარდოს მიმართ გამოთქმულ საქებარ სიტყვებს, რომელიც ბოლო დროს უხვად ისმის, მეც დიდი სიამოვნებით ვუერთდები. ბრაზილელმა თითოეულ ფეხბურთელთან გამონახა საერთო ენა და პირველ რიგში, საბრძოლო სულისკვეთება აამაღლა. აქედან დაიწყო პროგრამა, რომელიც დღემდე გრძელდება“.*

ჟურნალისტმა ეტოოს ერთი მეტად საინტერესო კითხვა დაუსვა - სურს თუ არა კარიერის „ინტერში“ დასრულება და რას გააკეთებს ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ... აქვე პასუხი: *„ამ საკითხზე არაერთხელ მიფიქრია და სიმართლე გითხრათ, კარიერის „ინტერში“ დასრულება არ მსურს. მილანურ გრანდში მწვრთნელის რანგში დავბრუნდები, ეს ჩემი მიზანია და იმედია, ოდესმე ავისრულებ. რაც შეეხება კარიერის ბოლო გუნდს - მინდა, რომ უკანასკნელი სეზონი „მალიორკაში“ გავატარო. ამ გუნდმა მომცა ყველაფერი ის, რაც დღეს მაქვს და რომ არა „მალიორკა“, ერთი საშუალო დონის ფეხბურთელი ვიქნებოდი. ამიტომ, ესპანეთში დაბრუნებით მინდა ამ გუნდს კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა. თუმცა, იქამდე ჯერ კიდევ დროა და ამ ეტაპზე, „ინტერიდან“ ნასვლას ნამდვილად არ ვაპირებ“.*

ლაშა წიკლაური

● ● ●

● კალათბურთი. ქართველი NBA-ში

ზაზა: წლის მატჩი!

ატლანტა OVER ლებრონი ფაჩულია TIME 23 წუთი

„ატლანტა ჰოქსმა“ **დუეინ უეიდისა** და **ლებრონ ჯეიმსის** „მაიამი ჰიტთან“ სტუმრად ითამაშა. მიმდინარე სეზონში მაიამელები აღმავლობით ასპარეზობენ და აღმოსავლეთის კონფერენციაშიც შესაბამისი ადგილი უჭირავთ - „ბოსტონის“ შემდეგ მეორეები არიან (30 მოგება, 13 წაგება). თუმცა, ფლორიდელებს „ატლანტასთან“ დაპირისპირებამდე ზედიზედ 3 მატჩი ჰქონდათ წაგებული და საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაციის კარგი შანსი ჰქონდათ.

თავის მხრივ **ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელებს დასამტკიცებელი აქვთ, რომ აღმოსავლეთის კონფერენციაში არავისზე ნაკლებები არიან, რისთვისაც „მაიამის“ ძლევა კარგი ნაბიჯი იქნებოდა.

მწვრთნელის მიერ არჩეული სტრატეგია „ჰოქსის“ კაპიტანმა **ჯო ჯონსონმა** გაახმოვანა:

- ვიცოდით, რომ უეიდი და ჯეიმსი ყოველთვის დიდ სამუშაოს ასრულებენ. როცა მათ სხვებიც სათანადოდ ეხმარებიან, „მაიამის“ შეჩერება შეუძლებელია. ამიტომ, ვეცადეთ დანარჩენი კალათბურთელები მაქსიმალურად შეგვეზღუდა. გამოგვივიდა და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ.

ჯონსონის სიტყვებს ფაქტებიც „ეხმიანება“: ლებრონ ჯეიმსმა 34 ქულა ჩააგდო, დუეინ უეიდმა - 27, ხოლო სასტარტო ხუთეულის დანარჩენმა სამმა წევრმა ჯამში 2(!) ქულა მიითვალა.

წინა მატჩებისგან განსხვავებით „ატლანტაში“ ერთ კალათბურთელს თავი არ გამოუდია, 19 ქულას ვერც ერთი ასცდა და სწორედ გუნდური თამაშის წყალობით „ჰოქსმა“ პირველივე პერიოდიდან სოლიდური უპირატესობა მოიპოვა - ფაჩულიას ორქულიანის შემდეგ სტუმრები 19:8 დაწინაურდნენ.

ზაზა მოედანზე მეორე პერიოდის მერვე წუთამდე იყო და როცა სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა ტაბლოზე „ჰოქსის“ სასარგებლოდ 30:21 ეწერა. თუ მანამდე ლებრონი და დუეინი შეტევაში ბევრს აცილებდნენ, მეორე პერიოდის ბოლოს მიზანი გაისწორეს და დიდ შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდნენ - 35:34.

ზაზა ფაჩულიამ მესამე პერიოდშიც საკმარისად ითამაშა და მეოთხეშიც, საბოლოოდ მოედანზე 23 წუთი გაატარა, რაც 2011 წლის საუკეთესო მაჩვენებელია. ზაზას მწვრთნელისგან 23-ზე მეტი წუთი ბოლოს 3 დეკემბერს ერგო - „ფილადელფიასთან“ 26 წუთი ითამაშა.

დაუბრუნდეთ შეხვედრის მსვლელობას. მეოთხე პერიოდის ბოლომდე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. ძირითადი დროის დასრულებამდე 1:23 წუთით ადრე „ატლანტა“ 3 ქულის სხვაობით იგებდა, თუმცა ჯეიმსმა ერთმანეთს ხუთი ქულა მიაყოლა და - 77:75. სირენამდე 25 წამით ადრე ჯო ჯონსონმა დრიბლინგი ორქულიანით დაადგირგვინა და მატჩი ოვერტაიმში გაადიყვანა - 77:77.

დამატებით დროში ფაჩულიას აღარ უთამაშია. მისმა თანაგუნდელებმა ოვერტაიმი სამქულიანებით გახსნეს, თუმცა პასუხად ლებრონის შორეული ტყორცნები მიიღეს. შეხვედრის საკვანძო ეპიზოდი დამატებითი ხუთწუთიულის დასრულებამდე 34 წამით ადრე დაფიქსირდა - **ჯოშ სმიტმა** ინდივიდუალური გარღვევით „ჰოქსი“ წინ გაიყვანა (91:89). დარჩენილ დროში ლებრონ ჯეიმსმა ძალიან შორი მანძილიდან ორი სამქულიანი სტყორცნა, ააცილა და გამარჯვება „ქარს“... უფრო სწორად „ქორს“ ატლანტაში გაატანა - 93:89.

- სანახაობრივი მატჩი გამოვიდა, ჩვენი გულშემატკივარი ნამდვილად ისიამოვნებდა. ეს წლის თამაში იყო, - თქვა ნამატჩევს ზაზა ფაჩულიამ.

2011 წელს „ატლანტას“ 8 მატჩიდან 7 აქვს მოგებული და აღმოსავლეთის კონფერენციაშიც ლიდერებს ეწევა. ჯორჯიელებს 28 მოგება, 15 წაგება აქვთ და მეოთხე ადგილზე არიან. მესამეადგილოსან „ჩიკაგოსაც“ 28 გამარჯვება უწერია, თუმცა „ჰოქსზე“ ერთით ნაკლები მარცხი აქვს. ეს ორი გუნდი ორი გამარჯვებით ჩამორჩება მეორეადგილოსან „მაიამის“.

„ატლანტა“ 21 იანვარს „ნიუ ორლეანს“ უმასპინძლებს.

მაიამი-ატლანტა 89:93

ზაზა ფაჩულია: 22:57 წუთი, 4 ქულა (6-დან 2 ორქულიანი, 1-დან 0 საჯარიმო), 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 4 ფოლი.

I პერიოდი

03:50	ზაზამ კოლინზი შეცვალა
00:49	ორქულიანი: 2ძ (19:8)
00:49	საჯარიმო: 1/0
00:36	მოხსნა: შეტ-0, დაც-1
00:13	მოხსნა: შეტ-1, დაც-1
00:12	ორქულიანი: არაზუსტი

II პერიოდი

09:53	ფოლი: 1
06:43	ორქულიანი: არაზუსტი
05:17	ფოლი: 2
04:37	ფოლი: 3
04:37	სმიტმა ზაზა შეცვალა

III პერიოდი

07:00	ზაზამ კოლინზი შეცვალა
04:03	ორქულიანი: 4ძ (48:48)
02:18	ფოლი: 4
01:31	ჩაჭრა: 1 (ჯეიმსს ჩაუჭრა)
00:06	ბიგიმ ზაზა შეცვალა

IV პერიოდი

11:09	ორქულიანი: არაზუსტი
11:08	მოხსნა: შეტ-2, დაც-1
11:07	ორქულიანი: არაზუსტი
08:23	მოხსნა: შეტ-2, დაც-2
07:10	ჯონსონმა ზაზა შეცვალა

ვაჟა სიმონიშვილი

● სუმოს სამყარო. ჰაცუ ბაშო. 9-23 იანვარი

კოკაი გავარდა

ყველაფერს აქვს ბოლო და **კოკაის (ლევან ცაგურია)** გასაოცარი, ზედიზედ 7-წლიანი ასპარეზობა ელიტურ დივიზიონში დასრულდა - 29 წლის „შავ ზღვას“ ახალი წლის ბაშოს შემდეგ რანგით მეორე დივიზიონ ძურიოში დააქვეითებენ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა კოკაი რომელიმე დივიზიონიდან გავარდა, აქამდე მისი კარიერა მხოლოდ აღმა მიდიოდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი თანამემამულე სუმოს ისტორიაში პირველი ევროპელი რიკიშია, ვინც ელიტას მიაღწია, ახლახან მან ელიტაში მე-300 გამარჯვებაც იზეიმა, მაგრამ... გუშინ მისი ბედი „მოციმციმე გველეშაპმა“ **კორიუმ** გადაწყვიტა, რომელმაც ღონიერი ხელისკვრით „შავი ზღვა“ მაყურებელთა დარბაზში მოისროლა. ლევანს 3-8 ბალანსი აქვს და დარჩენილი 4 ორთაბრძოლა, სამწუხაროდ, ვეღარ გამოასწორებს მის მდგომარეობას. ის მე-15 მაეგაშირაა და ასეთი რანგის სუმოისტისთვის უარყოფითი ბალანსი გავარდნის ტოლფასია.

წააგეს სხვა ქართველებმაც, **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** მე-4 მაეგაშირა **ტოკუსეგავას** ზეწოლას ვერ გაუძლო და ახალი წლის ბაშოზე მე-10 მარცხი იგემა. მე-7-ედ დამარცხდა და წაგებების ლიმიტი ამონურა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი) ჰომაშოსთან** წააგო. მას 4-7 ბალანსი აქვს. მისთვის გადამწყვეტი, შესაძლოა, დღევანდელი ორთაბრძოლაც გამოდგეს მე-11 მაეგაშირა **შიმოტორის** წინააღმდეგ.

ბაშოზე ღირსშესანიშნავი რამ მოხდა, ზედიზედ 10 მოგების შემდეგ დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** წააგო, ისევე როგორც წინა ბაშოზე, როცა ჰაკუჰოს რეკორდის დამყარება არ აცალეს, ახლაც მას **კისენოსატომ** აჯობა, 24 წლის სეკივაკემ. დიდი მონღოლი მაინც ერთპიროვნული ლიდერია ბაშოზე და იმპერატორის თასის მოპოვების უმთავრესი კანდიდატი.

XI დღე: კისენოსატო-ჰაკუჰო (ოშიდაში), კოტოოშუ-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), კაიო-ტამავაში (ოშიდაში), კოტომოგიკუ-ბარუტო (იორიკირი), იოშიკაძე-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), კაკურიუ-არანი (სოტოგაკე), ტოიონოშიმა-ამინიშიკი (იორიკირი), ტოკუსეგავა-ტოჩინოშინი (იორიტაოში), ჰომაშო-გაგამარუ (ჰიკიოტოში), გოეიდო-კიტატაკი (იორიკირი), ტაკამისაკარი-ასასეკირიუ (იორიკირი), კიოკუტენჰო-მიაბიამა (უვატენაგე), ჰაკუბა-ტაკეკაძე (იორიკირი), ტოსაიუტაკა-კოტოკასუგა (იორიკირი), ტოჩინონადა-ტოკიტენკუ (იორიტაოში), ოკინოუმი-ვაკანოსატო (შიტატენაგე), ტოიოძაკურა-შოტენრო (ჰიკიოტოში), ტოიოჰიბიკი-შიმოტორი (ოშიდაში), კორიუ-კოკაი (ოშიდაში), სოკოკურაი-მოკონამი (იორიკირი), კიმურაიამა-ვაკაკოიუ (ოშიტაოში).

სატურნირო მდგომარეობა: 10-1: ჰაკუჰო (ოშიდაში). **9-2:** კოტოოშუ (ოძეკი), ოკინოუმი (მაეგაშირა 13), ტოჩინონადა (მ 16). **8-3:** ბარუტო (ოძეკი), კოტომოგიკუ (სეკივაკე)... **4-7:** გაგამარუ (მ 6)... **3-8:** კოკაი (მ 15)... **1-10:** ტოჩინოშინი (მ 2).

XII დღე: ჰაკუჰო-ჰარუმაფუჯი, ბარუტო-კაიო, კოტოოშუ-კაკურიუ, კოტომოგიკუ-იოშიკაძე, კისენოსატო-ტამავაში, ტოჩიოძანი-არანი, ამინიშიკი-ტოკუსეგავა, ტოიონოშიმა-ტოჩინოშინი, ჰომაშო-ტაკეკაძე, მიაბიამა-ასასეკირიუ, გოეიდო-ვაკანოსატო, გაგამარუ-შიმოტორი, კოკაი-კიოკუტენჰო, კორიუ-ტოსაიუტაკა, ვაკაკოიუ-ტოკიტენკუ, ოკინოუმი-კიტატაიკი, ტაკამისაკარი-ტოიოძაკურა, ჰაკუბა-კიმურაიამა, სოკოკურაი-შოტენრო, მოკონამი-ტოიოჰიბიკი, ტოჩინონადა-კოტოკასუგა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლეგიონერები

ერეკლეულმა ციხაძეს გალიდერდა

ბალტიის ლიგაზე მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. **გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა“ ლატვიაში „ვალმეირასთან“ დაცვით მატჩში 59:54 გაიმარჯვა.

შეხვედრის სანყის სამ პერიოდში ვალმეირელებმა იმდენად კარგად ითამაშეს, რომ ლატვიელი გულშემატკივრები თავისი გუნდის წარმატებაში დაარწმუნეს. მეოთხე პერიოდის დასაწყისში „ვალმეირა“ 10 ქულით დაწინაურდა - 47:37. სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ „როკერები“, **პაადეს** შორეულ ტყორცნას **სოკმაც** სამქულიანი მიამატა და სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა. ამას მოჰყვა **დორონინისა** და **ეზიუკვუს** ორქულიანები და ანგარიში გათანაბრდა - 47:47. ამასობაში მოედანს საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე დაუბრუნდა და თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა - დაძაბულ ბრძოლაში ბურთი ხელთ მოიგდო და საჯარიმოს ხაზიდან ერთიც არ აუცილებია. საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე ვალმეირელები იძულებულნი გახდნენ ცინცაძეზე განზრახ ჯარიმა აეღოთ. ქართველმა გამთამაშებელმა ორივე საჯარიმო ჩააგდო და „როკი“ 4 ქულით წინ გაიყვანა - 57:53. სირენამდე 4 წამი რჩებოდა, როცა **გარბანსმა** სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა და ბოლო იერიშის წამოწყება ისევ გიორგიმ ითავა. მასზე კვლავ დაჯარიმდნენ და უპირატესობა ხუთ ქულამდე გაზარდა - 59:54. დარჩენილ ორ წამში ხუთქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა წარმოუდგენელი იყო - „ტარტუ როკმა“ მეათე გამარჯვება მოიპოვა.

„ვალმეირასთან“ მატჩში ცინცაძის მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 25 წუთში 7 ქულა (4-დან 1 ორქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო), 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა. მან წესები 3-ჯერ დაარღვია, ხოლო მასზე 6-ჯერ დაჯარიმდნენ. „როკერთაგან“ ყველაზე მეტი **ვეიდემანმა** ჩააგდო - 20 ქულა.

ამ მოგებით „ტარტუ როკი“ ბალტიის ლიგის სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. მას 10 მოგება და 5 წაგება აქვს. მეორეა ლიტვური „რუდუპისი“ - 10 გამარჯვება, 4 მარცხი, ხოლო მოგება-წაგებათა მაჩვენებლის შეფარდებით უკეთეს მდგომარეობაშია „ვეფ რიგა“ - 11 გამარჯვება, 2 მარცხი. აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ ბალტიის ლიგის ჯგუფურ ტურნირში არ მონაწილეობს ორი გრანდი - „ულგირისი“ და „რიტასი“. ისინი გათამაშებაში პლეი ოფებიდან ჩაერთვებიან.

„ტარტუს“ მორიგი შეხვედრა 21 იანვარს იგეგმება - ბალტიის თასზე მეორეადგილოსან „რუდუპისს“ უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი

ახალგაზრდა ქართველი სერია A-ში

ბოქოლიშვილს ბენეტონთან ველით

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების უკანახაზელი **მერაბ ბოქოლიშვილი** აგვისტოში იტალიურ „ეარ აველინოში“ რომ გადავიდა, ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად მოეხსენება. იგი აქამდე 19-წლამდელთა გუნდში თამაშობდა. სწორედ მერაბის დახმარებით გადალახეს აველინოელმა ახალგაზრდებმა იტალიის ჩემპიონატის რეგიონული ეტაპი. ამჟამად ისინი მეორე რაუნდში თამაშობენ და წარმატების შემთხვევაში, გაზაფხულზე იტალიის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საუკეთესო გუნდებს დაუპირისპირდებიან.

მეორე რაუნდის პირველ მატჩში „აველინოს“ 19-წლამდელებმა „ფრანკავილასთან“ 54:74 წააგეს. გამოცემა „ტუტობასკეტში“ ვკითხულობთ: *„ფრანკავილა“ ერთ ეპიზოდში 26 ქულის სხვაობით დანინაურდა, თუმცა „აველინოს“ ქართველი უკანახაზელის, მერაბ ბოქოლიშვილის პერიმეტრიდან დამაჯერებელი თამაშის წყალობით სხვაობა 15 ქულამდე შემცირდა...“* თუმცა, იმ მატჩში „აველინოს“ გამარჯვება არ ეწერა.

თქვენ წინაშე გადაშლილი სტატიის დაწერა არა 19-წლამდელთა ჩემპიონატის მატჩმა, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანმა მოვლენამ განაპირობა - ახალგაზრდულ გუნდში კარგი თამაში მხედველობიდან არ გამორჩენია „აველინოს“ მთავარი გუნდის თავკაც **ვინჩენცო ერკოლინოს** და ბოქოლიშვილს „აველინოს“ განაცხადში შეყვანა გადაწყვიტა. ახალგაზრდა მერაბი (1992 წელსაა დაბადებული) იტალიის ჩემპიონატის მე-16 ტურში, 23 იანვარს „ბენეტონთან“ მატჩში „აველინოს“ სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდება. იმედი დავიტოვოთ, რომ მწვრთნელი მას თამაშშიც ჩართავს. თუმცა, მთავარი ის კი არ არის, როდის შედგება ბოქოლიშვილის დებიუტი სერია A-ში, არამედ უბრალო ფაქტი: მან თავისი შრომით, 18 წლის ასაკში, იტალიის ჩემპიონატის გუნდის განაცხადში მოხვედრა დაიმსახურა და ადრე თუ გვიან, აუცილებლად ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე **მანუჩარ მარკოიშვილიც** ასე იწყებდა - 2002 წელს „ბენეტონში“ გადასვლის შემდეგ საწყისი ორი თვე აკლიმატიზაციისთვის დასჭირდა, ხოლო სეზონის მეორე ნახევარში რეგულარულად უწევდა თამაში. იმავე სეზონში „ბენეტონთან“ ერთად ევროლიგის ფინალში „ბარსელონას“ წინააღმდეგ იასპარეზა.

ვაჟა სიმონიშვილი

● ჩოგბურთი

ჩახნაშვილი მერვედფინალში გავიდა

ფრანგულ ანდრეზიო-ბუტეონში 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო, სადაც ძალები ოთხმა ჩვენებურმა სცადა. მათგან ძირითად ბადეში მხოლოდ **მაკა ჩახნაშვილი** (257) თამაშობს. I წრეში საქართველოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ძალზე იოლად დაამარცხა უკრაინელი **ტეტიანა არეფიევა** (337) - 6:3, 6:0. ტურნირის მერვედფინალში ჩახნაშვილი პირველ ნომრად განთესილ პოლონელ **მაგდა ლინეტეს** (176) ეთამაშება. აქამდე მაკა 18 წლის პოლონელს არასოდეს შეხვედრია. წყვილთა ბადეში ჩვენებურები პირველივე წრეში დამარცხდნენ და ამაზე უფრო დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქიდაობა

ქართველთა ფრანგულ-თურქული გამოცდა

თბილისი ბოლოს - 29-30 იანვარს ქართველი ბერძენ-რომაელები ორ საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74), ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **რამაზ ნოზაძე** (96) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120) ფრანგულ კრეტეში მათთვის კარგად ნაცნობ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში იჭიდავებენ, ნაკრების ძირითადი ბირთვი კი სტამბოლში, ვები ემრეს სახელობის ასევე ტრადიციულ მემორიალში ისასპარეზებს. თურქეთში **ირაკლი ჭოჭუა** (60), **არჩილ თურმანიძე, მუხრან მაჭუტაძე, რევაზ ლაშხი** (66), **ილია გულბათაშვილი, ანტონ მამაგეიშვილი, რამინ ფევაძე** (74), **გიორგი ცირკიძე, მათე სოფაძე** (84), **სოსო ჯაბიძე, ვლადიმერ ქარჩავა, სოლომონ გიკაშვილი** (96), **გურამ ფერსელიძე** და **რევაზ ჭელიძე** (120) წავლენ. ტრავმის გამო ამჯერად ვერ ხერხდება **ლაშა გოგიტაძის** (55) გამოცდა. იმავე მიზეზით ჯერჯერობით გაურკვეველია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **მანუჩარ ცხადაიას** საკითხიც. ის საქართველოს ჩემპიონატზე დაშავდა და თუ ბოლომდე გამოჯანმრთელდა, მაშინ სტამბოლში 74-ში გამოვა.

ორივე შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ისახავს მიზნად და ამიტომ მწვრთნელებმა ძირითადი კანდიდატები შეარჩიეს. ცხადია, უპირველესად, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის შედეგები გაითვალისწინეს, თუმცა აშკარაა, რომ აქცენტი მაინც ძველ კადრებზე გადააქვთ. იმას ნამდვილად არ ვამბობთ, ახლებს იგნორირებას უკეთებენო, მაგრამ ძველებიდან შანსს ყველას აძლევენ, ახლებიდან კი ზოგიერთი მეორე ტურნირისთვის შემოინახეს. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ამ ეტაპზე სატურნირო პრაქტიკა არ სჭირდებათ. მაგალითად, საქართველოს ჩემპიონი **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), რომელიც სპეციალური პროგრამით ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის. ისიც სათქმელია, რომ მწვრთნელებმა ბევრ ლიდერს წონა არ დააკლებინეს და ზედა წონაში აჭიდავებენ.

ევროპის ჩემპიონატისთვის დასკვნითი საკონტროლო შეჯიბრება ემრეს ტურნირიდან დაახლოებით ერთ თვეში - 25-27 თებერვალს ბულგარულ ბურგასში გასამართი ნიკოლა პეტროვის მემორიალი იქნება - იქ გაირკვევა მარტი-აპრილის გასაყარზე დორტმუნდში, კონტინენტის პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობა. ევროპამდე გუნდი მეტ შეჯიბრებაში არ გამოვა, რაც, ვფიქრობ, ცოტაა. ნაკრების გამოცდილ ლიდერებს კიდევ არა უშავთ - ისინი სატურნირო დეფიციტს ამ ორი შეჯიბრებითაც შეივსებენ, მაგრამ ახალბედების გამოსაზრდელად კი ბევრად მეტი ტურნირია საჭირო. ფედერაციამ ყველაფერი უნდა იღონოს თანხების მოსაზიდად, რათა რაც შეიძლება მეტ საერთაშორისო შეჯიბრებაში ჩართოს ისინი, თორემ ასე რეზერვი ვერ გაიზრდება. არაა სავალდებულო, ახალგაზრდები მაინცდამაინც კრეტეის, ემრეს ან პეტროვის დონის ტურნირებში ჩართოს (იქ მონაწილეობა უფრო ძვირი სიამოვნებაა), იყოს შედარებით დაბალი რანგისა, ოღონდ გამოცდილება, საშეჯიბრო პრაქტიკა მიიღონ. ნაკრების თავკაც **ბეგი დარჩიას** ახლა ორი ასეთი ფალავანი კი მიჰყავს თურქეთში - საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გიკაშვილი და მესამე პრიზიორი სოფაძე, მაგრამ რა დააშავა, ვთქვათ, საქართველოს ჩემპიონმა **ალექსანდრე დიხამინჯიამ** (96), რომელიც ევროპამდე ერთი შეჯიბრების ამარა რჩება? მაღთალია, ის ახალგაზრდაა, მაგრამ ასევე ახალგაზრდაა ფინალში მის მიერ ძლეული გიკაშვილიც. უკვე წლებია, ასეთი მიდგომა გრძელდება, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, თორემ ისევ თითო ლიდერის იმედად დავრჩებით, როგორც აქამდე ვიყავით. აქამდე ხომ ასე ხდებოდა - თუ რამე თანხა გამოჩნდებოდა, ისიც ლიდერთა მზადებაზე მიდიოდა, რაც ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამასობაში რეზერვი რჩებოდა უყურადღებოდ. ამიტომ არც კონკურენცია იზრდებოდა სათანადოდ და არც ლიდერებს ემუქრებოდათ საფრთხე. კონკურენცია ხშირი სტარტების გარეშე არ გაიზრდება, ამაზე კი ფედერაციამ აუცილებლად უნდა იზრუნოს. მით უფრო, საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში ძალიან ბევრი ახალი სახე გამოჩნდა, რამდენიმე აქამდე უცნობმა ფალავანმა გაიმარჯვა კიდეც, ბევრი პრიზიორთა შორის მოხვდა, ახლა კი რა გამოდის - მათი უმეტესობა მხოლოდ ერთ შეჯიბრებაში გამოიცდება! ცხადია, ეს არაა საკმარისი და ვერც იმას განსაზღვრავს ვინმე, ვინ როდის „გაიხსნება“ და ვინ როდის დაიწყებს მატებას - უახლოესი წარსულიდან, ნაკრების დღევანდელი შემადგენლობიდანაც კი ძალზე ბევრი მაგალითია იმისი, როცა ბოლო შანსად მიცემული შეჯიბრება წინსვლის საწინდარი გამხდარა.

...ფრანგულ-თურქული ტურნირებიდან დაბრუნებული ბერძენ-რომაელთა ნაკრები ლამის პირდაპირ გაემგზავრება სომხეთში - 4 თებერვლიდან ნახკაძორში ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას დაიწყებს. თავდაპირველი გეგმით, ნაკრებს ოთხი დღის წინ უნდა დაეწყო პირველი შეკრება, მაგრამ მერე გეგმები შეცვალეს. ევროპის პირველობამდე კიდევ ორი შეკრება იგეგმება. იმათგან ერთი - ისევ უცხოეთში, მაგრამ ჯერ არაა გარკვეული, ბელარუსში გაიმართება თუ - თურქეთში. ჩვენებს მინსკში კი სურთ წასვლა - ნაცნობ მისამართზე, „სტაიკების“ ოლიმპიურ ბაზაზე, მაგრამ თავად ბელარუსები თურქეთში აპირებენ ჩასვლას. შეიძლება, გეგმები ჩვენებმაც შეცვალონ და ესენიც თურქეთში წავიდნენ - ამაზე სამივე გუნდის ხელმძღვანელობა სტამბოლში მოილაპარაკებს. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ დასკვნითი - მესამე შეკრება დუშეთში გაიმართება. ეტყობა, ნაკრების თავკაც **ბეგი დარჩიას** ურჩევნია, სტამბოლურ-ბურგასულ ტურნირებზე გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებაზე მშვიდად, გარეშე თვალისგან დაფარულად იმუშაოს საკუთარ სახლში.

დასასრულს, „თავისუფალთა“ ნაკრებზე, რომელიც წახკაძორში დღეს გაემგზავრება და საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ 16-დღიან შეკრებას გამართავს. მისი დასრულების შემდეგ ეს გუნდიც სტამბოლში ჩავა, სადაც 11-13 თებერვალს იაშარ დოგუს სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ პირველ ტურნირში გამოვა. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, იქ საქართველოს ჩემპიონები იჭიდავებენ, თუმცა არ იქნებიან გუნდის ლიდერები - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ოთარ თუშიშვილი** (66) და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე** (96) - ტრავმების გამო მათ საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვეს და ახლაც აგრძელებენ მკურნალობას. ჩემპიონთაგან თურქეთში ვერც ყაზახეთმოვლილი **ცოტნე ბარამიძე** (66) გაემგზავრება - მას ჩვენი სახელით გამოსვლის უფლებას ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია არ აძლევს. სხვა წონებში **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **კობა კაკალაძე, ილია ხუციშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120) იჭიდავებენ, თუმცა იქამდე ეს სია, შეიძლება, ცოტათი შეიცვალოს.

ირაკლი თავაძე

ლელ

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

ფარიკაობა

მარცხნიდან: ანატოლი შლიკარი, მერაბ ბაზაძე, დავით სახვაძე, ვალერი შტურბაბინი

ქართველ პოლეგებს ვალში არ დავრჩებით

საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა ნაკრებთან ერთად ბაკურიანში ორკვირიან სანვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ უკრაინელი მუშკეტერები — პეკინის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები მწვრთნელების — **ვალერი შტურბაბინისა** და **ანატოლი შლიკარის** ხელმძღვანელობით. კიევში გამგზავრების წინ სტუმართა თავკაცები მასპინძლებთან ერთად რედაქციაში გვესტუმრნენ.

— ისე ვართ აღფრთოვანებული, საჯაროდ მადლობა რომ არ გვეთქვა, არ იქნებოდა, — გვითხრა მთავარმა მწვრთნელმა შტურბანინმა. — თავიდან ორი ობიექტი გვქონდა ამორჩეული — მედეო და ბაკურიანი. ყაზახები ახლა აზიის თამაშებისთვის ემზადებიან და ჩვენთვის არ ცხელათ. თანაც ისეთი პირობები შემოგვთავაზეს, ჩვენს მოთხოვნებს რომ არ შეესაბამებოდა — პიონერთა ბანაკში, სადაც სატრენაჟორო დარბაზიც არ აქვთ, ნამდვილად ვერ ვივარჯიშებდით. ბაკურიანზე ბევრი რამ გვსმენია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში — ის ხომ საკავშირო ნაკრების საწვრთნელი ბაზა იყო. ნანახმა მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა — შესანიშნავი ჰაერი, ქათქათა თოვლი, ჩინებული სათხილამურო ტრასები, 2700 მეტრიდან დაშვება, სატრენაჟორო დარბაზი და საცურაო აუზი — ასეთ პირობებზე მხოლოდ ოცნება თუ შეგვეძლო. მერე მასპინძლებთან ურთიერთობას არ იკითხავთ? ქართველ კოლეგებთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და სხვაგვარად ვერც წარმოგვიდგენია. ფრანგებმა შარშან მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ერთი თვის დაგვიანებით, ანუ წლის მიწურულს ჩაატარეს, ამიტომ ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად ცოტა დრო რჩება. არადა, წლეულს სალიცენზიო ტურნირები მოგველის, ამიტომ ფორსირებულად გვინევს სპორტულ ფორმაში შესვლა.

— **ბაკურიანში მხოლოდ ახალგაზრდები იახლეთ?**

— რას ბრძანებთ! მოხმალავეთა ეროვნული ნაკრები, თან 4 ახალგაზრდაც ჩამოვიყვანეთ, რომ უფროსებთან ერთად მოემზადონ წლევანდელი ორთაბრძოლებისთვის.

— **ქართველ მოფარიკავეებზე რას იტყვით?**

— იყო დრო, ქართული საფარიკაო სკოლის წარმომადგენელთა სახელი მთელ მსოფლიოში ქუხდა — ასათიანი, კოსტავა, აფციაური, ოსიპოვი, სახვაძე... რომელი ერთი ჩამოვთვალო. საბჭოეთის დაშლის შემდეგ ვითარება შეიცვალა. საბედნიეროდ, ბოლო დროს საქართველოში ფარიკაობისადმი დამოკიდებულება სასიკეთოდ შეიცვალა. ფედერაციისა და სპორტის მესვეურებთან ერთად მწვრთნელთა და სპორტსმენთა სურვილს, მონდომებას ნელ-ნელა შედეგებიც მოაქვს. ქართველი მოფარიკავის ჭაბუკთა მსოფლიო თასზე მესამე ადგილის დაკავება უკვე კარგის მომასწავებელია. მახსოვს, ჩვენს გოგონებზეც ქირქილებდნენ უკრაინაში — ეს რა შეჯიბრება იყოო. მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-5 ადგილსაც ცხვირის აბზუებით შეხვდნენ. 2007 წლის მსგავს შეჯიბრებაზე მეორე ადგილის დაკავებით პეკინის ოლიმპიადის საგზურები რომ მოვიპოვეთ, ჩვენდამი დამოკიდებულება შეიცვალა. მერე პეკინის თამაშებზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავედით. დრო და მოთმინებაა საჭირო. კარგი ბიჭები გყავთ, ტექნიკურებიც არიან, მაგრამ ტაქტიკაში მოიკოჭლებენ. ბაკურიანში უმთავრესად საერთო ფიზიკური მომზადებისთვის ჩამოვედით. თქვენებიც ჩემს შეგირდებთან ერთად დარბოდნენ. თავიდან გაუჭირდათ დატვირთვებთან შეგუება, მერე გაუშინაურდნენ. ახალგაზრდები მალევე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მერწმუნეთ - ერთობლივი წვრთნების, ურთიერთგამოცდილების გაზიარების და ერთიანი მცდელობის გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევთ, დიდ სპორტსმენს ვერ გავზრდით. სპარინგია საჭირო, თანაც რაც შეიძლება მრავალმხრივი. ამიტომ ჩვენი ჩამოსვლა საქართველოში, თქვენი სპორტსმენების სტუმრობა კიევში ორივე ქვეყნის მოფარიკავეების ოსტატობის ამაღლებაზე დადებითად იმოქმედებს. საპასუხო ვიზიტისას ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქართველ კოლეგებს ვალში არ დავრჩეთ.

— მეტ დროს კადეტებსა და ახალგაზრდებს ვუთმობ, მათთან ერთად დავდივარ შეჯიბრებებზე, — ჩაერია საუბარში ანატოლი შლიკარი. — იმ ტურნირებზე ქართველ მოფარიკავეებსაც ვხვდები. მომწონს მიხეილ მარდალეიშვილი და თეოდორა კახიანი. მიზანმიმართული მუშაობით მათგან კარგი სპორტსმენები დადგება. იანვრის მიწურულს კიევთან ახლოს ოლიმპიურ ბაზაზე შევიკრებებით. იქ თქვენი ნაკრების მთავარი მწვრთელი მერაბ ბაზაძეც ჩამოვა ოთხ შეგირდთან ერთად. ახალი სეზონისთვის მზადებას განვაგრძობთ. ვფიქრობ, სასურველ შედეგსაც მოვიმკით.

მერაბ ბაზაძე: ქართველი ბიჭები კიევში ივარჯიშებენ უკრაინის მოხმალავეთა ნაკრების წევრებთან, რომლებიც რეგალიებით არიან დახუნძლული. ეს მათთვის პატივიცაა და პასუხსაგებიც. ბაკურიანში ჩვენები ფიზიკურად საკმაოდ მომძლავრდნენ. უკრაინაში კარგა ხანს დარჩებიან. იმედია, წლეულს შარშანდელზე უკეთესი შედეგები გვექნება.

დავით სახვაძე, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი: ბაკურიანში ერთობლივი სანვრთნელი შეკრებით კმაყოფილი ვარ. ტიტულოვან მოფარიკავეებთან სპარინგი ქართველ სპორტსმენებს წაადგებათ. ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ერთი წარმომადგენელი მაინც გვყავდეს. მანამდე კი თებერვლის მიწურულს კადეტთა ევროპის პირველობაა. ამ შეჯიბრებაზე მიხეილ მარდალეიშვილმა თავისი სიტყვა უნდა თქვას.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

ჭადრაკი

ყაიმებს დასჯერდნენ

ავტორის ფოტო

ეროვნულმა ოსტატმა **დავით ზარქუამ** (2356) და საერთაშორისო ოსტატმა **ლუკა პაიჭაძემ** (2483) საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლეს ეშელონში თამაშის უფლება პირველ ლიგაში წარმატებული გამოსვლით მოიპოვეს. მაშინ მათი ორთაბრძოლა ყაიმით დასრულდა. და აი, ახალგაზრდა მოჭადრაკეების გზები ჩემპიონატის ნახევარფინალში გადაიკვეთა. მეტოქეები ოთხ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. ორი უკვე მოიღეს. პირველ შეხვედრაში, რომელშიც ზარქუა თეთრებით იყო, ნიმცოვიჩის დაცვა გათამაშდა. დებიუტმა ვერც ერთ მხარეს უპირატესობა ვერ მოუტანა. აი, 26-ე სვლაზე შავების ლაზიერის c4 უჯრაზე გადაადგილება თეთრებს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებაში დაეხმარა. დათოს პარტიის სასურველ დასასრულამდე მიყვანა არ გასჭირვებია.

გუშინ მეტოქეები კვლავ მიუსხდნენ 64-უჯრიან დაფებს. ამჯერად თეთრებით **პაიჭაძე** იყო. მან ალიოხინის დაცვას მიმართა, მე-13 სვლაზე მცირე სადებიუტო უპირატესობა მიიღო, მაგრამ გასამარჯვებლად არ ეყო. 77-ე სვლაზე მოწინააღმდეგეები დაზავდნენ. ანგარიშია 1,5:0,5 ზარქუას სასარგებლოდ.

გუშინ, ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ეროვნული ოსტატი **გიგა ყუფარაძე** (2395) და დიდოსტატი **ლევან ფანცულაია** (2610). აქ კი ვითარება თანაბარია 1:1. დღეს მეტოქეები მესამე პარტიას ითამაშებენ.

ვაჟა დანელია

შაშების თეთრი დღე

ანაკლიაში გუშინ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მე-9 ტურის პარტიები გაიმართა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ერთპიროვნული ლიდერის - **ბელა ხოტენაშვილისა** (2440) და საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის **მაია ლომინეიშვილის** (2345) პარტია. ეს უკანასკნელი მეტოქეს ქულით ჩამორჩებოდა, თანაც შავი ფიგურებით თამაშობდა. ამის მიუხედავად, გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება შეძლო და 86-ე სვლაზე წარმატებასაც მიაღწია.

ხოტენაშვილის მარცხით ისარგებლა **ნინო ხურციძემ** (2436), რომელმაც, ასევე, შავებით აუტსაიდერ **მერი არაბიძეს** (2315) აჯობა და 6 ქულით თავად მოექცა გათამაშების ცხრილის სათავეში. ყველაზე დიდხანს **მაკა ფურცელაძისა** (2323) და **სოფიკო ხუხაშვილის** (2437) პარტია გაგრძელდა. ეტლების ენდშპილში, მართალია, ფურცელაძეს ზედმეტი პაიკი ჰყავდა, მაგრამ მისი რეალიზება ვერ შეძლო და მეტოქეები 98-ე სვლაზე დაზავდნენ. დანარჩენი პაექრობები ასე დამთავრდა: **ლელა ჯავახიშვილი** (2438)-**ნინო ბაციაშვილი** (2396) 0:1, **სოფიო ნიკოლაძე** (2254)-**ნაზი პაიკიძე** (2455) 0:1, **სალომე მელია** (2449)-**მირანდა მიქაძე** (2362) 0:1.

9 ტურის შედეგები: ხურციძე - 6, ლომინეიშვილი, ხოტენაშვილი - 5,5-5,5, მელია - 4,5, ბაციაშვილი, ხუხაშვილი, ნიკოლაძე, ჯავახიშვილი, ფურცელაძე, დანელია - 4-4, პაიკიძე, მიქაძე - 3,5-3,5, არაბიძე - 1,5 ქულა.

დღეს მე-10 ტურში ითამაშებენ: ხურციძე-მელია, ლომინეიშვილი-არაბიძე, ხუხაშვილი-ხოტენაშვილი, პაიკიძე-ფურცელაძე, ბაციაშვილი-ნიკოლაძე, დანელია-ჯავახიშვილი, მიქაძე ისვენებს.

ვაჟა დანელია

სამთო თხილამურობა

სტარტი გადაიდო, ჩემპიონატი ხვალ დაიწყება

კალენდარში უკვე მესტიაცაა

საქართველოში სამთო-სათხილამურო სეზონი ოფიციალურად 15 იანვარს უნდა გახსნილიყო, მაგრამ უთოვლობის გამო ბაკურიანში დაგეგმილი თასის გათამაშება გადაიდო.

დღეისათვის კი ჩვენი ქვეყნის სამთო კურორტებზე თოვლის საკმარისი რაოდენობაა და სეზონის დაწყებასაც წინ აღარაფერი უდგას. საქართველოს ჩემპიონატი ხვალ აიღებს სტარტს ბაკურიანში, ქვეყნის პირველობა ეტაპებად 10 აპრილამდე გასტანს. სასიხარულოა, რომ პირველად ოფიციალური შეჯიბრებების კალენდარში შეტანილია მესტია, სადაც მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს.

გაგაცნობთ საქართველოს 2011 წლის ჩემპიონატის სრულ კალენდარს:

21-22 იანვარი. ბაკურიანი. გიგანტური სლალომი, სლალომი;

5-6 თებერვალი. ბაკურიანი. გიგანტური სლალომი, სლალომი;

11-12 თებერვალი. მესტია. გიგანტური სლალომი, სლალომი;

5-6 მარტი. გუდაური. გიგანტური სლალომი, სლალომი;

11-12-13 მარტი. გუდაური. გიგანტური სლალომი, სლალომი, სუპერგიგანტი.

8-9-10 აპრილი. გუდაური. გიგანტური სლალომი, სლალომი, სუპერგიგანტი.

ლევან ჯანეზაშვილი

● შოთა ლომიძის გახსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე ტექნიკური და ყველაზე ღონიერი ევროპაში

20 იანვარი შოთა ლომიძის დაბადების დღეა. ნაადრევად, 1993 წელს წავიდა ამ ქვეყნიდან, მართლაც რომ უკვდავებაში გადავიდა და დატოვა ლეგენდა ლომის გვარის ფალავანზე. სწორედ ასეთი სახელით — „ლომის გვარისა" გამოვიდა შოთა ლომიძის დაბადებიდან 75 წელთან დაკავშირებით მისი მეგობრისა და მემატიანის, ცნობილი ჟურნალისტის რაიმონდ მაჭავარიანის წიგნი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნიჭიერად და სიყვარულით დაწერილი ეს წიგნი თავისებური ძეგლია კაცისა, რომელმაც მართლაც რომ ღირსეულად ატარა ლომის-გვარი.

გთავაზობთ ნაწყვეტს რ. მაჭავარიანის ზემოხსენებული წიგნიდან.

■ ■ ■

ევროპის 1969 წლის პირველობამდე ერთი თვით ადრე გაირკვა, რომ ალექსანდრ მედვედი შეუძლოდ იყო და სოფიაში (პირველობას ბულგარეთი მასპინძლობდა) ვერ გაემგზავრებოდა.

მოგეხსენებათ, ჭიდაობაში, ისევე როგორც კრივსა და ძალოსნობაში, მძიმე წონის ათლეტთა გამარჯვებას სულ სხვა შნო და ლაზათი აქვს. ამ წონით კატეგორიაში, წლების განმავლობაში, მონაცვლეობით იმარჯვებდა ორი ალექსანდრე, - ივანიცკი და მედვედი.

როგორც საბჭოთა პრესა აღნიშნავდა, ამ ორი გოლიათის წარმატებები განსაკუთრებულ სიამაყეს ანიჭებდა ქვეყნის მშრომელებსა და მათ ახალ-ახალი წარმატებისთვის რაზმავდა! ხუმრობა იქით იყოს და, მართლაც სასიამოვნოა როცა იცი, რომ შენი ქვეყნის მძიმეწონოსანი ყველაზე ძლიერია, ყველაზე ტექნიკურია... რომ მისი მჯობნი ქვეყნად არავინაა! და აი, ასეთ დროს აღმოჩნდა, რომ ფალავანი ვისიც ეიმედებოდათ, ავად გახდა. მისი შემცვლელი კი (ლაპარაკია ალექსანდრე ივანიცკიზე) კარგა ხნის წასული იყო დიდი სპორტიდან...

შეიქმნა რეალური საფრთხე, რომ ასე ტრიუმფით განვლილი 1969 წელი საკმაოდ უღიმღამოდ დამთავრდებოდა. ბოლო აკორდი დისონანსს შეიტანდა თავმოსაწონ წარმატებებში.

ევროპის ეს ჩემპიონატი კიდევ ერთი გარემოების გამო იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, მართალია, დამაჯერებლად მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის სახელი, ვერ იქნა და ვერ შეძლო ევროპის პირველობაზე თავის გამოჩენა. 1967 წელს ჩემპიონი გახდა თურქეთის გუნდი, 1968 წელს კი — ბულგარელები. ზედიზედ მესამედ დამარცხება საბჭოთა ნაკრებისათვის, მეტი რომ არა ვთქვათ, შეურაცხმყოფელი იქნებოდა.

დიდი ბჭობისა და მრავალგზის აწონ-დაწონის შემდეგ, მწვრთნელთა საბჭომ გადაწყვიტა, ბულგარეთში, მძიმე წონაში, ქვეყნის ნაკრების ღირსებას შოთა ლომიძე დაიცავსო.

რამდენად მართალი იყო ცნობა მედვედის ავადმყოფობის შესახებ, რამდენად ესაჭიროებოდა მას მკურნალობა, ამის შესახებ ოფიციალურ დონეზე არავინ არაფერს ამბობდა. კულუარებში კი ლაპარაკობდნენ, რომ მედვედი შეგნებულად არიდებდა თავს ევროპის პირველობაზე გამოსვლას. მიზეზი კი ის იყო, რომ არენაზე გამოჩნდა ახალგაზრდა ბულგარელი მძიმე წონის ფალავანი დურალიევი. ამ გოლიათმა ათლეტმა ჯერ კიდევ 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა და მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით წააგო ბრძოლა მედვედთან. ერთი წლის შემდეგ, მექსიკის ოლიმპიური თამაშების ფინალში მედვედი და დურალიევი შეხვდნენ ერთმანეთს. უძლიერესის დასახელების დროს, მსაჯებს შორის ერთიანობა არ ყოფილა... რაც შეეხება 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატს, ამ ორი გიგანტის შეხვედრა ფრედ დამთავრდა. მედვედს იმან უშველა, რომ სხვებთან შეხვედრებში 1 საჯარიმო ქულით ნაკლები ჰქონდა მიღებული და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი მას გადასცეს. ერთი სიტყვით. პროგნოზი, — რომ ბულგარელი ფალავანი საკუთარ მოედანზე არავის არაფერს დაუთმობდა, ეჭვს არ იწვევდა და მედვედმაც მასთან ჭიდაობას ძველი ტრავმების მოშუშება ამჯობინა.

სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პირადად მე, შოთას მეგობარსა და მისი ჭიდაობის თაყვანისმცემელს, მძიმე წონაში მისი გადასვლა არ გამხარებია... სოფიაში დურალიევის დამარცხება ვერაფრით წარმოვიდგინე. გარდა ამისა, მძიმე წონაში გამოდიოდნენ: თურქი თოფუზისი, გერმანელი დიტრიხი, ირანელი ანვარი, შვედი ერიქსონი... ყველა მათგანი არაერთხელ მდგარა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე; მათგან ყველაზე მსუბუქი 130 კილოგრამს იწონიდა, ყველაზე მძიმე კი ათ ფუთს - 160 კილოგრამს. ეს მაშინ, როდესაც ქართველი ათლეტი „მიშვებული წონის" პირობებშიც კი 110-112 კილოგრამი ძლივს იყო.

ასე ჭიდაობდა შოთა ლომიძე



სოფიაში ჩასული ჟურნალისტები მძიმე წონის მოჭიდავეთა კვარცხლბეკს ასე ხედავდნენ. უმაღლეს საფეხურზე, რა თქმა უნდა, დურალიევი ავა, მეორე საფეხურს დაიკავებს თურქი, მესამეს — შვედი... ჩვენი ფალავანი ხუთეულშიც კი არავის შეჰყავდა.

ბულგარეთის დედაქალაქი 19-დან 22 სექტემბრამდე, შეიძლება ითქვას, ერთ დიდ საჭიდაო მოედნად იქცა. სოფიაში 19 ქვეყნის 127 ათლეტი ჩავიდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში საქართველოდან მხოლოდ ორნი იყვნენ: ნოდარ ხოხაშვილი, რომელიც პირველ ქვესაშუალო წონაში გამოდიოდა და შოთა ლომიძე.

მასპინძლები პირდაპირ აცხადებდნენ, 1969 წლის ევროპის პირველობა ისტორიაში შევა, როგორც ჩვენი ჭიდაობის სკოლის ტრიუმფი. ჩვენ შეგვიძლია ათივე ოქროს მედლის მოპოვებაო.

ბულგარელებმა მართლაც შესანიშნავი სტარტი აიღეს. პირველ დღეს ხუთი წონითი კატეგორიიდან ოთხში (!) მათი წარმომადგენელი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე...

მხოლოდ მეორე დღეს შეძლეს საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა მდგომარეობის გამოსწორება. ოქროს მედლები მოიპოვეს დიმიტრიევმა, გუსოვმა, შახმურადოვმა, სტრახოვმა და გულიუტკინმა. დაძაბულობამ რომ იტყვიან, კულმინაციას მიაღწია. ოქროს მედლების რაოდენობით საბჭოთა გუნდი დაწინაურდა.

მასპინძელთა სანუკვარი მიზანი ახლა მძიმე წონაში გამარჯვება იყო. მაშინ ოქროს მედლები თანაბრად იქნებოდა განაწილებული. ხუთი ბულგარელებს ექნებოდათ, ხუთი კი — საბჭოთა კავშირის გუნდს. ასეთ „ყაიმს" ერთგვარი დადებითი მუხტიც ახლდა, — გამარჯვება ყველაზე პრესტიჟულ წონაში!

ევროპის პირველობის დასკვნითი ეტაპის ასე წარმართვაში, მასპინძლებს ეჭვი არ ეპარებოდათ. სწამდათ, ბოლო ჰიმნი დურალიევის გამარჯვების აღსანიშნავად აჟღერდებოდა, მაგრამ... სოფიაში საჭიდაოდ ჩასული იყო კაცი, რომელსაც არაფრით უნდოდა ოქროს მედლის დათმობა. ეს ურჩი ადამიანი ჩვენი სახელოვანი ფალავანი შოთა ლომიძე გახლდათ.

თუ როგორ იჭიდავა ბულგარეთის ხალიჩაზე საქართველოს ღირსეულმა შვილმა, ამის შესახებ საბჭოთა კავშირის მაშინდელი ნაკრების მწვრთნელი იოსებ ჩხატარაშვილი გიამბობთ: „საქმე ის გახლავთ, რომ მძიმეწონოსანმა ალექსანდრე მედვედმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო სარბიელზე გამოსვლა. მართალია, იგი ჩავიდა სოფიაში, მაგრამ ჩავიდა როგორც სტუმარი. გუნდის ინტერესების დაცვა ამ წონაში შოთას დაეკისრა. ლომიძეს არა აქვს მძიმე წონის „საკმარისი" კილოგრამები, მაგრამ ამ ნაკლს თავისი საოცარი ძალითა და სისწრაფით ინაზღაურებს.

პირველი ბრძოლა პოლონელ პახუნსკისთან ქართველმა ფალავანმა უპრობლემოდ წმინდად მოიგო, შემდეგ, ასევე, დროზე ადრე დაამთავრა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის გუნდის წევრ ბუსიკთან. თურქი თოფუზი ორჯერ გააკრა ხალიჩს ბეჭებით, მაგრამ მსაჯებმა ილეთის სინორეში ეჭვი შეიტანეს და შოთაც იძულებული გახდა, ქულებით გამარჯვებას დასჯერებოდა. მან 8 მომგებიანი ქულა აართვა თურქს და არც ერთი დაუთმო.

გადამწყვეტი ბრძოლა: ლომიძე-დურალიევი. პირველსავე წუთზე შოთა ფეხებში შეუვარდა და, წარმოიდგინეთ, ჰაერში აიტაცა 130-კილოგრამიანი გიგანტი. მაყურებელი გაოგნებული უყურებდა თავისი კერპისა და მთავარი ფავორიტის მარცხს. ერთხელ ლომიძემ ხიდზეც შეაყენა მეტოქე, რამდენჯერ ჩოქბჯენშიც გადაიყვანა და საბოლოოდ 7:0 მოუგო. დურალიევმა ერთი ქულის მოპოვებაც ვერ შეძლო".

დამთავრდა ევროპის პირველობა. შოთა ლომიძეს ოქროს მედალთან ერთად ყველაზე ტექნიკური და ყველაზე ღონიერი მოჭიდავის პრიზი გადაეცა!

არა მგონია, მსოფლიოში მოიძებნებოდეს მოჭიდავე, რომელიც მძიმე წონაში ჩემპიონის ტიტულთან ერთად ოფიციალურად ატარებდეს ყველაზე ტექნიკური და ყველაზე ღონიერი ფალავნის სახელს!

აქვე მინდა ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავის ლევან თედიაშვილის მოგონება შემოგთავაზოთ: „ბატონი შოთა და მე ბილიარდს ვთამაშობდით. უცებ ფეი გაუსრიალდა და წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელები აღმართა, კიას ბაგირზე მოსიარულე აკრობატივით ჩაეჭიდა. საშინელი ჭახანის ხმა გაისმა... წელში გამართული შოთა გადამტვრეულ ბილიარდს სათამაშო ჯოხს ღიმილით დასცქეროდა. ჩემ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. არა მგონია კიას ტარში (!) გადატეხა, ასე „შემთხვევით" სხვამაც შეძლოს".

როდესაც ბულგარეთის ხალიჩაზე გამართულ ორთაბრძოლებზე ვსაუბრობდით, შოთამ ერთი სახალისო ამბავიც გაიხსენა: — იმ დღეებში სოფიაში საგასტროლოდ იმყოფებოდა ჩვენი სასიქადულო ანსამბლი „ორერა". კონცერტებამდე ადგილობრივ პრესაში იწერებოდა - ქართველების სიმღერის მოსასმენად ვის სცალია, დედაქალაქი ჭიდაობით ცოცხლობსო.

ჩემდა გასახარად, „ორერამ" ესტრადაზე ისეთი ცეცხლი ააგიზგიზა, რომ მის კონცერტებზე ბილეთის შოვნა მაღალჩინოსნებსაც უჭირდათ. რა თქმა უნდა, ჩემმა ოქროს მედალმა და მათი ხელოვნების საყოველთაო აღიარებამ სოფიის ფეშენებელურ საბანკეტო დარბაზში სუფრა გაგვაშლევინა.

■ ■ ■

მაშ ასე, 33 წლის შოთა ლომიძე არა მარტო მთელ მსოფლიოშია უძლიერესი ქვემძიმე წონაში, არამედ ბადალი არა ჰყავს ევროპის მძიმე წონის მოჭიდავეებს შორისაც. გარდა ამისა, იგი ჩვენს კონტინენტზე ყველაზე ღონიერი და ყველაზე ტექნიკური ფალავანია!

აზრი, რომ ქართველი ათლეტი მზად იყო საკავშირო თუ საერთაშორისო არენაზე ალექსანდრე მედვედის შესაცვლელად, თანდათან მწიფდებოდა. ამიტომ სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელოდნენ საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობას, რომელიც ალმა-ათაში, ოქტომბრის დამდეგს უნდა გამართულიყო. იქ გაეცემოდა პასუხი კითხვას, ვინ იყო უძლიერესი — „დათვი" თუ „ლომი".

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შოთა ლომიძის სახელი ერთობ პოპულარული გახდა. ჭიდაობის მოყვარულთა ყურადღება მას არასოდეს მოჰკლებია, მაგრამ ახლა სულ სხვა იყო... შოთამ ხომ შორს, ძალიან შორს გაიტანა ქართველი კაცის სიჩაუქისა და მკლავის ძალის ამბავი.

გამიგონია, ირანში საჯარო თავშეყრის ადგილებში, ცნობილი ფალავნის — ტახტის გამოჩენა ისეთ ოვაციებს იწვევდა, შაჰიც კი ეჭვიანობდაო... ტახტის სახელს ფიცულობდნენ, მისთვის ლოცვებს აღავლენდნენო...

ჩვენში, მართალია, მსგავსი რამ არ მოხდარა და ვინმეს გაფეტიშებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ დიდი სპორტსმენის პატივისცემა, მათდამი ყურადღების გამოჩენა, მათთვის ქებადიდების შესხმა არავისგან გვესწავლება...

შოთა ახალი დაბრუნებული იყო ბულგარეთიდან, სანაპიროზე თავისი მანქანით ტაქსის რომ დაეჯახა. მართალია ავარია უსისხლოდ დამთავრდა, მაგრამ მანქანები გვარიანად დაიმტვრა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ინსპექტორმა, ორივე დამნაშავე ხართო და, ორივე მძღოლს საბუთები ჩამოართვა.

შოთას მართვის მოწმობას რომ დახედა და გვარი წაიკითხა, მიხვდა, მის წინ ვინც იდგა. ამიტომ აქტის დაწერა გადაიფიქრა, სთხოვა, დაზარალებულებმა თავად გამონახეთ საერთო ენაო. შოთას კი მეგობრულად ურჩია, - ბატონო ლომიძე, ფრთხილად იარეთ, თქვენ საქართველოს საღ-სალამათი სჭირდებითო...

ტაქსის მძღოლმა მართვის მოწმობის დაბრუნებისთვის, მართალია, ინსპექტორს მადლობა გადაუხადა, მაგრამ... მოთქმა გააბა, — რაღა მეშველება, ეს მანქანა ერთი კვირაა მივიღე: ხუთი წელი ვიდექი რიგში, ვინ გამირემონტებს, ფულს სად ვიშოვი, რით შევინახო ავადმყოფი ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილიო...

— ამის გამგონეს, გულს შემომეყარა, — იგონებდა შოთა, — მართალია, ავარიაში ნაკლებად ვიყავი დამნაშავე, მაგრამ გაჭირვებულ კაცს ზურგს როგორ შევაქცევდი. ვუთხარი, წამოდი, შენს უფროსთან წაგყვები, იქნებ ხელი გაგიმართოს-მეთქი.

რამდენიმე წუთში გვერდებ და ცხვირშეჭყლეტილი ორი „ვოლგა" თბილისის მე-3 ავტოპარკს მიადგა. მაშინ იქ დირექტორად ერთი კარგი თბილისელი კაცი — ბიჭიკო ფირცხალავა მუშაობდა. ის იყო, შოთამ კაბინეტის კარი შეაღო და სტუმრობის მიზეზის ახსნას შეუდგა, რომ მასპინძელმა წინ გადაშლილ „ლელოს" დახედა და ფეხზე კი არ წამოდგა, წამოფრინდა: იყვირა — შენ შოთა არ ხარ, ლომიძეო?!

ტაქსის მძღოლს, ეს რა დიდებული კაცი გამაცანიო, დამტვრეულის ნაცვლად ახალი მანქანა იქვე გამოუყო, შოთას „ვოლგა" სახელოსნოში დააყენებინა, - დღის ბოლომდე საპატარძლოსავით გააღლამაზეთო და საამაყო ფალავანი რესტორანში „წასახემსებლად" მიიპატიჟა.

შოთას და ბიჭიკო ფირცხალავას შემთხვევით დაწყებული ნაცნობობა შემდგომ მეგობრობაში გადაიზარდა.

შოთა ლომიძე:

- მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1969, 1971);
- ევროპის ორგზის ჩემპიონი (1966, 1969);
- ოლიმპიური თამაშების (1968) მეორე პრიზიორი;
- მსოფლიო ჩემპიონატის მეორე (1967) და მესამე (1965) პრიზიორი;
- ევროპის მეორე პრიზიორი (1967);
- ხალხთა სპარტაკიადის ორგზის (1967, 1971) პრიზიორი;
- სსრ კავშირის სამგზის (1962-III, 1968-II, 1969-III) პრიზიორი;
- თბილისის საერთაშორისო ტურნირის ოთხგზის (1962, 1964, 1967, 1969) გამარჯვებული;
- სპორტის დამსახურებული ოსტატი;
- წონა 97-100 კგ.

ლოლოლო წარმოგიდგენთ

ქართული სპორტის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური სახეობები — ალვადგინოთ!

მოქნევა

ცხენოსნური თამაშის ამ სახეობაში ასახულია გაჭენებული ცხენის სწრაფად შეჩერებისა და დამორჩილების უნარი. ეს თამაში უფრო ცხენისა და მხედრის საომარ წვრთნას წარმოადგენს, რადგან ძველ დროს ქართველ მეომარს მტრებთან ბრძოლა უხდებოდა მთაში, ბარში და უგზოობის პირობებში.

მოქნევა მეტად რთულია და როგორც მხედრისაგან, ისე ცხენისაგანაც მოითხოვს კარგ მომზადებას. ძველად ამ თამაშის დროს მხედარს უყენებდნენ მძიმე მოთხოვნას. მხედარი ჯარიმდებოდა, თუ მას თავზე გადაგდებული ყაბალახის ტოტი ცხენის გაჭენების მომენტში გადაუვარდებოდა ან შეინძრეოდა. ჯარიმდებოდა მაშინაც, როცა ჩოხის კალთა უნაგირიდან ამოუვარდებოდა. მოქნევა წინათ ტარდებოდა გაშლილ ნაბადზე. მხედარი მათრახს მოუქნევდა ცხენს და იმ მომენტში, როდესაც ცხენი საჭენებლად გაიწევდა. მხედარს იგი ადგილზე უნდა დაეკავებინა, ცხენს ოდნავადაც არ უნდა გადაებიჯებინა ნაბადს გარეთ. ეს წესები იმ დროს ზუსტად იყო დაცული.

არსებობს თამაშის შემდეგი წესი: ცხენის სარბენ მოედანზე შემოხაზული 25-30 მეტრის სიგრძის და 4-5 მეტრი სიგანის ფართობი. მოთამაშე მხედარს ცხენი ნავარდით შემოყავს შემოხაზული ტერიტორიის შუაში, რის შემდეგ ნაბიჯით მიდის შემოხაზული მოედნის ერთი მხრიდან მეორე მხარის ბოლომდე, საიდანაც სრული ნავარდით ბრუნდება უკან. როგორც კი მიუახლოვდება წრეს, მან ზუსტად წრეზე ელვისებურად უნდა შეაჩეროს ცხენი, უკან მობრუნდეს მხოლოდ მეორე მხარით, ესე იგი თუ პირველად მობრუნდა მარჯვნიდან, უკან უნდა მობრუნდეს ისევ ნავარდით მარცხნივ შეტრიალებით და ზედ წრეზე ისევ ელვისებური სისწრაფით შეაჩეროს ცხენი. თუ მხედარმა ცხენის გაჩერება ვერ მოახერხა ხაზზე და გადააცდინა მას თუნდაც ცხენის ერთი ფეხითაც კი, ეწერება ჯარიმა. ეს თამაში მეორდება ორ-სამჯერ, მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით შეიძლება გამეორდეს მეტჯერაც. გამარჯვებულად ითვლება ის მხედარი, რომელიც შეცდომის და ჯარიმის გარეშე შეასრულებს ამ წესებს.

თარიღი — 20–26 იანვარი

20.01.1936 წ. დაიბადა **შოთა ლომიძე** — თავისუფალი ჭიდაობა. გარდაიცვალა 1993 წელს. დაბადებიდან 75 წელი.
20.01.1968 წ. დაიბადა **ვლადიმერ ადამაშვილი** — ველოსპორტი.
21.01.1948 წ. დაიბადა **დათო დანელია** — ხელბურთი (მსაჯი).
21.01.1941 წ. დაიბადა **ამირან სხიერელი** — კალათბურთი. დაბადებიდან 70 წელი.
22.01.1973 წ. დაიბადა **მუხრან ვახტანგაძე** — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
23.01.1958 წ. დაიბადა **ზაურ სვანაძე** — ფეხბურთი.
23.01.1972 წ. დაიბადა **ბადრი ჯანიაშვილი** — სამბო.
23.01.1962 წ. დაიბადა **გურამ გედეხაური** — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
23.01.1990 წ. დაიბადა **ელენე გედევანიშვილი** — ფიგურული ციგურაობა.
25.01.1924 წ. შამონში (საფრანგეთი) გაიხსნა ზამთრის I ოლიმპიური თამაშები.
25.01.1948 წ. დაიბადა **ვლადიმერ ისელიძე** — წყალბურთი.
26.01.1989 წ. დაიბადა **ლევ გოლოვნია** — ფარიკაობა (მწვრთნელი), გარდაიცვალა 1969 წელს.

პირველი, პირველმა, პირველად

პირველი შეჯიბრება ნიჩბოსნობაში(ბაიდარა და კანოე) საქართველოში გაიმართა XX საუკუნის 30-იან წლებში მცხეთაში. აკადემიურ ნიჩბოსნობაში კი მოგვიანებით — 50-იან წლებში.

პირველმა ლევან თედიაშვილმა მსოფლიო სპორტის ისტორიაში მოკლე დროში ორ ტურნირში იასპარეზა ჭიდაობის ორ სახეობაში (თავისუფალი ჭიდაობა, სამბო) და ორივეში მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა.

პირველად კომპლექსური სპორტული შეჯიბრება — სპარტაკიადა ქალთა შორის თბილისში ჩატარდა 60 წლის წინათ, 1951 წელს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში ასპარეზობდნენ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების, მეორეში — წარმოებისა და დაწესებულებების ქალები.

იყო ასეთი შემთხვევა

გაზეთის მოცდა შეუძლებელია

ისტორიას სამარადისოდ შემორჩა სსრ კავშირისა და ამერიკის კალათბურთელთა დრამატული ფინალური მატჩი მიუნხენის ოლიმპიადაზე. ალექსანდრე ბელოვმა თამაშის მინურულს ჩაგდებული ბურთით მოუტანა გამარჯვება საბჭოთა ნაკრებს. ამერიკელებმა იმის მომიზეზებით, რომ თითქოს დრო ამონურული იყო, კატეგორიულად მოითხოვეს ბელოვის ბურთის გაუქმება. საგანგებოდ შეიკრიბა ჟიური პროტესტის გასარჩევად. დრო გადის, შუაღამე გადავიდა, ბჭობა გრძელდება. არადა, რედაქცია მატჩის ანგარიშს ელოდება.

— რა ვქნათ? — ვეკითხები ერთ-ერთ ოფიციალურ პიროვნებას.

— დაელოდეთ! — იყო მოკლე პასუხი.

— კი მაგრამ, გაზეთი ვერ მოიცდის...

ეს უკვე ჩემი პრობლემა იყო. მიმოხილვა კი გადავეცი რედაქციას დროულად, მაგრამ ამერიკელთა პროტესტის უარყოფის ამბავი მხოლოდ გაზეთის მომდევნო ნომრიდან შეიტყო მკითხველმა.

გარუნ აკოპოვი
ვეტერანი ჟურნალისტი

თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

1. რომელი წლიდან მონაწილეობდა თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი თანაქალაქელ „დინამოსთან“ ერთად სსრ კავშირის ჩემპიონატში?
ა – 1949 წლიდან
ბ – 1950 წლიდან
გ – 1952 წლიდან

2. რომელი ქართველი მოკრივე მონაწილეობდა 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებში?
ა – ვლადიმერ ჭანტურია
ბ – რამაზ ფალიანი
გ – ნიკოლოზ იზორია

3. მშვილდოსნობაში რომელ წელს და სად მოიპოვა ოლიმპიური მედალი ბოლოს ქართველმა სპორტსმენმა?
ა – 1988 წელს, სეულში
ბ – 1992 წელს, ბარსელონაში
გ – 1996 წელს, ატლანტაში

4. გათხოვებამდე რომელი ცნობილი არაქართველი მოჭადრაკე ცხოვრობდა თბილისში და გამოდიოდა საქართველოს სახელით?
ა – ელენა ახმილოვსკაია
ბ – ირინა ლევიტინა
გ – ალა ჩაიკოვსკაია

5. რომელ წელს გაიმართა პირველად შვიდკაცა რაგბის პირველი ტურნირი საქართველოში?
ა – 1978 წელს
ბ – 1980 წელს
გ – 1988 წელს

პასუხები: 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ა, 5-ბ

კროსვორდი

შეადგინა თენგიზ თომაშვილმა

პასუხები მომდევნო ნომერში

თარაზულად: 3. ჰოკეის ბურთი, 5. ხარი არენაზე, 6. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა, 9. ქართული ისტორიული თამაში ბურთით, 10. ქართველი ვუნდერკინდი ფეხბურთელი, 11. ბავშვთა საფეხბურთო სკოლა და სტადიონი ვაკეში. 14. მძლეოსნური იარაღი. 15. ვეტერანი ფეხბურთელი — ვეტერანთა თავკაცი, 17. სფფ-ს ახალშეძენილი სპონსორი (კომპანია), 18. სატანვარჯიშო იარაღი, 19. საჭადრაკო ფიგურა, 20. სასროლეთი, 25. იაპონური ჭიდაობა, 26. „ლელოს“ ყოფილი რედაქტორი, 27. სამიზნე კალათბურთის ძელზე, 31. ქართული ცხენოსნური თამაშობა, 32. მხედრის შარვალი, 33. ძალოსნური ორჭიდის ერთ-ერთი პროგრამა.

შვეულად: 1. გორის საფეხბურთო კლუბი, 2. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (აბრევიატურა), 3. ზამთრის პირველი ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 4. ტანმოვარჯიშე ... გიორგაძე, 5. საქართველოს ნაკრების ყოფილი უცხოელი მწვრთნელი, 7. ეროვნებით ბერძენი ვეტერანი დინამოელი ფეხბურთელი, 8. საქართველოს სამბოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, 12. „დურუჯის“ ქალაქი, 13. რჩეულ მებრძოლთა და სპორტსმენთა კრებული, 14. ბათუმის ყოფილი საკალათბურთო კლუბი, 16. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი ქალი ... ასიტაშვილი, 21. სპორტსმენთა კრებული, 22. ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი კალათბურთელი, 23. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (აბრევიატურა), 24. ცურვის ყაიდა, 28. ფეხბურთის გულშემატკივარი, 29. ბორჯომის ყოფილი საფეხბურთო გუნდი, 30. საფრანგეთში მოთამაშე თბილისელი ფრენბურთელი.

ფოტომატიანე



1959 წლის 22 მაისი. დინამო-ლა განტუაზი (გენტი, ბელგია) 2:1.
ვლადიმერ ბარქაია გაწბილებულ მეტოქეთა გარემოცვაში

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ექვსი ერი

სკოტებს სამი დებიუტანტი ჰყავთ

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, შოტლანდიის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა** იმ 34 მორაგბის სია გააცხადა, ვინც ექვსი ერის გათამაშებაში იასპარეზებს.

რობინსონმა „სკოტების“ რიგებში სამ დებიუტანტს უხმო, „ბასის“ უკანახაზელ **ჯეკ კათბერტს,** „გლაზგოს“ შერკინების ბურჯ **ჯონ ველშს** და ამავე გუნდის მესამეხაზელ **რობ ჰერლის.**

ნაკრების კაპიტანს „ნარშავების“ ინგლისელი თავკაცი, სავარაუდოდ, **მაიკ ბლერის, ალისტერ კელოკსა** და **რორი ლაუსონს** შორის აარჩევს.

შოტლანდიის ნაკრებს ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან, **გრეგ მორისონი, კრის კაზიტერი, ფილ გოდმენი, ალასდაირ დიკინსონი** და **ჯიმი ჰემილთონი.**

„ნაკრების შემადგენლობის შერჩევისას გავითვალისწინეთ შემოდგომის ტესტების შედეგები და მოთამაშეთა ამჟამინდელი სათამაშო ფორმა. აღფრთოვანებული ვარ ***რობ ჰარლით****, რომელიც ბოლო დრომდე შოტლანდიის A ნაკრებში თამაშობდა.*

მეორე, ვინც ეროვნულ ნაკრებში დავაწინაურეთ, ჯონ ველშია, რომელიც უაღრესად დისციპლინებული მოთამაშეა და განუხრელად პროგრესირებს.

საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი ინგლისური „ბასის“ უკანახაზელმა ***ჯეკ კათბერტმა****, რომელსაც შარშან ბუქარესტში გამართულ IRB-ს ერთა თასის გათამაშებაშიც დავაკვირდით, როცა ის შოტლანდიის A ნაკრებში გამოდიოდა,“* - თქვა „სკოტების“ თავკაცმა ენდი რობინსონმა.

აღსანიშნავია, რომ შოტლანდიის ნაკრებმა ბოლო ექვს შეხვედრაში ხუთი მოიგო. „ნარშავები“ ექვსი ერის გათამაშების პირველ ტურში, 5 თებერვალს სტუმრად საფრანგეთის ნაკრებს ეთამაშებიან.

შოტლანდიის ნაკრები:

შერკინება: ჯონ ბარკლი, ჯონი ბითი, კელი ბრაუნი, ჯოფ გროსი, როს ფორდი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, რობერტ ჰერლი, ნათან ჰინესი, ალან იაკობსენი, ალისტერ კელოკი, სკოტ ლაუსონი, მურელი ლოუ, სკოტ მაკლოიდი, ევან მურეი, როს რენი, რიჩი ვერნონი, ჯონ ველში.

უკანა ხაზი: ჯო ანსბრო, მაიკ ბლერი, ჯეკ კათბერტი, საიმონ დენიელი, ნიკ დე ლუკა, მაქს ევანსი, ალექს გროვი, რუარიდ ჯექსონი, გრეგ ლაიდლოუ, რორი ლამონტი, შეინ ლამონტი, რორი ლაუსონი, დენ პარქსი, კრის პატერსონი, ჰუგო საუთვილი, ნიკი ვოლკერი.

სამყურებს სკუადრა აძურას უფრთხიან

ირლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დეკლან კიდნიმ** „სამყურების“ შემადგენლობაში ერთ დებიუტანტს უხმო. „ქონოთის“ უკანახაზელი **მაიკ მაკკარტი,** რომელიც იქამდე ინგლისური „ნიუკასლის“ ღირსებას იცავდა, წლეულს „მაგნერს ლიგაში“ ბრწყინვალედ ასპარეზობს და კიდნის ყურადღება მიიქცია.

ტრავმის მოშუშების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდნენ მორკინალები **რორი ბესტი** და **ლუკ ფიცჯერალდი.** სამაგიეროდ „სამყურებს“ დააკლდებათ „ლესტერ ტაიგერზის“ კაპიტანი **გორდონ მერფი.** მან ინგლისის ჩემპიონატში „ნორსჰემპთონთან“ მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და, შესაძლოა, წლევანდელ სეზონში ვერ ითამაშოს.

ნაკრებში ვერ მოხვდა „მანსტერის“ ცხრა ნომერი **ტომას ოლირი.** კიდნიმ მას **ეოინ რედანი** და **პიტერ სტრინგერი** არჩია. ოლირიმ ირლანდიის A ნაკრებში (ირლანდიელი ნაგაზები) გადაინაცვლა.

ირლანდიის ნაკრები 5 თებერვალს რომში იტალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. კიდნი „სკუადრა აძურასთან“ მატჩს დიდი სიფრთხილით ეკიდება.

„ეროვნული ნაკრებისთვის მოთამაშეების შერჩევა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ძალიან რთული იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ყველაზე მეტად ახლა გამიჭირდა. არადა ექვსი ერის გათამაშებას გასვლითი შეხვედრით ვიწყებთ ანგარიშგასაწევ გუნდთან.

იტალიის ნაკრები ნელ-ნელა პროგრესირებს. მათი კლუბების ჩართვამ „მაგნერს ლიგის“ გათამაშებაში დადებითად იმოქმედა ამ ქვეყნის ნაკრების განვითარებაზე. „სკუადრა აძურასთან“ თამაში სულ უფრო რთული ხდება. ამიტომ სანვრთნელ შეკრებაზე მაქსიმალურად უნდა დავიხარჯოთ, რათა რომში იტალიელების დამარცხება შევძლოთ,“ - თქვა დეკლან კიდნიმ.

ირლანდიის ნაკრები

შერკინება: რორი ბესტი, ტომ კურტი, შონ კრონინი, ლეო კალენი, სტივ ფერისი, ჯერი ფლენერი, ჯონ ჰეისი, კიან ჰილი, ჯიმი ჰისლიპი, შონ ჯენინგზი, დენის ლამი, მაიკ მაკკარტი, დონჩა ოკალაჰანი, პაულ ოკონელი, შონ ობარიანი, მაიკ ოდრისკოლი, მაილ როსი, რის რადოკი, დევიდ ვოლესი.

უკანა ხაზი: ტომ ბოვი, გორდონ დარსი, გევინ დაფი, ქის ეარლზი, ლაკ ფიცჯერალდი, შონ ჰორგანი, რონან ოგარა, ბრაიან ოდრისკოლი, ეოინ რედანი, ჯონათან სექსტონი, პიტერ სტრინგერი, ენდრიუ ტრიმბლი, ჰედი ვოლესი.

ექვსი ერი. I ტური

იტალია-ირლანდია, საფრანგეთი-შოტლანდია, ინგლისი-უელსი

მაიკ მაკკარტი

20 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

ბიბლიოთეკა

ვილ კარლინგი

1946 წელი

ახალი ზელანდიის ჯარის ნაკრებმა პირველად წააგო ბრიტანულ ტურნეში „მერიფილდზე“ შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან 6:11.

1952 წელი

ყოფილმა უელსელმა სპრინტერმა **კენ ჯოუნზმა** „თვიქნემზე“ ინგლისის ნაკრებს ორი ლელო გაუტანა და უელსის ეროვნულ გუნდს 8:6 მოაგებინა. ინგლისელთაგან თითო ლელო **ალბერტ აჯერმა** და **ჯონ ვუდვორდმა** მიითვალეს. გამარჯვება სტუმართა გუნდს **მალკოლმ ტომასმა** საჯარიმოთი მოუტანა. უელსის ნაკრებმა „თვიქნემზე“ მიღწეული ნარმატების შემდეგ შოტლანდიისა და ირლანდიის ნაკრებებიც დაამარცხა. ბოლოს კი საფრანგეთის ნაკრების ძლევით - 9:5 დიდი სლემი შეასრულა.

1963 წელი

ინგლისის ნაკრებმა კარდიფში, საშინელ ამინდში უელსის ნაკრების დამარცხება შეძლო - 13:6. თითო ლელო **ჯონ ოუენმა** და **მაიკლ ფილიპსმა** გაიტანეს. დამთხვევაა, მაგრამ მორიგ გამარჯვებას „ჰომებმა“ კარდიფში ზუსტად 28 წლის შემდეგ მიაღწიეს. **ვილ კარლინგის** მეთაურობით ინგლისელებმა 25:6 მოიგეს. იმ მატჩის გმირი **საიმონ ჰოჯკინსონი** იყო, მის ანგარიშზე შვიდი საჯარიმოა. თუმცა შეხვედრა გამორჩეული იმითაც იყო, რომ ცხრამეტი წლის ორი მორაგბის, **ნილ ჯენკინსისა** და **სკოტ გიბსის** დებიუტი შედგა.

1974 წელი

ხუთი ერის გათამაშების პირველივე ტურში მასპინძლებმა მოიგეს. საფრანგეთის ნაკრებმა პარიზში ირლანდიის ეროვნული გუნდი 9:6 დაამარცხა, უელსელებმა კი კარდიფში „სკოტებს“ მშრალი ანგარიშით 6:0 სძლიეს.

1980 წელი

ინგლისის ნაკრებმა ხუთი ერის გათამაშება ირლანდიის ეროვნულ გუნდთან მოგებით დაიწყო - 24:9. ამ გამარჯვებამ „ჰომებზე“ კატალიზატორივით იმოქმედა და 23-წლიანი პაუზის შემდეგ დიდი სლემის შესრულება შეძლეს.

ირლანდიელებთან მატჩში დებიუტი ჰქონდა სერ **კლაივ ვუდვორდს,** რომელიც თამაშში ფეხმოტეხილი **ტონი ბონდის** ნაცვლად ჩაერთო. ვუდვორდმა ეროვნულ ნაკრებში 20 კეპი მოიხვეჭა და ორჯერ ითამაშა „ბრიტანელი ლომების“ შემადგენლობაში. თუმცა მან ყველაზე ღირებულ წარმატებას სამწვრთნელო ასპარეზზე მიაღწია. მისი თავკაცობით ინგლისის ნაკრებმა 2003 წელს მსოფლიო თასი მოიგო, რისთვისაც სერის ხოდება მიანიჭეს.

1996 წელი

SANZAR-მა (ზე რაგბის ორგანიზატორი) გადაწყვიტა გუნდებს მატჩში ოთხი და მეტი ლელოს გატანისთვის დამატებით საპრემიო ქულა მიენიჭებინა. ეს ფორმატი, მოგვიანებით, ევროპელებმაც შემოიღეს.

ევროთასები

ჯო ფან ნიკერკი მეოთხედ

„ჰაინეკენის თასის“ გათამაშების ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. ფავორიტებმა, „ტულუზმა“, „ლენსტერმა“, „ნორსჰემპთონმა“ და „ტულონმა“ მეოთხედფინალის საგზური უკვე მოიპოვეს. სავარაუდოდ, მათ შეუერთდებიან „ალსტერი“ და „ლესტერ ტაიგერზი“.

planetrugby-მ გამოაქვეყნა „ჰაინეკენის თასის“ გათამაშების მეხუთე ტურის სიმბოლური ნაკრები, სადაც ყველაზე მეტი, ექვსი წარმომადგენელი ირლანდიურ „ლენსტერს“ ჰყავს. ორ-ორი მორაგბე მიავლინეს „ტულონმა“, „ტულუზმა“ და „ნორსჰემპთონმა“. საუკეთესოთა შორის თითო მოთამაშე მოხვდა „ჰლანეჰლიდან“, „ალსტერიდან“ და „გლაზგოდან“.

აღსანიშნავია, რომ „ტულონის“ სამხრეთაფრიკელი მესამეხაზელი **ჯო ფან ნიკერკი** სიმბოლურ ნაკრებში მეოთხედ მოხვდა.

სიმბოლური ნაკრები: 15. ისა ნაკევა (ლენსტერი), 14. მორგან სტოდდარტი (ჰლანეჰლი), 13. ბრაიან ოდრისკოლი (ლენსტერი), 12. კლემან პუატრენო (ტულუზი), 11. პაულ დიგინი (ნორსჰემპთონი), 10. ჯონათან სექსტონი (ლენსტერი), 9. პიერ მიონი (ტულონი).

1. სოანე ტონგაუიჰა (ნორსჰემპთონი), 2. რიჩარდ სტარუსი (ლენსტერი), 3. მურეი ლოუ (გლაზგო), 4. ლეო კალენი (ლენსტერი), 5. დენ ტაოჰი (ალსტერი), 6. შონ ობარიანი (ლენსტერი), 7. ტიერი დუსოტუარი (ტულუზი), 8. ჯო ფან ნიკერკი (ტულონი).

აჟენისა და შეყლაშვილის ბოლო შანსი

ევროთასების გათამაშების ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურს დღეს „ემლინ ჩელენჯ კაპზე“ **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი“ გახსნის სტუმრად, ინგლისურ „გლოსტერთან“ მატჩით. აჟენელები E ჯგუფში ასპარეზობენ და 15 ქულით მესამე ადგილზე არიან. მათ ერთი ქულით უსწრებს „გლოსტერი“.

შეყლაშვილს და კომპანიას მოგების შემთხვევაში, მინიმუმ საუკეთესო მეორე ადგილის დაკავება შეეძლება, რაც მეოთხედფინალში თამაშის საშუალებას იძლევა. პირველ ადგილს კი ვერავინ შეეცილება კიდევ ერთ ფრანგულ კლუბ „ლა როშელს“, რომელიც ბოლო ტურში აუტსაიდერს, იტალიურ „როვიგოს“ მასპინძლობს.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

ჩოგბურთი

ანდრე აგასიმ ცოლის შიშველი ფოტო გაყიდა

ამერიკულ პრესაში ლეგენდარული ჩოგბურთელის **ანდრე აგასის** ცხოვრების ერთი უსიამოვნო ეპიზოდი გაჟღერდა. როგორც ირკვევა, „დიდი სლემის“ ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულმა აუქციონზე გაყიდა თავისი მეუღლის, ასევე ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელის **შტეფი გრაფის** შიშველი ფოტო. ახლა ამ ისტორიას სკანდალური გაგრძელება მოჰყვა. აუქციონში გამარჯვებულს, ტაივანელ **ფრანც ჩენს** ეჭვი ეპარება, რომ ფოტოზე გამოსახული ქერათმიანი შიშველი ქალი მართლაც შტეფი გრაფი იყო.



ბედნიერი წყვილი

აუქციონი იანვრის დასაწყისში ტაივანში ჩატარდა. მისი წამყვანი თავად აგასი იყო. ის საკუთარი კერძის რეცეპტს ყიდდა და აუქციონის დროს დაამატა, რომ გამარჯვებულს თავისი მეუღლის შიშველ ფოტს აჩვენებდა, რომელიც მობილურ ტელეფონში ჰქონდა შენახული.

კერძისა და სურათის ნახვის უფლების სასტარტო ფასი დაახლოებით 4 ათასი დოლარი იყო. ფაიფურის მწარმოებელმა ფრანც ჩენმა შვიდი ათას დოლარად მოიგო აუქციონი, რამდენიმე დღის შემდეგ კი საჯაროდ გამოაცხადა, რომ ასი პროცენტით არ არის დარწმუნებული, რომ აგასიმ მას გრაფის ფოტო უჩვენა.

სიდნი კროსბი

ეჭვქვეშ დადგა „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ ჰოკეის ეროვნული ლიგის მთავარი ვარსკვლავის **სიდნი კროსბის** თამაში. „პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტანი 5 იანვრის შემდეგ არ თამაშობს - მიზეზი ტვინის შერყევაა. ექიმები ვარაუდობენ, რომ რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვერ მოასწრებს 30 იანვრისთვის გამოჯანმრთელებას, როცა ქალაქ როლიში, „კაროლინა ჰარიკეინზის“ მოედანზე ამ სეზონის „ყველა ვარსკვლავის მატჩი“ გაიმართება.

კროსბიმ ტრავმა პირველ იანვარს „ვაშინგტონთან“ მატჩში მიიღო, როცა მეტოქე ჰოკეისტმა **დეივიდ შტეკელმა** მის წინააღმდეგ ძალისმიერი ილეთი გამოიყენა. ამის შემდეგ, მთავარმა „პინგვინმა“ ტრავმა „ტამპა ბეის“ წინააღმდეგ გაიმიზეზა. ამჯერად მის წინააღმდეგ **ვიქტორ ჰედმანმა** იუხეშა.

ორი დღის წინ, კანადურმა გაზეთმა Globe and Mail-მა დაწერა, რომ კროსბიმ, შესაძლოა, პროტესტის ნიშნად გამოტოვოს „ოლ სტარი“. სიდნი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ არ გამოიყენა სანქციები შტეკელისა და ჰედმანის წინააღმდეგ. თუმცა კროსბიმ უარყო ეს ჭორი და განაცხადა, რომ ძალიან უნდა შოუზე გამოსვლა და ამის შანსი ჯერ კიდევ არსებობს.

„ჩემი მდგომარეობა ყოველდღიურად უმჯობესდება, - მოჰყავს ფორვარდის სიტყვები ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურ ვებგვერდს. - *თუმცა ჯერ გადაჭრით რაიმეს თქმა არ შეიძლება. თუ უკეთ გავხდები, აუცილებლად ვითამაშებ“.*

ჰოკეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლ სტარი მთავარი ვარსკვლავის გარეშე?

რამდენიმე თამაშის გამოტოვების მიუხედავად, კროსბი ისევ რჩება რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირად - მას 41 მატჩში 66 ქულა (32+34) ქულა აქვს. თუმცა პიტსბურგელს სნაიპერთა დავაში **სტივ სტემკოსმა** გაასწრო „ტამპას“ ფორვარდს 35 შაიბა დაუგროვდა.

■ ■ ■

ამასობაში, „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ახალი ფორმატის თანახმად, წინასწარ არჩეულმა 42-მა ჰოკეისტმა გუნდების კაპიტნები ხმის მიცემის მიხედვით გამოავლინა. ესენი არიან - „დეტროიტ რედ უინგზის“ მცველი **ნიკლას ლიდსტრიომი** და „კაროლინა ჰარიკეინზის“ ფორვარდი **ერიკ სტაალი**.

ახლა ისინი ერთგვარ დრაფტს ჩაატარებენ - მორიგეობით აირჩევენ თავიანთი გუნდებისთვის ჰოკეისტებს. როგორც გითხარით, მოთამაშეების სია ლიგის ხელმძღვანელობამ წინასწარ გამოაქვეყნა. თითო გუნდში უნდა ირიცხებოდეს 3 მეკარე, 12 მცველი და 24 ფორვარდი. დრაფტის პროცედურა 28 იანვარს გაიმართება.

„ჩემთვის დიდი პატივია „ყველა ვარსკვლავის მატჩზე“ კაპიტნობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რა დონის ჰოკეისტები მიიღებენ მასში მონაწილეობას. ეს უნიკალური შემთხვევაა, რომ დრაფტში თავად მომიწევს ჩემი გუნდის დაკომპლექტება“, - განაცხადა ნიკლას ლიდსტრიომმა. ლეგენდარული შვედი მცველი კარიერაში მეთორმეტედ ითამაშებს „ყველა ვარსკვლავის მატჩში“.

ამბები

ფორმულა 1

პირელი ნაკლებად გამძლეა?

ფორმულა 1-ის გუნდებისთვის საბურავების მიმწოდებელი კომპანია „პირელის“ წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ 2011 წლის სეზონში „სამეფო რბოლები“ კიდევ უფრო საინტერესო გახდება. როგორც იცით, „პირელიმ“ „დიდ ცირკში“ კომპანია „ბრიჯსტოუნი“ შეცვალა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ამარაგებდა საჯინიბოებს საბურავებით.

იტალიური კომპანიის ექსპერტთა ჩანაფიქრით, მრბოლელებს ყოველ ეტაპზე ორი პიტსტოპის ჩატარება მოუწევთ. ამ განცხადებამ კი ერთგვარად დაადასტურა პილოტთა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ ახალი საბურავები ნაკლებად გამძლე იქნება, ვიდრე „ბრიჯსტოუნისა“, რომელსაც ისინი შარშან იყენებდნენ და რბოლის განმავლობაში მხოლოდ ერთი პიტსტოპის შესრულება უნევდათ.

კრივი

ჩემპიონი უბრძოლველად

გერმანელი მოკრივე **სებასტიან ცბიკი** უბრძოლველად გახდა 72-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის ჩემპიონი. ოქტომბერში ის ამ ტიტულის ოფიციალურ პრეტენდენტად გამოაცხადეს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა, არგენტინელმა **სერხიო მარტინესმა** უარი თქვა გერმანელთან ჩხუბზე. ამიტომაც, 18 იანვარს WBC-მა ცბიკი ახალ ჩემპიონად გამოცხადა.

28 წლის სებასტიანს პროფესიულ რინგზე 30 ბრძოლიდან ყველა მოგებული აქვს, მათ შორის ათი ნოკაუტით.

რაც შეეხება მარტინესს, ის 2010 წლის აპრილში, ამერიკელი **კელი პავლიკის** დამარცხების შემდეგ WBC-სა და WBO-ის ვერსიებით გახდა ჩემპიონი. მოგვიანებით, WBO-მ ეს ტიტული ჩამოართვა, რადგან მარტინესმა ამერიკელ **პოლ უილიამსთან** ბრძოლა გადაწყვიტა. არგენტინელმა ნოემბერში მოიგო ეს შეხვედრა და WBC-ის ტიტული დაიცვა.

აუცილებელ პრეტენდენტ ცბიკთან შეხვედრაზე მარტინესმა უარი განაცხადა და უკრაინელ **სერგეი ძინძირუკთან** შეხვედრა გადაწყვიტა. ეს ბრძოლა 12 მარტს გაიმართება.

ყოფილ ჩემპიონს დოპინგი უპოვეს

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი **ხოან გუსმანი** დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს. დადებითი შედეგი აჩვენა დოპინგსინჯმა, რომელიც 11 დეკემბერს ამერიკელ **ჯეისონ დევისთან** ბრძოლის შემდეგ აიღეს. გუსმანს აკრძალული პრეპარატი - ფუროსემიდი ჰქონდა მიღებული.

ნევადის შტატის სპორტულმა კომისიამ დომინიკელს ცხრათვიანი დისკვალიფიკაცია მისცა. მოკრივეს 2011 წლის ბოლოს შეეძლება რინგზე დაბრუნება. გარდა ამისა, გუსმანს ფულად ჯარიმას დააკისრებენ.

2002-05 წლებში ხოანი WBO-ის ჩემპიონი იყო 55-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, 2006-07 წლებში კი 59-კილოგრამში მიიჩნეოდა WBO-ის საუკეთესო მოკრივედ.

კალათბურთი

ნოამ დაბრუნება დაგეგმა

„ჩიკაგო ბულზის“ ცენტრი **ჟოაკიმ ნოა** 24 თებერვალს იმედოვნებს მოედანზე დაბრუნებას. ამ დღეს მისი გუნდი უშუალო კონკურენტ „მაიამი ჰიტს“ შეხვდება. ფრანგმა დეკემბრის შუაში ტრავმირებულ თითზე ოპერაცია გაიკეთა და დღემდე ვერ ეხმარება თავის გუნდს.

„აღდგენითი პროცესი ძალიან გრძელი და რთული იყო. ახლა თავს კარგად ვგრძნობ და სრული ძალით ვვარჯიშობ. თებერვლის ბოლოსთვის მზად ვიქნები და შევძლებ გუნდის დახმარებას“, - ამბობს ნოა.

ამ სეზონში ფრანგი ცენტრის საშუალო მაჩვენებლები 14 ქულას, 11.7 მოხსნასა და 2.7 შედეგიან გადაცემას ითვლის.

მულტფილმი ლებრონისგან

ამერიკაში „მაიამი ჰიტის“ ლიდერ **ლებრონ ჯეიმსის** საპატივცემულოდ რამდენიმე მულტფილმის გადაღებას აპირებენ, რომელშიც მთავარი მოქმედი გმირი თავად კალათბურთელი იქნება.

როგორც სააგენტო AP წერს, მულტსერიალის სახელწოდება იქნება - The LeBrons. ფილმები Youtube-ზე და ჯეიმსის ოფიციალურ ვებგვერდზე გაზაფხულზე აიტვირთება. ლებრონმა „ნაიკის“ რეკლამებში მონაწილეობის შემდეგ თავად მიაწოდა ეს იდეა ანიმატორებს. კალათბურთელის აზრით, მულტფილმების გამოშვება - საუკეთესო ხერხია აჩვენო ბავშვებსა და ახალგაზრდებს, როგორ გახდე კარგი ადამიანი.

NHL რეგულარული ჩემპიონატი

გაუალო-მონრეალი 2:1 (ო)

0:1, 1:0, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 დეშარნე-2 (ჰამრლიკი-16, ვიშნიევსკი-26), 1:1 ენისი-11 (ვანეკი-19, ტიმ კონოლი-13), 2:1 პომინვილი-9 (ვანეკი-20, ენისი-12).

კაროლინა-ბოსტონი 2:3

1:1, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 ბოიჩუკი-1 (რაიდერი-14, სავარი-7), 1:1 ი. იოკინენი-11 (ე. სტაალი-25, კორვო-15), 1:2 ბარჩანდი-10 (ხარა-15, რეკი-19), 2:2 ლორეუზი-9 (ტ. რუუტუ-25, სკინერი-21), 2:3 ლუჩიჩი-17 (რეკი-20, კამპფერი-4).

ფილადელფია-ვაშინგტონი 3:2 (ო)

1:0, 1:0, 0:2, 1:0

გოლები: 1:0 ჯ. კარტერი-20, 2:0 ჟირუ-18 (ჯ. კარტერი-20, ტომინენი-21), 2:1 ნუბლი-11 (მ. იოჰანსონი-5), 2:2 ოვეჩკინი-16 (ბეკსტრიომი-31, ჩიმერა-9), 3:2 მეზაროში-2 (მ. კარლი-23, ბრიერი-17).

პიტსბურგი-დეტროიტი 4:1

2:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ჯ. სტაალი-3 (ტაილერ კენედი-14), 2:0 კონერი-6 (ბულიტი), 2:1 ფრანცენი-20 (ოვსი-4, ზეტერბერგი-35), 3:1 კუნიტცი-16 (დუპუი-11, მალკინი-22), 4:1 კუკი-9 (ტაილერ კენედი-15, ორპიკი-8).

ოტავა-ანაჰაიმი 1:2 (ბ)

0:1, 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 პერი-24 (რაიანი-16, ბელესკი-6), 1:1 ფიშერი-13 (მ. მიხალეკი-9, ე. კარლსონი-19).

ბულიტები გაიტანეს: რაიანი (ანაჰაიმი).

ტამპა ბეი-კოლამბუსი 3:2 (ბ)

1:1, 1:1, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 უმბურგერი-16 (ვერმეტი-16, გარონი-1), 1:1 სტემკოსი-34 (ჰედმანი-16), 251 სტემკოსი-35 (სენტ ლუისი-38, კუბინა-14), 2:2 ბრასარი-11 (ნეში-19, ვორაჩეკი-20).

ბულიტები გაიტანეს: მელოუნი (ტამპა ბეი).

კოლორადო-ვანკუვერი 4:3 (ო)

1:1, 2:2, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 ედლერი-6 (დ. სედინი-32, ჰ. სედინი-47), 1:1 ლაილსი-6 (ჰეიდუკი-24, ჯ. შჩასტნი-23), 1:2 კესლერი-25 (ერპოფი-19, ედლერი-22), 2:2 დ. ჯონსი-15 (ჰეიდუკი-25, ლაილსი-27), 2:3 შიროკოვი-1 (კესლერი-19, ჰამპუისი-10), 3:3 ჰეიდუკი-15 (ბ. შჩასტნი-24, ლაილსი-28), 4:3 დ. ჯონსი-16 (ფლეშმანი-19, შატენკირკი-16).

ედმონტონი-მინესოტა 1:4

0:2, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 კულენი-10 (ნისტრიომი-4, ბუშარი-10), 0:2 ბერნსი-13 (ბროძიკი-6, ჰავლატი-29), 0:3 ბუშარი-3 (ნისტრიომი-4, ბერნსი-15), 0:3 ბრუნეტი-12 (კულენი-18, მ. კოიკუ-28), 1:4 პაიარვი-6 (კოლიანო-10, ჩორნი-2).

ფინიქსი-ნეშვილი 2:5

2:2, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 დუმონი-7 (მიულერი-2, ჰალიშჩუკი-1), 0:2 ჰორნკვისტი-14 (კ. უილსონი-12), 1:2 ვრბატა-10 (დოუნი-21, იენდლი-30), 2:2 სტემპნიაკი-11 (ა. ოკუანი-17, ლეპისტო-5), 2:3 დუმონი-8 (ჯ. უორდი-11, ერატი-13), 2:4 დუმონი-9 (ჰალიშჩუკი-2, მიულერი-3), 2:5 ჰორნკვისტი-15.

სტ. ლუისი-ლოს ანჯელესი 2:1

1:0, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 ბერგლუნდი-9 (დ'აგოსტინი-14, პიეტრანჯელო-16), 1:1 კლიფორდი-4 (მ. გრინი-3, რიჩარდსონი-4), 2:1 ე. ჯონსონი-5 (სტინი-18, ბრიუერი-6).

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

კვირის მოთამაშეები

„ჩიკაგო ბულზისა“ და „ოკლაჰომა სიტის“ გამთამაშებელები - **დერიკ როუზი** და **რასელ უესტბრუკი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი როუზი გასულ კვირას საშუალოდ 27.3 ქულას, 5.3 მოხსნასა და 6.8 შედეგიან პასს აგროვებდა. „ბულზის“ ლიდერმა ოთხ მატჩში 29 საჯარიმო ისროლა და 28 გამოიყენა (96.6 პროცენტი).

დასავლეთში საუკეთესო უესტბრუკის ანგარიშზე საშუალოდ 27.5 ქულა, 13.0 შედეგიანი პასი (საუკეთესო შედეგი ლიგაში) და 9.0 მოხსნა მოდის. 13 იანვარი რასელმა „ორლანდოს“ წინააღმდეგ სეზონში მეორე სამმაგი დუბლი შეასრულა.

როუზის კვირა

10 იანვარი. ჩიკაგო-დეტროიტი 95:82. 29 ქულა, 7 პასი.

12 იანვარი. შარლოტი-ჩიკაგო 96:91. 17 ქულა, 7 პასი.

14 იანვარი. ინდიანა-ჩიკაგო 86:99. 29 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი.

15 იანვარი. ჩიკაგო-მაიამი 99:96. 34 ქულა, 8 პასი, 4 მოხსნა, 3 დაფარება.



დერიკ როუზი

უესტბრუკის კვირა

12 იანვარი. ჰიუსტონი-ოკლაჰომა 112:118. 23 ქულა, 13 პასი, 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა.

12 იანვარი. ოკლაჰომა-ორლანდო 125:124. 32 ულა, 13 პასი, 10 მოხსნა, 2 დაფარება.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **დი ჯეი ოგუსტინი** („შარლოტი“), **მონტა ელისი** („გოლდენ სტეიტი“), **ბლეიკ გრიფინი** („კლიპერსი“), **ერიკ გორდონი** („კლიპერსი“), **ზაკ რენდოლფი** („მემფისი“), **დევიდ უესტი** („ნიუ ორლეანი“), **ემეკა ოკაფორი** („ნიუ ორლეანი“), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა“), **დუაიტ ჰოვარდი** („ორლანდო“), **სტივ ნეში** („ფინიქსი“), **მანუ ჯინობილი** („სან ანტონიო“), **ტონი პარკერი** („სან ანტონიო“), **დერონ უილიამსი** („იუტა“), **ნიკ იანგი** („ვაშინგტონი“).

მაიამი-აჯლანტა 89:93 (ო)

11:19, 24:15, 20:24, 22:19, 12:16

მ: ჯეიმსი (34+10 მოხსნა+7 პასი), უეიდი (27+6 მოხსნა), ჰაუსი (12), ჩელმერსი (10).

ა: ჯონსონი (19+10 პასი+5 მოხსნა), კროუფორდი (19+5 მოხსნა), სმიტი (15+12 მოხსნა), ბიბი (15), ევანსი (11+5 მოხსნა).

ჩიკაგო-შარლოტი 82:83

24:27, 20:20, 22:17, 16:19

ჩ: როუზი (33+5 მოხსნა), ბრიუერი (12+5 მოხსნა), დენგი (10+8 მოხსნა).

შ: ოგუსტინი (15+5 პასი), უოლასი (13+16 მოხსნა), ჯექსონი (12+5 მოხსნა), დიაო (12).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

ჩემპიონი აანერვიულეს

ავსტრალიის ღია პირველობაზე დღე არ გავა, რომ მაყურებელმა ფავორიტის მონაწილეობით ერთი სუპერმატჩი არ იხილოს. ამჯერად საკუთარი გულშემატკივარი მსოფლიოს მეორე ჩოგანმა და მოქმედმა ჩემპიონმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** ანერვიულა. „დიდი სლემის“ ტურნირების 16-გზის ჩემპიონს მეტოქედ ფრანგი **ჟილ სიმონი** ჰყავდა, რომელთანაც აქამდე ორიდან ორი მატჩი ჰქონდა ნაგებული. ორივე მარცხი 2008 წელს დაფიქსირდა, როცა სიმონი რეიტინგის საუკეთესო ათეულში შედიოდა.

ამჯერად ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ ფედერერი იოლად გამოასწორებდა მისთვის უსიამოვნო სტატისტიკას, მით უმეტეს, რომ როჯერმა ძალიან დამაჯერებლად აიღო სასტარტო გეიმები - 6:2, 6:3. მაგრამ მესამე პარტია მისთვის კოშმარულად დაიწყო - სიმონმა ზედიზედ სამი ბრეიკი გააკეთა! მართალია, შვეიცარიელმა ამ დროის განმავლობაში მეტოქის ორი მოწოდება აიღო, მაგრამ მაინც ერთი ბრეიკით ჩამორჩებოდა მეტოქეს. მეშვიდე გეიმიდან მეტოქეებმა მოწოდება დაალაგეს და სეტი სიმონს დარჩა - 6:4.

შემდეგი პარტიის დასაწყისში ფრანგს ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ფედერერი გადარჩა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მიდიოდა, როცა სიმონმა როჯერის მოწოდებაზე მაქსიმალურად მოინდომა და 40:0 დანინაურდა. ფედერერმა ორი საფრთხე მოიგერია, მაგრამ მესამეზე პირველი ბურთი ვერ მოაწოდა, მეორე კი სუსტი გამოუვიდა და სიმონმა გადამწყვეტი ქულა იოლად აიღო. მეათე გეიმში შვეიცარიელმა თანაფარდობის აღდგენა სცადა, მაგრამ ამისთვის ერთი ბრეიკ-პოინტი საკმარისი არ აღმოჩნდა.

გადამწყვეტ სეტში თავიდან თანაბარი თამაში წავიდა, 2:2-ზე კი ფედერერმა ბრეიკ-პოინტი მიიღო და შანსი ხელიდან არ გაუშვა. ამის შემდეგ სიმონი ყველანაირად ცდილობდა წინ გასულ მეტოქეს დასწეოდა, მაგრამ მთელ სეტში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონდა. ბოლო ბურთი ფედერერმა ეიზენერ-ბოლოზე ეკაპიტანურ ეიზი-ბოლოთი მოიგო. 6:3, 6:4, 6:4 - ასეთ ანგარიშით ფედერერმა ორ საფრთხეს ერეოდა, ორ ბურთს ერეოდა, ორ ბურთს ერეოდა, ორ ბურთ

დასვი შეკითხვა...

და წაიკითხე პასუხი Q&A ჩვენს გაზეთში

კითხვები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: leloltd@gmail.com
ან მოიტანეთ მისამართზე: იოსებიძის 49.

რატომ გამოდის ბრიტანეთი ერთიანი გუნდით ოლიმპიადებზე, მაგრამ ოთხ ნაკრებად არის დაყოფილი ფეხბურთში?

არა მხოლოდ ფეხბურთში. რაგბისა და კრიკეტშიც ანალოგიური სიტუაციაა. მხოლოდ ეს სამი სპორტია, რომელშიც ბრიტანეთის ქვეყნებს დამოუკიდებელი ფედერაცია აქვთ და საერთაშორისო ტურნირებზე სუვერენული სახელმწიფოს სტატუსით გამოდიან. ასეთი გამონაკლისი საერთაშორისო ფედერაციებმა ბრიტანეთს იმ განსაკუთრებული როლისთვის აჩუქეს, რომელიც ამ ქვეყანამ ნახსენები თამაშების შექმნასა და განვითარებაში შეიტანა.

ისე მოხდა, რომ თითოეულ ქვეყანაში გაჩნდა საკუთარი მმართველი ორგანოები. ინგლისში საფეხბურთო ფედერაცია 1863 წელს შეიქმნა, რაგბისა - 1871 წელს. შოტლანდიაში ორივე ორგანო - 1873 წელს გაჩნდა. უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში ასეთი რამ მოგვიანებით მოხდა: ორგანიზებულ ფეხბურთს საფუძველი შესაბამისად 1876 და 1880 წლებში ჩაეყარა, რაგბის ასოციაციას - 1881 და 1880 წლებში. რაც შეეხება კრიკეტს, აქ ინგლისა და უელსს 1905 წლიდან ერთიანი ფედერაცია აქვთ, შოტლანდიამ კი ამაზე მხოლოდ 1994 წელს იზრუნა.

პრივილეგია, რომლითაც დიდი ხანია სარგებლობენ ბრიტანელები, ფიფასთვის დღემდე აქსიომად რჩება. ასევეა რაგბისა და კრიკეტში. სხვა საქმეა - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. ის მსგავს გამონაკლისებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ბრიტანეთს დიდი ხანია აღარ გაჰყავს ოლიმპიადებზე საკუთარი საფეხბურთო ნაკრები. ამას გასული საუკუნის დასაწყისში აკეთებდა და ორჯერ გაიმარჯვა კიდევ - 1908 და 1912 წლებში, მაგრამ 1956 წელს მელბურნის თამაშების შემდეგ შეწყვიტა მონაწილეობა. უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ოლიმპიადებზე საფეხბურთო ტურნირები ამ თამაშის დამაარსებელთა გარეშე მიმდინარეობს.

მაგრამ 2012 წელს ბრიტანელებს თავის დაძვრენა არ გამოუვათ. ლონდონის თამაშებზე ისინი მასპინძლის რანგში ავტომატურად ითამაშებენ და რა თქმა უნდა, გონივრული არ იქნებოდა ასეთ შესაძლებლობაზე უარის თქმა. მაგრამ თუ პოლიტიკოსები და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **სებასტიან კოე** დარწმუნებული არიან, რომ გაერთიანებული გუნდი აუცილებლად შეიქმნება, საფეხბურთო ფედერაციებში ამ იდეის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ინგლისი და ჩრდილოეთ ირლანდია მხარს უჭერენ პროექტს, შოტლანდია და უელსი - არა. მათ ეჩვენებათ, რომ ასეთი ხერხით ლონდონი საფეხბურთო დამოუკიდებლობის წართმევას უპირებს...

განსაკუთრებით შეურიგებელი უელსია, რომელიც გამორიცხავს თავისი ფეხბურთელების გაერთიანებულ ბრიტანულ გუნდში თამაშს. მაგრამ ასეთი ოპოზიცია ხელს ვერ შეუშლის იდეის განხორციელებას. ხოლო ბრიტანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** იქნება. ყოველ შემთხვევაში, მისგან წინასწარი თანხმობა მიღებულია.

ბრიტანელი ფეხბურთელებიც გაერთიანდებიან



მონრეალი-1993

რატომ ვეღარ იგებენ კანადური კლუბები სტენლის თასს?

ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა არავის შეუძლია. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამერიკული კლუბები ერთი თავის მაღლა დგანან კანადელებზე ფინანსური სიძლიერის მიხედვით ან შემადგენლობით ჯაბნიან მეზობელ კლუბებს. ასეთი რამ არ ხდება. და მიუხედავად ამისა, ფაქტი ჯიუტია: ბოლოს კანადურმა კლუბმა, კერძოდ „მონრეალ კანადიენსმა“ სტენლის თასზე 1993 წელს გაიმარჯვა. მას შემდეგ მხოლოდ ამერიკული გუნდები იგებენ.

ამ დროის განმავლობაში კლუბები ჰოკეის სამშობლოდან ოთხჯერ გავიდნენ ფინალში (1994 - „ვანკუვერ კენაქსი“, 2004 - „კალგარი ფლეიმზი“, 2006 - „ედმონტონ ოილერზი“, 2007 - „ოტავა სენატორზი“), მაგრამ ფინალურ სერიას ვეღარ იგებდნენ.

მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის 50-60-იან, და 70-იან წლებში დომინირების წყალობით, კანადას უფრო მეტჯერ აქვს მოგებული სტენლის თასი, ვიდრე ამერიკას. ანგარიშია - 51:43. მაგრამ სხვაობა ძალიან სწრაფად მცირდება.

საჯარიმო რთული ჩასაგდებია

რატომ არის NBA-ში შედარებით დაბალი საჯარიმოების რეალიზაციის პროცენტული მაჩვენებელი?

ყველაფერი შედარებითია და NBA-ის დღევანდელი მაჩვენებელი - ჯარიმების რეალიზაციის 77 პროცენტი, შესაძლოა, ვინმესთვის სულაც არ იყოს დაბალი. თუმცა, მსოფლიოს საუკეთესო ლიგისთვის ეს მართლაც ცოტაა. მით უმეტეს, თუ ყველაფერ ამას ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ.

თუ თანამედროვე მაჩვენებლებს ავიღებთ და მათ 50-იანი წლების ბოლოს არსებულ სტატისტიკას შევადარებთ, დავინახავთ, რომ თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის პროცენტი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ჯარიმებისა. 50-იანი წლების ბოლოს მას 71 პროცენტის სიზუსტით იყენებდნენ. ასე რომ, მატება მხოლოდ 6 პროცენტია. შედარებისთვის: ნახევარი საუკუნის წინ ორქულიანების გამოყენება 36 პროცენტის დონეზე იყო, ახლა ეს რიცხვი 46-ს უდრის. კიდევ უფრო შესამჩნევია პროგრესი სამქულიანების მხრივ: დღეს 37 პროცენტი, 1980 წელს - 28.

არსებობს რამდენიმე ახსნა იმისა - რატომ „ჩამორჩება“ საჯარიმოების პროცენტი. მთავარი მიზეზი ისაა, რომ NBA-ის ჩემპიონატი, პირველ რიგში, სანახაობაა. აქ ყოველთვის პირველ ადგილზე დგას შოუს ელემენტები, ისინი კი სათამაშო მონაკვეთში სრულდება. სტანდარტული პოზიცია კი ეფექტს არ შეიცავს: საჯარიმოს ტყორცნა - საკმაოდ მონოტონური სანახაობაა. ვარჯიშებზე უფრო დიდ ყურადღებას სათამაშო ეპიზოდებს უთმობენ და თავისუფალი ტყორცნები მეორე პლანზე გადადის.

რომელია ამერიკის შეერთებულ შტატებში სპორტის ყველაზე მდიდარი სახეობა?

ძირითადი მაჩვენებლებით ეს არის ამერიკული ფეხბურთი. ასეთ დასკვნამდე მივდივართ ამერიკის ოთხი მთავარი ლიგის - ბეისბოლის (MLB), კალათბურთის (NBA), ჰოკეის (NHL) და ამერიკული ფეხბურთის (NFL) - ფინანსური მდგომარეობის შედარებისას.

NFL-ის უპირატესობა ორ უმნიშვნელოვანეს ელემენტს ეყრდნობა: 1. გუნდის ღირებულება - ის დაახლოებით ერთ მილიარდ დოლარს უდრის და გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ლიგებში; 2. სატელევიზიო კონტრაქტები, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელებმა ასევე დიდი მანძილით გაუსწრეს კოლეგებს სხვა პროფესიული ლიგებიდან. ამ მომენტისთვის სატელევიზიო კონტრაქტების საერთო თანხა 23.4 მილიარდ დოლარს შეადგენს. ხელშეკრულებები 4-8 წლით არის გაფორმებული.

თქმა არ უნდა, რომ NFL და მისი შეფი **როჯერ გუდელი** „ოქროში ბანაობენ“. ეს ლიგა ტელევიზიებისგან სამჯერ მეტ თანხას იღებს, ვიდრე კალათბურთელები, ოთხჯერ მეტს, ვიდრე ბეისბოლისტები. ხოლო ჰოკეისტები, თავიანთი „საცოდავი“ ერთი მილიარდით - ამ ფრონტზე უიმედო აუტსაიდერები არიან.



ფეხბურთში ყველაზე დიდი ფულია

მართალია, რომ ქარიმ აბდულ-ჯაბარი უკურნებელი სენით არის დაავადებული?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში საუკეთესო სნაიპერი ლეიკემიის იშვიათი ფორმით არის დაავადებული. ექიმებმა ეს ავადმყოფობა ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში აღმოაჩინეს, მაგრამ კალათბურთელმა ამის შესახებ ჟურნალისტებს ერთი წლის შემდეგ გაუმხილა. მართალია, ლეიკემია მართლაც უკურნებელ სენად არის აღიარებული, მაგრამ **აბდულ-ჯაბარზე** ექიმები საკმაოდ ოპტიმისტურ პროგნოზს იძლევიან, ყოველ შემთხვევაში ამას ამბობს კალათბურთელი. NBA-ის ლეგენდას სურს დაამტკიცოს, რომ ასეთი დაავადებითაც შესაძლებელია სრულფასოვანი ცხოვრება.

აბდულ ჯაბარმა ასოციაციაში 20 სეზონი ჩაატარა და „მილუოკისა“ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ შემადგენლობაში ჯამში 38 387 ქულა დააგროვა, რაც საუკეთესო შედეგია ლიგის ისტორიაში. გარდა ამისა, ის NBA-ის ლიდერია თამაშების რაოდენობით, წუთებით, თამაშიდან ჩაგდებული ტყორცნებით, დაფარებებით, დაცვაში მოხსნებითა და პერსონალურებით. ჯაბარს ექვსი საჩემპიონო ბეჭედი აქვს მოგებული და ექვსჯერ დასახელდა სეზონის საუკეთესო მოთამაშედ. ახლა ის 63 წლისაა და ბოლო დროს „ლეიკერსში“ მთავარი მწვრთნელის - **ფილ ჯექსონის** თანაშემწედ მუშაობდა.



ქარიმ აბდულ-ჯაბარი

აილტონი

მოქმედ ფეხბურთელებს შორის კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტჯერ ვინ შეიცვალა კლუბი?

ყველაზე „მანანნალა“ ფეხბურთელი გახლავთ ცნობილი ბრაზილიელი ფორვარდი **აილტონი**. 37 წლის გოლეადორი წელს გერმანიის რეგიონალლიგის კლუბ „ობერნოილანდში“ ჩაირიცხა და ეს მის პროფესიულ კარიერაში მე-19 (!) გუნდი გახლავთ.

კარიერის დასაწყისში აილტონმა მშობლიურ ბრაზილიაში ოთხი წლის განმავლობაში (1993-97) ხუთი კლუბი გამოიცვალა - „იპირანგუ“, „ინტერნასიონალი“, „მოჟი მირიმი“ (აქ იჯარით თამაშობდა), „სანტა კრუჟი“ და „გუარანი“. ამის შემდეგ უცხოეთში გამგზავრება გადაწყვიტა და მექსიკაში წავიდა („ტიგრესი“, 1997-98), იქიდან - გერმანიაში, კერძოდ კი „ვერდერში“ გადავიდა. ეს ერთადერთი (!) კლუბია 19-დან, სადაც აილტონი წელიწადზე მეტხანს გაჩერდა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, უბრალოდ დაუჯერებელია, როგორ გაძლო ფორვარდმა ბრემენულ კლუბში მთელი ექვსი სეზონი. ერთ წელს ბრაზილიელი ბუნდესლიგის ბომბარდირიც გახდა.

შემდეგ კი ისევ დაიწყო გაუთავებელი მოგზაურობა - „შალკე“ (2004-05), „ბეშიქთაში“ (2005-ის მეორე ნახევარი), „ჰამბურგი“ (იჯარა 2006-ის პირველ ნახევარში), „ცრვენა ზვეზდა“ (2006-ის მეორე ნახევარი), „გრასჰოპერსი“ (იჯარა 2006-ის პირველ ნახევარში), „დუისბურგი“ (2007-ის მეორე ნახევარი), დონეცკის „მეტალურგი“ (2008), ავსტრიის „ალტახი“ (იჯარა 2008 წლის შემოდგომაზე)...

ამის შემდეგ აილტონმა ბრაზილიაში დაბრუნება გადაწყვიტა და 2009 წელს სერია B-ს კლუბ „კამპინენსეში“ ჩაირიცხა. ამავე წელს მან ჩინურ „ჩონგინგ ლიფანში“ თამაში მოასწრო. 2010 წელი გერმანიაში დაბრუნებით აღნიშნა - ცოტა ხანი „იურდინგენ 05“-ში ითამაშა და ახლა რეგიონალლიგაში „ობერნოილანდში“ ირიცხება.

მაგრამ აილტონის შედეგი არ არის აბსოლუტური რეკორდი. მას მხოლოდ მეოთხე ადგილი უჭირავს საფეხბურთო „პილიგრიმებს“ შორის. რეკორდი კი თითქმის საუკუნის ტოლია და უნგრელ **ალფრედ შაფერს** ეკუთვნის, რომელმაც 15-წლიანი კარიერის განმავლობაში 21 (!) კლუბი გამოიცვალა - 12 უნგრული, 5 გერმანული და თითო ავსტრიული, ჩეხური, შვეიცარიული და ამერიკული.

მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა